

ინილეთ ჩანართი

The New York Times

24საათი

Restless Workers

LA CRISIS

Getting Out of the Habit

2

7

9

ქართული
შეიარაღებული
ძალები წინ მიიწევენ

A3

რვა ჰილდო
დატაკ მილიონარს

A9

24საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
ინილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლევთ ერთმანეთს

GRDC group

პენის სადაზღვეო ჯგუფი

ალასანიას ალიანსის
ულტიმატუმი

დათო გაიხსონია

გუშინ ირაკლი ალასანიამ პირველი პოლიტიკური პარტნიორები აირჩია. მიუხედავად იმისა, რომ კონსულტაციები რამდენიმე ოპოზიციურ სუბიექტთან მიმდინარეობდა, ალასანიას გუნდმა პოლიტიკური პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულება ამ ეტაპზე მხოლოდ "მემარჯვენეებისა" და "რესპუბლიკელების" ალიანსთან გააფორმა. პოლიტიკური ერთობის სახელწოდება - "ალიანსი საქართველოსთვის" და მას სათავეში თავად ირაკლი ალასანია ჩაუდგა. გაერთიანების თანათავმჯდომარეები არიან დავით გამყრელიძე და დავით უსუფაშვილი. მათი თქმით, გამოკვეთილი ლიდერით და გამოცდილი პოლიტიკური გუნდით საფუძველი ჩაეყარა ხელისუფლების ძლიერ ალტერნატივას.

გაგრძელება A3 გვერდზე

ხალა ჟაბიძე/სტოკ

ნიკოლოზ რურუა
- გებმები და
ინიციატივები

მთავარი მიზანი -
მოქნილი და ეფექტური სამინისტრო

დაახლოებით ორი თვე გავიდა, რაც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ნიკოლოზ რურუა ხელმძღვანელობს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს აღნიშნულ სამინისტროში ცვლილებები გახშირდა, ძირითადი პრობლემები პრობლემებადვე რჩებოდა. უკვე კარგა დიდი ხნის წინ დახურული სურათების ეროვნული გალერეა, მისი რემონტისა და რეკონსტრუქციისთვის ვერმომზადებული თანხები, პრობლემები სახელოვნებო განათლებაში, სხვადასხვა ინსტიტუციებისა და მედიებისთვის შეუფერებელი მენეჯმენტი, კინონამოების მრავალწლოვანი ჭირვარა და ზოგადად, არასრულფასოვანი არტისტული გარემო საქართველოში.

ყველაზე წარმატებული მაინც პროექტია, რომელსაც უკვე სამი წელია მართავდა ვუნოდებო - "ქართული სეზონი". "ქართული სეზონი - 2009"-ს უკვე ბატონი ნიკოლოზ რურუა უდგას სათავეში. ამიტომაც ჩვენი საუბარი მინისტრთან სწორედ ამ საკითხით დაიწყო, თუმცა აქვე მინდა გითხრათ, რომ დიალო-

ახალი აბრეხის
გებმა

რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ახალი აგრესიის გეგმას ამზადებს და თბილისის დაკავებასაც გეგმავს. ამის შესახებ ავტორიტეტულმა რუსმა ექსპერტმა განაცხადა. თბილისში მაღალჩინოსნები და ექსპერტები ერთხმად აცხადებენ, რომ რუსეთი ფართომასშტაბიან შეტევას ამჯერად ვერ განახორციელებს და ქვეყანაში დესტაბილიზაციის პროვოცირებას შეეცდება. რუსეთი საქართველოს ოკუპაციაზე მხოლოდ მაშინ იფიქრებს, თუ ქვეყნის შიგნით დასაყრდენს იპოვის, - მიიჩნევენ ექსპერტები.

დინიტრი ავალიანი

რუსმა სამხედრო ექსპერტმა პაველ ფელგენგაუერმა, ქართულ მედიასთან საუბრისას, არ გამოიციხა საომარი მოქმედებების უახლოეს მომავალში, აპრილ-მაისში განახლების შესაძლებლობა. მისი თქმით, საქართველოს წინააღმდეგ ახალი სამხედრო კამპანიის გეგმა ამჟამად კრემლში განიხილება.

ექსპერტის აზრით, საომარი მოქმედების დასაწყებად რუსეთმა შესაძლოა ინციდენტის პროვოცირება მოახდინოს, რომლის დროსაც რამდენიმე რუსი სამხედრო დაიღუპება. ამ შემთხვევაში, აცხადებს ფელგენგაუერი, რუსეთი "ბოლომდე მივა" ანუ კრემლის გეგმა თბილისის აღებასაც ითვალისწინებს.

ავტორიტეტული სამხედრო ექსპერტის მოსაზრებას, რომელმაც საქართველოს წინააღმდეგ ახალი რუსული აგრესიის შესაძლებლობაზე ბოლო დროს არაერთხელ მიუთითა, გამოხმაურება თბილისშიც მოჰყვა.

პარლამენტის თავმჯდომარე

გაგრძელება A3 გვერდზე

“რუსეთს მოუწევს ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება”

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერ-თობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილი აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაცია კვლავ არღვევს ყველა მიღწეულ შეთანხმებას, შეჰყავს რა აფხაზეთის ტეროტორიაზე ე.წ. რუსი მესახლერეები.

მინაშვილის განცხადებით, ეს საქართველოს ტე-რიტორიის აგრესიის გაგრძელებაა. დასავლეთის ზე-ნოლის ფონზე, რუსეთის ფედერაცია მაინც ცდილობს, გაიმყაროს პოზიციები ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მაგრამ საერთაშორისო ზენოლის შედეგად, უახლოეს მომავალში კრემლს მაინც მოუწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან თავისი შეიარაღე-ბული ძალების გაყვანა.

“დასავლეთის მხრიდან რუსეთზე პოლიტიკური ზენოლა გაიზარდა, ამის საპასუხოდ რუსეთის ფედე-რაცია ცდილობს, სხვადასხვა სახის პოლიტიკური დე-მარშები განახორციელოს და უკვე მიღწეული შეთანხ-მეები დაარღვიოს. საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან რუსეთზე განხორციელებულ პოლიტიკურ ზენოლას თანამიმდევრული სტრატეგიის ხასიათი ექ-ნება და ყოველივე ამის შედეგად რუსეთის მოუწევს მის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიების დატოვება,” - აცხადებს მინაშვილი. **ჯი-ეირ-ენი**

აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსული ბაზების კეთილმოწყობა

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული რუსუ-ლი სამხედრო ბაზების კეთილმოწყობა მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. განცხადება ამის შესა-ხებ რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის უფ-როსმა ანატოლი მაკაროვმა აბუ-დაბიში გამართული იარაღის საერთაშორისო გამოფენაზე გააკეთა.

“ჩვენ ადრევე დავდეთ პირობა, რომ 2009 წლის ბო-ლოსთვის ეს ბაზები კეთილმოწყობილი იქნებოდა. თო-თოეულ მათგანზე სამხედრო მოსამსახურეთა რაოდე-ნობა 3. 700 ადამიანს შეადგენს. მათი დისლოკაციისა განლაგების ადგილები უკვე განსაზღვრულია. სამხ-რეთ ოსეთში ეს ჯავისა და ცხინვალის დასახლებული პუნქტებია, აფხაზეთში კი, უპირველეს ყოვლისა, გუ-დაუთა. სოხუმში პრაქტიკულად არავინ იქნება,” - აცხადებს მაკაროვი.

ჯერ კიდევ დეკემბერში მისი მოადგილე ანატოლი ნოგოვიცინი აცხადებდა, რომ აფხაზეთსა და ე.წ. სამხ-რეთ ოსეთში სამხედრო ბაზების კეთილმოწყობა ეს ხანგრძლივი, ძვირი და სერიოზული პროცესია. “რად-გან ძალიან მოკლე დროში აქ დიდი სამშენებლო სამუ-შაოებია ჩასატარებელი. თუმცა, მიუხედავად ამისა, უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთსა და სამხ-რეთ ოსეთში განლაგებულ ჩვენს სამხედრო ბაზებს უკ-ვე ახლა ძალუძთ მათ წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანების შესრულება, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსე-თის საზღვრების უზრუნველყოფა და მათ წინაშე მდგარი ნებისმიერი საფრთხის განეიტრალება, რომე-ლიც შესაძლოა, საქართველოს ტერიტორიული მთლი-ანობის აღდგენის საბაბით განხორციელდეს,” - დას-ძენდა ნოგოვიცინი. **ჯი-ეირ-ენი**

ტრადიციული ზრიფინგი საგარეო უწყებაში

გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში ორშაბა-თის ტრადიციული ზრიფინგი გაიმართა. საერთაშორი-სო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორმა სერგი კაპანაძემ შეაჯამა ჟენევის მოლაპარაკებების შედეგები, რის შედეგადაც ინციდენტების პრევენციის მექანიზმი შემუშავდა. კაპანაძის განცხადებით, მექა-ნიზმით გათვალისწინებულია საერთაშორისო ორგანი-ზაციების იმ წარმომადგენლების ყოველკვირეული შეხვედრა, რომლებიც კონფლიქტის ზონაში კონტ-როლს ახორციელებენ.

“ასევე გულისხმობს საერთაშორისო ორგანიზაციებ-თან ერთად ვიზიტებს მნიშვნელოვან ადგილებზე. ეს სა-ფუძველს აძლევს საერთაშორისო ორგანიზაციებს, განა-ხორციელონ მონიტორინგი ადმინისტრაციული საზღვ-რის იქითა ტერიტორიაზე,” - განაცხადა კაპანაძემ.

“ჩვენ ევროკავშირთან გვაქვს გაფორმებული ურ-თიერთშეთანხმების მემორანდუმი და მათი დამკვი-რებლები ადმინისტრაციულ საზღვარზე აქტიურად მუშაობენ. შეზღუდულია ჩვენი სამხედროების მოძრა-ობა რაღაც ტერიტორიის იქით. მეორე მხარეზე კი არის “შავი ზერელი” და არ არსებობს საერთაშორისო მონიტორინგი. ჟენევის მეოთხე რაუნდზე მიღებულ გადაწყვეტილებას ჩვენ ვაფასებთ, როგორც პირველ ნაბიჯს მონიტორინგის დასაწყებად,” - განაცხადა კა-პანაძემ. **ჯი-ეირ-ენი**

კაპანაძის განმარტებით, ის ფაქტი, რომ რუსეთისა და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის მიერ საკითხის დაბლოკვის გამო ვერ მოხერხდა ჰუმანიტარული დახ-მარების შეტანის პრობლემის გადაჭრა, უპირველესად მოსახლეობის ინტერესებს აზარალებს,” - განმარტა კაპანაძემ. **ჯი-ეირ-ენი**

ძველი და ახალი ომების ექო პარლამენტში

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის თავმჯდომა-რე დავით ბაქრაძე გამოდის ინიციატევით, რომ აგვისტოს ომის დროს დაღუპულებსა და მათი ოჯახის წევრებს, აგრეთვე ამ ომის დროს დაზარალებულ მოქალაქეებს “ომის მონაწილის” სამართლებრივი სტატუსი მიე-ნიჭოთ და შესაბამისი სოცია-ლური შეღვათები დაუნესდეთ.

საპარლამენტო ოპოზიცია ამ ინიციატივას არა მარტო ეთან-ხმება, არამედ მოითხოვს, რომ ანალოგიური სტატუსი აფხაზე-თის ომისა და 2004 წლის ზაფხულში, ცხინვალის რეგიონ-ში, წვერიახოსთან მომხდარი ბრძოლების მონაწილეებსაც მი-ეცეთ.

პოლიტიკური ოპონენტების ეს შეთავაზება დავით ბაქრაძის-თვის სასებით მისაღებია. იგი ავალებს ჯანდაცვისა და სოცია-ლურ საკითხთა კომიტეტს, შე-საბამისი კანონპროექტი რაც შეიძლება სწრაფად მომზადდეს.

სიმბოლურია, რომ დავით ბაქრაძე აღნიშნული ინიციატი-ვით 23 თებერვალს გამოვიდა - იმ დღეს, როდესაც 88 წლის წი-ნათ ქართველი იუნკრები გმი-რულად დაიღუპნენ საქართვე-ლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ამ თარიღთან დაკავ-

შირებით გუშინ პარლამენტში ჩატარდა ღონისძიება, რომელ-საც, დეპუტატებთან ერთად, იუნკრების შთამომავლებიც ეს-წრებოდნენ.

პარლამენტის შენობაში არ-სებულ ხარების სახელობის სამ-ლოცველოში ჩატარდა დაღუ-პულთა სულების მოსახსენებე-ლი პანაშვიდი, რის შემდეგაც დავით ბაქრაძემ იუნკერთა მე-მორიალური დაფა გვირგვინე-ბით შეამკო.

“**იმან, რაც გასული წლის აგვისტოში მოხდა, სულ სხვა კუთხით დავგანახა 1921 წლის თებერვალი. ამიტომაც, უნდა გაიზაროს ზოგიერთმა პოლი-ტიკოსმა, თავისდა უნებლიეთ, ჩვენი დროის სერგო ორჯონი-კიძის როლს ხომ არ ასრუ-ლებს,**” - თითქმის ერთი საუკუ-ნით დაშორებულ ორ მოვლენას შორის პარალელებს ავლებს პარლამენტის თავმჯდომარე.

სიმბოლურია ისიც, პარლა-მენტის მომდევნო პლენარული სხდომა დღეისთვის კი არა, არა-მედ ხვალისთვის - საქართვე-ლოს გასაბჭოების დღეს დაი-ნიშნა. დავით ბაქრაძის თქმით, ეს საშუალებას მისცემს დეპუ-ტატებს, კიდევ ერთი “წითელი” თარიღის მიმართ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება.

მიმდინარე პლენარულ კვი-რაში პარლამენტარებს, იდეო-

ლოგიურ ღონისძიებებთან ერ-თად, კანონშემოქმედებითი საქ-მიანობაც ელოდებათ. მათ მიერ განსახილველი კანონპროექტე-ბის დიდ ნაწილს აშკარად ეტყო-ბა მსოფლიო ეკონომიკური კრი-ზისის “კვალი”.

ასე მაგალითად, “რეკლამის შესახებ” კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის მი-ხედვით, 2011 წლის 1 იანვრამდე დაშვებული იქნება მაგარი სპირტიანი სასმელების რეკლა-მის ნებისმიერი სახით გავრცე-ლება დასახლებული პუნქტების გამზირებზე, ხიდებსა და მოედ-ნებზე, აგრეთვე სატრანსპორ-ტო საშუალებებზე. გარდა ამი-სა, ალკოჰოლური სასმელების რეკლამირება ნებადართული ხდება კულტურისა და სპორტის ორგანიზაციებიდან 100 მეტრის რადიუსში და ტელევიზიების სა-შუალებით 22 საათის შემდეგ. რომ არა გლობალური საერთა-შორისო კრიზისით გამოწვეული პრობლემები, ბიუჯეტის შესავ-სებად ხელისუფლება ასეთ დათმობებზე, ალბათ, არ წავი-დოდა.

ამავე კონტექსტში შეიძლება შევხედოთ საგადასახადო კო-დექსში შესატან ცვლილებებ-საც, რომელთა თანახმადაც, 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე ელექტროე-ნერგიის მიწოდება (გარდა მომ-

ხმარებლისთვის მიწოდებისა), აგრეთვე გადაცემისა და დიპეტ-ჩერიზაციის მომსახურება დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით დაი-ბეგრება.

მიმდინარე კვირაში პარლა-მენტი დიპლომატიური სა-კითხებითაც დაკავდება. საკა-ნონმდებლო ორგანოში პრეზი-დენტ მიხეილ სააკაშვილს და-სამტკიცებლად ორი ელჩის კან-დიდატურა აქვს შემოტანილი.

გიორგი ჯანჯღავა, რომელ-საც დღემდე ეგვიპტესა და სი-რიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოსტი უკავია, მომავალში ჩვენი ქვეყნის ინტერესებს უკვე ირა-ნის ისლამურ რესპუბლიკაში დაიცავს. მის ადგილს კი (ეგვიპ-ტესა და სირიაში ელჩის თანამ-დებობას) გიორგი ჯაფარიძე დაიკავებს, რომელიც ამჟამად რამდენიმე არაბულ სახელმწი-ფოს (კუვეიტი, ყატარი, ბაჰრეი-ნი, საუდის არაბეთი, ომანი და არაბთა გაერთიანებული საემი-როები) “ფარავს”.

ამ კვირაში პარლამენტი პრეზიდენტის კიდევ ერთ სა-კადრო შეთავაზებაზეც იმსჯე-ლებს: საკანონმდებლო ორგა-ნოში მიხეილ სააკაშვილმა ეროვნული ბანკის საბჭოს წევ-რის ვაკანტურ თანამდებობაზე გიორგი ქადაგიძის კანდიდატუ-რა წარადგინა.

ბაღის რაიონის სკოლიდან 26 ქართველი პედაგოგი სამსახურიდან გაათავისუფლეს

ამის შესახებ აფხაზეთის გა-ნათლებისა და კულტურის მი-ნისტრმა ალექსანდრე აპლა-კოვმა, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქა-ლაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი არსე-ნიშვილთან შეხვედრისას გა-ნაცხადა.

შეხვედრაზე აფხაზეთის ტე-რიტრიაზე ბოლო პერიოდში შექმნილი მდგომარეობის შესა-ხებ იმსჯელეს, კერძოდ, სეპა-რატისტული ხელისუფლების მიერ ქართული სკოლების და ქართველი მასწავლებლების უფლებების დარღვევასთან და-

კავშირებით, რომელიც აპლა-კოვის განცხადებით, ბოლო დღეებში კიდევ უფრო გამწვავ-და. სეპარატისტები, რუს ოკუ-პანტებთან ერთად, ყველა ზო-მას მიმართავენ, რათა გალის რაიონის სკოლებში არ მოხდეს ქართულ ენაზე სწავლება.

ამ მიზნით გახშირდა ქარ-თული ენის მასწავლებლების მასობრივი დათხოვნა სამსახუ-რიდან. გალის რაიონის სკოლი-დან დაითხოვეს 26 მასწავლე-ბელი, რომლებიც სკოლაში “არაღებგალურად” რჩებიან. ყველა სკოლა აფხაზურ და რუ-სულ სკოლებად გადაკეთდა და

სწავლება რუსეთიდან შემოტა-ნილი სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს. მოსწავლეებს აიძულებენ რუსეთის ისტორი-ის და გეოგრაფიის სწავლას რუსულ ენაზე, - განაცხადა მი-ნისტრმა.

“ეს არის განათლების მიღე-ბასთან დაკავშირებული, ადამი-ანის უფლებათა დაცვის საყო-ველთაო დეკლკარაციის, ყვე-ლა მუხლისა და პარაგრაფის დარღვევა,” -განაცხადა არსე-ნიშვილმა. მან ქართველებისა და აფხაზების საუკუნოვან კულტურულ ურთიერთობას გა-უსვა ხაზი: ივანე ჯავახიშვილის

სახელობის უნივერსიტეტში არსებობდა კავკასიური განყო-ფილება, სადაც მეცნიერულ დონეზე ისწავლებოდა აფხაზუ-რი ენა, ქართველების დიდი წვლილით დაარსდა აფხაზური უნივერსიტეტი, პირველად სწო-რედ ქართველების დახმარებით ჩამოყალიბდა აფხაზური ეროვ-ნული თეატრი, - განაცხადა არ-სენიშვილმა.

ამ ინფორმაციას, კომიტეტი საერთაშორისო ორგანიზაცი-ებს მიაწვდის და მათ ფაქტების შესწავლასა და მათზე რააგირე-ბას სთხოვს.

24 საათი

ნათელაშვილის წყინა და პროტესტი

გუშინ, საქართველოს ლეი-ბორიტულმა პარტიამ დიპლო-მატიურ კორპუსთან შეხვედრა გამართა.

საქართველოს ლეიბორის-ტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის საკონსუ-ლომ უარი განუცხადა დიდ ბრი-ტანეთში შესასვლელი ვიზის გა-ცემაზე.

ნათელაშვილის თქმით, ბრი-ტანეთის საელჩო და ბრიტანე-ლი პოლიტიკოსები, თვით ევ-როსაბჭოს გენერალური მდივა-ნი ტერი დევისი, დეპუტატი ბა-რონესა სმიტი და ბრიტანეთის საელჩო თბილისში მუშაობენ ლეიბორისტული პარტიის წინა-აღმდეგ, რათა მან ვერ მოახერ-ხოს ბრიტანეთის საქმიან პო-ლიტიკურ წრებთან, იქ არსე-

ბულ საერთაშორისო ორგანი-ზაციებთან და “სკოტლად იარ-დთან” დაკავშირება, სადაც, მი-სი განცხადებით, უნდა გადაეცა ბადრი პატაკაციშვილის მკვეელობასთან დაკავშირე-ბით არსებული მასალები.

შესაბამისად, ლეიბორისტე-ბის ლიდერი ყოველგვარ ურთი-ერთობას წყევტს დიდი ბრიტანე-თის საელჩოსთან საქართველო-

ში, სანამ არ იქნება განვეული ახ-ლანდელი ელჩი და კონსული. აგ-რეთვე ბრიტანეთის პრემიერ მი-ნისტრისა და პარლამენტის წინა-შე, საგარეო საქმეთა სამინისტ-როს იმ ხელმძღვანელ პირთა პა-სუხისმგებლობის საკითხის და-ყენებას მოითხოვს, ვისი მეშვეო-ბითაც იმართება ბრიტანეთის საელჩო საქართველოში.

24 საათი

ალასანიას ალიანსის ულტიმატუმი

პირველი გვარდიონი

"ალიანსმა საქართველოსთვის" ხელისუფლებას მისცა ათდღიანი ვადა იმისთვის, რომ დანიშნოს რეფერენდუმი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ და საქართველოს მოქალაქეებს მისცეს გადაწყვეტილების მიღების უფლება. ირაკლი ალასანიამ ეს გადაწყვეტილება ასე განმარტა: "ვინაიდან მიხეილ სააკაშვილს არ ყოფნის პოლიტიკური ნება - მიიღოს შექმნილი ვითარების ადეკვატური გადაწყვეტილება და გადადგეს თანამდებობიდან, ჩვენ მას ვაძლევთ ათდღიან ვადას, ხოლო ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, ჩვენი პოლიტიკური ძალები იმოქმედებენ საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით."

"ალიანსი საქართველოსთვის" აცხადებს, რომ მზად არის ითანამშრომლოს ყველა პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც გაიზიარებს მათ პრინციპებს და ვისაც აქვს სურვილი, საქართველოში გარდამტეხი ცვლილებების განახორციელოს. იმ შემთხვევაში თუკი ხელისუფლებამ ყურად არ იღო მათი მოთხოვნა, "ალიანსი საქართველოსთვის" საერთო სახალხო პლემბისციტის ჩატარების შესახებ აპირებს რეალური მოქმედებების დაწყებას. "ალიანსი საქართველოსთვის" თანათავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა კონკრეტულად ისაუბრა ამ საკითხზე. "სახალხო პლემბისციტი ნიშნავს იმ პლემბისციტს, რომელსაც ჩვენ თვითონ გავუკეთებთ ორგანიზებას და ჩავატარებთ. ეს იქნება ჩვენთვის ხალხთან მისვლის, მათი ორგანიზების, მოსახლეობასთან ჩვენი პროგრამის და სათქმელის მიტანის საშუალება," - აღნიშნა

ალიანსის თანათავმჯდომარე.

თუკი ხელისუფლება არ წავა რეფერენდუმის გზით, მაშინ "ალიანსი საქართველოსთვის" სააკაშვილის წინაღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას აპირებს. დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ "ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მივმართავთ ყველა კონსტიტუციურ ღონისძიებას - იქნება ეს პიკეტირება თუ ხელმოწერების შეგროვება - რაც მშვიდობიან დემოკრატიულ საზოგადოებაში მოგონილა და გაკეთებულა." ახალშექმნილმა ალიანსმა რეფერენდუმის დანიშვნის შემთხვევაში მისი გაყალბების საფრთხეებზეც ისაუბრა. პოლიტიკური ალიანსის თანათავმჯდომარე და "შემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ, თუკი ხელისუფლებამ რეფერენდუმი არ დანიშნა, უმოკლეს ვადაში დაგეგმილია მინიმუმ 200 ათასი ხელმოწერის შეგროვება. მისი თქმით, ეს აუცილებელია რეფერენდუმის დასანიშნად და იმისთვის, რომ ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებას წარუდგინოს ხალხის ნება.

გამყრელიძემ მოვლენების განვითარების მეორე ვარიანტიც განიხილა. თუკი დაინიშნება რეფერენდუმი და ხალხი მხარს დაუჭერს ხელისუფლების გადადგომას, მაგრამ ხელისუფლება ამას გააყალბებს. ამ შემთხვევაში ხალხი ამის ადეკვატურად იმოქმედებს. ალიანსის თანათავმჯდომარემა გაიხსენა 2008 წლის არჩევნები. "ჩვენ სამწუხაროდ გვახსოვს, რომ 2008 წლის იანვარში ხალხის პროტესტი ოპოზიციის მიერ არ იქნა გამოყენებული. ამიტომ წარსულის შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ," - აღნიშნა გამყრელიძემ.

"რესპუბლიკელი" ლევან ბერძენიშვილის აზრით, მთავარი პრობლემა არის მიხეილ სააკაშვილის გადადგომა. "თუ სააკაშვილი გადადგა, სხვა კონკურენტუნარიანი კანდიდატი ხელისუფლებაში არ არსებობს. ამიტომ საქართველოს პრეზიდენტი გახდება ის, ვისაც ქართველი ხალხი ისურვებს და არა ის, ვინც უნდა ბატონ ბაქრაძეს," - აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

"ალიანსი საქართველოსთვის" აპირებს ყველა პოლიტიკურ ძალასთან კონსულტაციას. მათ მოლაპარაკებები ჰქონდათ ლევან გაჩეჩილაძესთან, "კონსერვატორებთან" და სხვა პოლიტიკურ პარტიებთან. მათი თქმით, კონსულტაციები გაგრძელდება.

ახალშექმნილი ალიანსის შესახებ კომენტარი გააკეთეს საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა. პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა: "ულტიმატუმის ენით ლაპარაკი, რომ კონტრპროდუქტიულია, ვის-ვის, და ირაკლი ალასანიას ყველაზე კარგად ესმის. ხელისუფლება აბსოლუტურად გახსნილია საარჩევნო სისტემასა და არჩევნების წესზე მოსალაპარაკებლად. ამ მოლაპარაკებებს თუ ჩაენაცვლება რალაც ულტიმატუმები, არ იქნება სწორი, დანარჩენი ყველაფერი კი შესაძლებელია იყოს მოლაპარაკების საგანი. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ ვინ ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ვის რა გაუკეთებია და ვინც მოდის, იმას რა მოაქვს, ეს პირველ რიგში გეგმონების და მხარდამჭერების მიმხრობის საკითხია."

ახალი აბრეისიის გეგმა

პირველი გვარდიონი

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ფელგენგაუერის პროგნოზის იგნორირება არ ღირს. "გაზაფხულზე რუსეთში ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდება და სოციალური ბუნტიც არის მოსალოდნელი. ასეთ დროს რუსეთი, როგორც წესი, ყურადღების გადატანის მიზნით სამხედრო ავანტიურაზე მიდის ხოლმე," - აღნიშნა თარგამაძემ.

თუმცა, მან სამხედრო ძალით თბილისის აღების შესაძლებლობა გამორიცხა. მისი თქმით, რუსეთი ქვეყანაში შიდა არეულობის პროვოცირებას შეეცდება.

თავის მხრივ, ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი დავით დარჩიაშვილი დარწმუნებულია, რომ აგვისტოს ომის დროს რუსეთს საქართველოში ბევრად მეტის მიღწევა სურდა, ვიდრე რეალურად შეძლო. დეპუტატი დარწმუნებულია იმაშიც, რომ კრემლში თბილისის ოკუპაციის გეგმაც არსებობს, რომელიც წლების წინ არის შემუშავებული.

"დედაქალაქის დაპყრობის გარეშე სახელმწიფოს საშინაო და

საგარეო პოლიტიკაზე გავლენას ვერ მოახდენ. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის პოლიტიკა ლოგიკას დაექვემდებარა, მას არანაირად არ უნდა სურდეს საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ფარესიის განხორციელება, მაგრამ გამორიცხული არაფერია," - განუცხადა სააგენტო "პირველს" დარჩიაშვილმა.

ამასთან, მისი აზრით, "რუსეთი ფართომასშტაბიან სამხედრო შეტევას მოერიდება, რადგან რუსული პრობლემის რეგულირებაში საერთაშორისო თანამეგობრობა უფრო ინტენსიურად არის ჩართული, ვიდრე აგვისტოს ომამდე, მაგრამ აქცენტი გადატანილი იქნება დესტაბილიზაციის შექმნაზე, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე საქართველოს დანარჩენ ნაწილებში."

ევროპასთან ინტეგრაციის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელ ვასილ ჭყოიძის შეფასებით, "საქართველოს სრული ოკუპაციის გეგმის იმპლემენტაციის შანსი რუსეთს მაშინ მიეცემა, როცა კრემლი ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დასაყრდენ ძალას იპოვოს," სხვა შემთხვევაში, კრემლის მიერ ამ გეგმის განხორციელება შეუძლებელი იქნება. "გარედან ტანკებით და სამხედრო ძალებით სერიოზული კონტროლის დამყარება თბილის-

ზე ან თუნდაც მთელს საქართველოზე არარეალურია და ეს რუსეთსაც კარგად ესმის," - განუცხადა "პირველს" ვასილ ჭყოიძემ.

როგორც, თავის მხრივ, ექსპერტმა ირაკლი სესიაშვილმა სააგენტო "მედიაინუსს" განუცხადა, აგვისტოს მოვლენების შემდეგ კრემლმა საქართველოს ოკუპაციის ახალი გეგმების განხილვა დაიწყო. "ეს გეგმები, როგორ წესი, თეორიულად იქნება განხილვადი, რათა მერე მათი პრაქტიკული განხორციელების მიზანშეწონილობა იქნას გააზრებული. ეს არ ნიშნავს, რომ ის გეგმა, რომელიც კრემლში დაიდება, აუცილებლად განხორციელდება," - აღნიშნა სესიაშვილმა.

ექსპერტი ვახტანგ მაისაია რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის ახლო მომავალში განახლებას "რუსეთისთვის შეუძლებელ ფუფუნებად" მიიჩნევს. "ახლო მომავალში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია მოსალოდნელი არაა, რადგან ამის საშუალებას რუსეთს შიდა დესტაბილიზაცია არ მისცემს. ამას ეკონომიკური კრიზისი და პუტინმედვედვის დაპირისპირება ემატება. მართალია, პოლიტიკაში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ რუსეთს აგრესია ძვირი უჯდება," - განუცხადა "პირველს" მაისაიამ.

ქართული შეიარაღებული ძალები წინ მიიწევიან

დევიდ ჯ. სმიტი
სპეციალურად "24 საათისთვის"

გასული კვირა საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის მნიშვნელოვანი იყო. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სრულიად გარკვევით მიგვანიშნა, რომ ქართული ჯარის მშენებლობა საკუთარ მიღწევებს ემყარება, სწავლობს 2008 წლის აგვისტოს ომის გაკვეთილებზე და მიმართულია სამშობლოს დაცვისა და ასევე საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისაკენ.

17 თებერვალს თავდაცვის მინისტრმა ვასილ სიხარულიძემ საზოგადოებას, პრესასა და თბილისში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს წარუდგინა დოკუმენტი "მინისტრის ხედვა 2009". პრეზენტაციის შემდეგ იგი კრავოვში გაემგზავრა ნატო-ს თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე დასასწრებად.

"ხედვა 2009" ყოველწლიური დოკუმენტია, რომელიც მოცემულია თავდაცვის მოდერნიზაციის შემდგომი პრიორიტეტები, განსაკუთრებით ომის შემდგომ ვითარებაში.

იგი გვთავაზობს საქართველოს თავდაცვისადმი ლოგიკურ, ერთიან მიდგომას - განვითარების დოქტრინის, წვრთნის, თავდაცვის მენეჯმენტისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების შესახებ. მინისტრის უმთავრესი მიზანია, ცხადია, ეფექტიანი შეიარაღებული ძალების შექმნა.

"საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება ქართული თავდაცვის პოლიტიკის მუდმივი უზენაესი პრიორიტეტია," - ნათქვამია დოკუმენტში.

ყოველ შემთხვევაში, 21-ე საუკუნეში ეფექტიანი შესაძლებლობების მიღწევა მხოლოდ იარაღისა და ტანკების შესყიდვას არ ემყარება. არმიამ უნდა იცოდეს, როგორ იომებს იმ პირობებში, რის პირისპირაც შეიძლება მოულოდნელად აღმოჩნდეს. მხოლოდ ამის შემდეგ ეცოდინება, როგორ უნდა ჩატარდეს წვრთნები, როგორ უნდა იყოს ორგანიზებული და აღჭურვილი. ამიტომ, საქართველოს შეიარაღებული ძალების პრიორიტეტია "დოქტრინების დეტალურად შემუშავება და იმპლემენტაცია", იმ ხალხის წვრთნის ჩათვლით, რომელიც შეასრულებს ამ ამოცანას, პროცესის ინსტიტუციონალიზაცია და ძალების თანმიმდევრულად განვრთნა.

გამომდინარე აქედან, "სამხედრო განათლებისა და სანვრთნელი სისტემის გაუმჯობესება" კიდევ ერთი უზენაესი პრიორიტეტია, რომელიც წარმოდგენილია "ხედვა 2009-ში". წელს თავდაცვის სამინისტრო იწყებს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რეორგანიზაციას, ასევე გადახედავს სარეზერვო ოფიცერთა სკოლის კურსებს და გააგრძელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების პერსონალის საერთაშორისო წვრთნებში ჩართვას.

ამ მიდგომის ჩრილში თავდაცვის სამინისტროში დასაქმებული ყველა ქალი და მამაკაცი, სამხედროცა და სამოქალაქოც, საქართველოს თავდაცვის უმთავრესი აქტივი ხდება. ამას კი "ხედვა 2009"-ის ორ მთავარ პრიორიტეტამდე მივყავართ: მმართველობის სისტემაში სამხედრო კადრების რეფორმამდე და მმართველობის სისტემის სამოქალაქო კადრების გაუმჯობესებამდე.

მართლაც, თანამედროვე თავდაცვის სამინისტრომ უწყვეტად უნდა შეძლოს მთელი თავდაცვის მენეჯმენტის სისტემის მოდერნიზაცია. განსაკუთრებით საჭიროა დაგეგმვის, პროგრამირებისა და საბოლოო კადრების რეფორმამდე და მმართველობის სისტემის სამოქალაქო კადრების გაუმჯობესებამდე.

ზოგადად კი უნდა აღნიშნოს, რომ როცა საქმე ეხება დაგეგმვის, პროგრამირებისა და საბოლუეტო სისტემებს, ვანყდებით ინტელექტის დეფიციტს, მაგრამ საქმეც ესაა სწორედ. ბევრს მოსწონს სამხედრო ორკესტრის, ჯარისკაცებისა და მზონაივი ტექნიკის ხილვა რუსთაველის გამზირზე გამართულ ალღუმზე. თუმცა, ეფექტიანი არმიის ჩამოსაყალიბებლად მთელი გონება, ორგანიზაცია და მენეჯმენტია აუცილებელი. ის ფაქტი, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ასეთი ყურადღებით მოეკიდა ამ საკითხს, უკვე მოდერნიზაციისა და სიმწიფის ნიშანია.

საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარების ნაწილი მოცემულია დოკუმენტის ბოლოში. ხაზგასმით აღსანიშნავია რამდენიმე ძირითადი პრიორიტეტი: "საშერო თავდაცვის უნარის განვითარება... ბრძანებებისა და კონტროლის სისტემის განვითარება... დახვედრის შესაძლებლობის გაუმჯობესება... ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარება... ახალი რეზერვისა და მობილიზაციის კონცეფციის შემუშავება და განვითარება აგვისტოს გაკვეთილებზე დაყრდნობით."

"მინისტრის ხედვა 2009" სახელმძღვანელოა თავდაცვის უწყებისთვის მიმდინარე წელს. შესაბამისად, ორი დამატებითი უფრო ფართომასშტაბიანი კვლევა შესაძლებლობების განვითარების საკითხებს უფრო მეტად უპასუხებს. პირველი, საქართველო ხელმძღვანელობს დეტალური ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტით, სადაც ადგილი ეთმობა თავდაცვასაც. ეს დოკუმენტი საქართველოს უსაფრთხოებას განიხილავს მთლიანობაში საფრთხეების იდენტიფიკაციით და რეკომენდაციული ხასიათის გადაწყვეტილებებით. მიზანი კი სპეციფიკურ, პრიორიტეტულ ამოცანებზე რესურსების მიმართებაა.

ამავდროულად, გაერთიანებულ შტაბში აგვისტოს ომის გაკვეთილების შესწავლის ოფიციალური პროცესი მიმდინარეობს. ამ მიმართულებით რჩევებს ნატო-ს მოკავშირე სამეთაურო ტრანსფორმაციის ჯგუფი იძლევა. ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტის მსგავსად, ნასწავლი გაკვეთილების მიზანია სპეციფიკური ამოცანების იდენტიფიცირება შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მუშაობაში ნატო-სა და ნატო-ს მოკავშირე ქვეყნების ჩართულობა მნიშვნელოვანია, რადგან როგორც "ხედვა 2009"-შია აღნიშნული: "საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტებიდან უმთავრესია ნატო-ში ინტეგრაცია... ამ კუთხით, ნატო-ს ეფექტიანი კავშირის შესაძლებლობისა და თავსებადობის განვითარება ალიანსის ძალების სტანდარტებთან საქართველოს შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი პრიორიტეტია." ეფექტიანი კავშირის შესაძლებლობა ზოგად აღჭურვასა და ფორმალურ პროცედურებზე მეტია; ის ნატო-ს ძალების მსგავსად ფიქრსა და მოქმედებას ნიშნავს.

ამ კუთხით თავდაცვის სამინისტრო მოუთმენლად ელის ნატო-ს მიერ ახლად შექმნილ წლიურ ნაციონალურ გეგმასა და ნატო-საქართველოს კომისიაში მონაწილეობას. სიხარულიძე სიტყვით გამოვიდა კრავოვში 20 თებერვალს გამართულ კომისიის შეხვედრაზე. მან "ხედვა 2009" კოლეგებს წარუდგინა და გაუზიარა მათ ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტის პირველადი ნაწილის გარკვეული პუნქტები და გაკვეთილებით მიღებული კვლევები.

სურათი, რომელიც მინისტრმა წარადგინა, გასული წლის ზაფხულში რუსეთის აგრესიის შემდეგ საქართველოს თავდაცვისუნარიანობაზე თავაუღებელი და მეოთხეი შრომის შედეგია. ეს მცდელობა მიმოიხილავს წარსულს, მაგრამ არ იყინება დროში. იგი ემყარება ძლიერ ბაზისს და მიზნად ისახავს სამომავლო მიღწევებს. ამავდროულად, საქართველო საერთაშორისო უსაფრთხოების ღონისძიებების მონაწილედ რჩება.

"ჩვენ არ ვცვლით პოზიციას საერთაშორისო უსაფრთხოების ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ, კერძოდ, ავღანეთში ნატო-ს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერ ძალებში მონაწილეობაზე. საქართველოს ქვეითი ჯარი მზადაა შეუერთდეს საერთაშორისო უსაფრთხოების ოპერაციებს," - განაცხადა სიხარულიძემ ნატოელ კოლეგებთან კრავოვში.

დევიდ ჯ. სმიტი არის საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი) და პოტომაკის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი)

საქართველოს და ლატვიის პარლამენტების თანამშრომლობა გრძელდება

"ორი ქვეყნის საპარლამენტაშორისო ურთიერთობებს დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ურთიერთგაგები-სა და თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც გაფორმებულია საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტსა და ლატვიის პარლამენტის ევროკავშირის საქმეთა კომიტეტს შორის, კიდევ უფრო აფართოებს ურთიერთობის ფორმებს. ლატვიის პარლამენტს შეუძლია თავისი პოზიტიური წვლილი შეიტანოს ქართულ-ევროპული ურთიერთობების შემდგომ განვითარებასა და დახვეწაში," - განაცხადა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა ლატვიის პარლამენტის ევროკავშირის საქმეთა კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარესთან, ცნობილ ლატვიელ ჟურნალისტ ედვინს ინკენსთან შეხვედრაზე.

სტუმარი დაინტერესდა საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთობით, პარლამენტის მხრიდან აღმასრულებელი ხელისუფლების კონსტიტუციის მექანიზმით, ასევე საზოგადოებასა და პარლამენტს შორის ურთიერთობის საკითხით. მან მოინახულა საქართველოს პარლამენტში მოქმედი ევროკომისიის დელეგაციის ევროპული საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი და ლატვიის პარლამენტში არსებულ ანალოგიური ცენტრთან მისი ინტენსიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. **ჯი-ეიჩ-ენი**

გრიგოლ ვაშაძე ოფიციალური ვიზიტით კიევში გაემგზავრება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ოფიციალური ვიზიტით კიევში გაემგზავრება. როგორც საგარეო უწყებაში განმარტავენ, ვიზიტის ფარგლებში ორმხრივი შეხვედრებია დაგეგმილი. უცნობია შეხვედრის კონკრეტული საკითხები, თუმცა სამინისტროში აცხადებენ, რომ საუბარი საქართველოსა და კიევის შორის სავიზო რეჟიმს არ შეეხება.

"შეხვედრის დროს საუბარი იქნება ორი ქვეყნის ურთიერთობებზე და სამომავლო გეგმებზე," - განმარტავენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. **ჯი-ეიჩ-ენი**

კოკოითმა "წითელი არმიის დღე" იზენიმა

სეპარატისტულმა ცხინვალმა, რუსეთის ფედერაციის მსგავსად, "წითელი არმიის დღე" აღნიშნა, რომელსაც ახლა "სამშობლოს დამცველის დღე" ეწოდება. ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებს, ე.წ. შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებსა და ომის ვეტერანებს მიულოცა.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, მისალოც სიტყვაში ედუარდ კოკოითმა ოსი ხალხის ტრადიციებზე ისაუბრა, რაც თითქმის ყოველთვის "სამშობლოს დაცვასთან" იყო დაკავშირებული.

ედუარდ კოკოითმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მათ, ვინც "საქართველოს აგრესიის უკუგდების საქმეში თანამგზავულებს, წინასწართა მსგავსად, გამრობისა და თავდადების მაგალითი უჩვენა." **ჯი-ეიჩ-ენი**

შეზღუდვები საავტომობილო გზებზე

საავტომობილო გზების ზოგიერთ მონაკვეთზე სპეციალური რეჟიმი მოქმედებს. საგზაო დეპარტამენტის ინფორმაციით, დიდთოვლობის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისამელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. გუდაური-კობის ავტომანქანების მიმოსვლისას იკრძალება მათი გაჩერება. აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა ხორციელდება საავტოლო პოლიციის უშუალო ზედამხედველობით და კოორდინაციით.

თბილისი-კოჯორი-ნალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის 152-158 კმ-ებზე (სათხე-ნინოწმინდას მონაკვეთი) და ახალციხე-ნინოწმინდა სომხეთის საზღვრის 90-110 კმ-ებზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

მენყერული მოვლენების გამო ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 99-101 კმ-ებზე (დანისპარაული) ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია ცალმხრივი რეჟიმით.

ამავე გზის 1-99 კმ-ზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

დიდთოვლობის გამო ზუგდიდი-ჯვარი-ხაიში-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 140-188 კმ-ებზე (მესტია-უშგულის მონაკვეთი) ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ამავე გზის 1-140 კმ-ებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

დიდთოვლობის გამო ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 37-73 კმ-ებზე (ნაქერალას უღელტეხილი) მისაბმელიანი, ნახევრადმისამელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. **ჯი-ეიჩ-ენი**

ოქუპაციის მისამი მსდელორბა

ნერილი პირველი

1799 წლის შემოდგომაზე, გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე, თბილისში რუსეთის სამხედრო პოლკის შემოსვლის შესახებ ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს: "გონიერთა ქართველთა უხაროდათ რუსთა ჯარისა შემოსვლა, ვითარცა ერთმორწმუნისა ერისაგან ელოდნენ ქვეყნის დაცვასა." ამ მოვლენიდან ახლო ხანში რუსეთის სამხედრო კარმა ქართლ-კახეთში მეფობა გააუქმა, ბაგრატიონთა ტახტი მოშალა, აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრო და თავის იმპერიას მიუერთა. ქართველობა მიხვდა, რომ მოატყუეს, "არავინ ელოდით რუსთაგან ამასო," - იძახდნენ (პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978. გვ. 180), მაგრამ გვიანლა იყო.

ვთქვათ, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-სათვის ნაკლებად იყო ცნობილი რუსეთის იმპერიული მზაკობანი, რის გამოც ისინი ვერ ჩანდნენ ცარიზმის ვერაგ ჩანაფიქრს, ვერ გამოიცნეს მისი ნამდვილი მიზანსწრაფვა და გულწრფელად ეგონათ, რომ რუსეთი არ გატეხდა სიტყვას, პატიოსნად შეასრულებდა 1783 წლის ტრაქტატი ნაქისრ ვალდებულებებს. მაგრამ, როგორ ავხსნათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ვარაუდი და იმედი, რომ საბჭოთა რუსეთის მესვეური ლენინი საქართველოს მიმართ კეთილმეზობლურ ურთიერთობას აირჩევდა და არა იმპერიალისტურს? რა ვუნდოთ საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის თვითდაჯერებულობას, რომ რუსეთის ფედერაცია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებულ სეპარატისტულ რეჟიმებსა და ქართულ სახელმწიფოს შორის პირუთვნელ შუამავლობას გასწევდა და მის მიერვე ინსპირირებულ ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს ობიექტურად მოავგარებდა?

როცა სახეზე იყო წარსულის მხარე გამოცდილება, როცა რუსეთისაგან მრავალჯერ მოტყუებულ ჩვენს ქვეყანას გამოვლილი ჰქონდა არაერთი მძიმე განსაცდელი, ბოლო დღევანდელმა საქართველოს ხელისუფლებამ იცოდა რუსეთის საომარი სამზადისის შესახებ, რას ეფუძნებოდა მისი წარმოდგენა, რომ კრემლის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ არ ექნებოდა მასშტაბური ხასიათი? რატომ ეგონა თანამედროვე საქართველოს მმართველ პოლიტიკურ ელიტას, რომ სამხედრო მოქმედება არ გასცდებოდა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტურ ზონას? ნუთუ ქართველთა ცნობიერებაში იმდენად ჩაიბეჭდა ორასი წლის წინ გიორგი XII-ის კარის მოძღვრის, ეგნატე იოსელიანის მიერ წარმოთქმული "არავინ გვლოდით რუსთაგან ამას," რომ ეს უსაფუძვლო რწმენა აქამდე ძალაშია? რა არის ეს: ისტორიის იგნორირება? გულუბრყვილობა? რეალური პოლიტიკის მეუფესებობა? ილუზიების ტყვეობა? არამორმეურტეტლოება? თუ ყველაფერი ერთად? ღირს ამაზე დაფიქრება და პასუხის ძიება, მით უფრო, როცა საყოველთაოდ ცნობილია: რუსეთი ვერ ეთხოვება ძველ იმპერიულ ამბიციებს, შეურაცხყოფილია იმით, რომ მის ჯარს მოუწია ოდესღაც დაპყრობილი ტერიტორიის დატოვება და მათ უკან დაბრუნებას ესწრაფვის.

რუსეთი იგონებს საზაზს და ეძებს მოტივაციას

უფრო შორს რომ არ წავიდეთ, შემოვიფარგლოთ იმ სამი თარიღით, რომლებიც ზემოთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან ფაქტობრივი ორისდებიტია ვრცელდებოდეს. ყოველი დაპყრობილი საზღვრებელი, იქნება იგი უშუალოდ რუსეთის მეზობლად თუ რამდენიმე დამორჩილები, რუსულ მიწად იზოდება და წარმოდგენს რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს, მის ერთგვარ "გაგრძელებას."

იცნობდნენ თუ არა რუსეთის ამ სახელმწიფოებრივ ბუნებას საქართველოში? ერკვეოდნენ თუ არა რუსეთის იმპერიის აგრესიულ ზრახვებში ჩვენი წინაპრები?

მოწოდლთა ხანგრძლივ ბატონობას თავდადებული რუსეთი ქართველთა თვალთახედვით ძღვეამოსილ მართლმადიდებელ სახელმწიფოდ აღიქმებოდა, რომელსაც შეეძლო მფარველობის ხელი განეწინა მამამადანათა თავდასხმებით მეცნირობებული ქრისტიანი თანამოძიებებისათვის. ჩვენს მეფეებსა და დიდებულებს სრულად ვერ გაეაზრებინათ, რომ რუსეთის პოლიტიკას სხვა ხალხებთან მიმართებაში სწამუნოებრივი ერთობა და ქრისტიანული კაცობიყვარება კი არ განსაზღვრავდა, არამედ საკუთარი იმპერიის მიზნები და გეოსტრატეგიული ინტერესები.

შენწყევტას ნიშნავდა. ყველაფერი ეს იმდენად უსამართლოდ განხორციელდა, რომ რუსეთის მომდევნო იმპერატორი ალექსანდრე I იძულებული გახდა, თუნდაც დაგვიანებით, რაიმე საბაზი და მოტივაცია გამოეძებნა და უბეში ძალმომრეობა რამდენადმე შეენილბა. რუსთ ხელმწიფის დავალებით საქართველოში გენერალი კნორინგი გამოიგზავნა. უკვე ანექსირებული და მიერთებული მხარის - საქართველოს გენერალ-გუბერნატორად დანიშნულ კნორინგს უნდა "გამოერკვია," რამდენად სიცოცხლისუნარიანი იყო ქართლ-კახეთის სამეფო და შესწევდა თუ არა მას დამოუკიდებლად არსებობის ძალა. აქ მეტად საგულისხმო ის იყო, რომ თავისთვის სასურველი დასკვნა გენერალს თვით ალექსანდრე I-მა უკარნახა.

კნორინგმა დავალება ოპერატიულად შეასრულა და პეტერბურგს ოფიციალურად აახლა "ცნობა," რომელშიც ეწერა: მამამადანი მტრებისაგან შევიწროებული ქართლ-კახეთის სამეფო სულს დაფავა და დალუპვის პირასაა. რომ ქართველი ხალხის უსაფრთხოება და მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფა მხოლოდ რუსეთის იმპერიას ძალუძს და ქართველობა მასთან შეერთებას ესწრაფვის. ალექსანდრე I-მა კიდევ ერთი ფარსი გაითამაშა და გადამყვეტილება ერთპიროვნულად კი არ მიიღო, დადგენილება სახელმწიფო საბჭოს გამოატანინა. იმპერატორის ახალი მანიფესტი მხოლოდ ამის შემდეგ, 1801 წლის 12 სექტემბერს გამოიცა.

პირმოთენობით აღსავსე მანიფესტით ალექსანდრე I აცხადებდა: "არა ძალთა შემტავრებისათვის, არა ანგარებისათვის, არა საზღვართა გაფართოებისათვის ქვეყნიერებაზე ისედაც უნდნენ იმპერიას ვკისრულობით ჩვენი საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთის. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და აღმანიობა გვაკისრებენ ჩვენ საღმრთო მოვალეობას, რათა ყური მივაყუროთ ტანჯულობთა ვედრებას და მათი ნაღველის განსაქარვებლად დავაყუროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შესძლებს მართლმსაჯულების განმტკიცებას, უზრუნველყოფს პირად და ქონებრივ უშიშროებას და კანონით ყველას დაცვას." ასე შეეცადა პეტერბურგის საიმპერატორო კარი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების რუსეთის პოლიტიკური ნება ქართველი ხალხის სურვილად გარდაეცხადა, უსამართლობა, ძალმომრეობა და ბოროტება სათნოებად წარმოეჩინა.

ცარიზმის იმპერიული აგრესიის შესანიშნად რუსულმა ისტორიოგრაფიამ დაამკვიდრა დებულება, რომ საქართველო "ნებაყოფლობით შეუერთდა" რუსეთს, რაც სრული სიყალბეა და ფაქტების თავდაყირა დაყენება.

რუსეთის თვითმკარობელ მმართველთა ანალოგიურად მოიცვა ვ. ლენინიც 1921 წელს. მაშინ კი მოქმედებდა ამგვარი დებუთარადა: ბოლშევიკური რუსეთი კარგა ხანს არ ცნობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს შექმნილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის დამოუკიდებლობას. რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებას, მოუხდავად იმისა, რომ ჩაბმული იყო სამოქალაქო ომში და უცხოურ ინტერვენციასაც იგერიებდა, მაინც ახერხებდა, დაეძახა სიტუაცია საქართველოში, რომელმაც თავი ნეიტრალურ ქვეყნად გამოაცხადა. კრემლი ცდილობდა, ხელი შეეშალა საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და თავისუფალი განვითარებისათვის. ქმნიდა და აიარალებდა კომუნისტურ რაზმებს, აწყობდა გლეხთა ბოლშევიკურ ამბოხებებს, აფხაზებსა და შიდა ქართლში კომპაქტურად მოსახლე ოსებს აქეზებდა საქართველოს წინააღმდეგ, ხელს უწყობდა მათ სეპარატისტულ მოძრაობას და სხვ. ყველაფერ ამას ერთი მიზანი გააჩნდა - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და რეგიონში რუსეთის შემოსევნეად საჭირო პირობების შემზადება. ამავე ქვილში შეიძლება განვიხილოთ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს I რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში დადებული ხელშეკრულებაც. ამ ხელშეკრულებით რსფსრ უპირობოდ ცნობდა და აღიარებდა საქართველოს სუვერენიტეტს, მაგრამ სინამდვილეში მის შესრულებას რომ არ აპირებდა, ძალიან მალე საყოველთაოდ გახდა ცნობილი.

მას შემდეგ, რაც სამხრეთ კავკასიის ორი დამოუკიდებელი ქვეყნის - აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებს დაპყრობა-გასაბჭოება მოა-ხერხა, რუსეთმა წითელი არმიის ნაწილები საქართველოსაც შემოუსია. მე-

ზობელი სახელმწიფოს ჯარებმა საქართველოს საზღვრები 1921 წლის 11-12 თებერვალს ღამით გადმოლახეს. 14 თებერვალს სარდლობას უკვე ხელთ ჰქონდა დოკუმენტი ლენინის ხელმოწერით, რომელიც ნებას რთავდა, აეღოთ და დაეკავებინათ თბილისი.

საქმის სამართლებრივ მხარეზე კრემლში თავიდან დიდად არ უზრუნიათ. სამხედრო მოქმედების დაწყებას, მართალია, წინ რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება უსწრებდა, რომელშიც ეწერა "საქართველო საბინლად გათავებულაო," მაგრამ ეს გარემოება აგრესიის გასამართლებად საკმარის საბუთი ვერ იქნებოდა. ამიტომ, 1921 წლის 15 თებერვალს ლენინი საგანგებო დეპეშას უგზავნის XI არმიის ხელმძღვანელობას და უხსნის, რომ დაწყებული საბრძოლო ოპერაციები წარმოაჩინო, როგორც ლორეს "ნეიტრალური ზონის აჯანყებულთა დაცვა თეთრგვარდიელთა მხრივ მოსალოდნელი განადგურებისაგან." 16 თებერვალს კი, პოლიტბიუროს მითითებითა და XI წითელი არმიის სამხედრო საბჭოს ბრძანებით, შულავერში შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი (რეკომიტი), რომლის სახელითაც მომზადდა და კრემლში გაიგზავნა თხოვნა სამხედრო დახმარების თაობაზე.

მოგვიანებით შეითხზა მითი, რომ "საქართველოს მენშევიკური მთავრობა უღმობელ ექსპლუატაციას უწევდა მუშებსა და გლეხებს." საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თითქმის მტრული პოზიცია დაიკავა საბჭოთა რუსეთის მიმართ. ვითომც კი კონტრევოლუციის ბანაკში გადაბარგდა, პროლეტარულ რუსეთს კი არ შეეძლო, გაჭირვებაში მოეტიოვებინა თავისი კლასობრივი თანამომენი," რომ თითქმის საბჭოთა ჯარები საქართველოში "შენშეკრება ბატონობისაგან განაწმენდი მუშებისა და გლეხების გასათავისუფლებლად" შემოიღნენ და სხვ. სინამდვილეში, 1918-1921 წლების საქართველოში, ეკონომიკური სიმწვლეების მოხუდავად, შენდებოდა სამართლებრივ წორმებზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფოებრიობა და ქართველი ერი მსოფლიო ცივილიზებულ ერთა შორის იმკვიდრებად ადგოდა. საქართველო ევროპული განვითარების კალაპოტში დგებოდა. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლებისადმი ნდობით იყო გამსჭვალული და ქვეყნის მშენი თრეოლუციური გადატრიალების საფუძველი არ არსებობდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის მონქსიტიგებასა და კეთილშობილობას ესწრაფვოდა.

საქართველოში საბჭოთა არმიის შემოჭრის ბოლშევიკური ვერსიის და აბსურდული მოტივაციისა იმზანდაც ბევრს არ სჯეროდა. "რუსის ბოლშევიკების ერთადერთი მიზანი ის არის, რომ გაანადგურონ საქართველოს რესპუბლიკა და ისე დაუმორჩილონ დად რუსეთს, როგორც ეს ჰქნეს აზერბაიჯანში, სომხეთში და სადაც კი მისულან," - წერდა გაზეთი "საქართველო" 1921 წლის თებერვალში. საქართველოს მიმართ რუსეთის დამპყრობლური მისწრაფებანი ამხილა და საამკარაოზე ფართოდ გამოიტანა უცხოეთში გახიზნულმა ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ. რუსეთის საერთაშორისო იმიჯი ელახებოდა. აუცილებელი გახდა დამატებითი ზომების მიღება, რომელიც ს. ორჯონიკიძისადმი მიცემულ ინსტრუქციაში ვ. ლენინმა ასე ჩამოაყალიბა: "საჭირო, რომ საქართველოს რევკომმა დაიწყოს სერიოზული კონტრაგიტაცია, რომელიც უნდა აღინიშნოს, ჯერ ერთი, რსფსრ-ს მშვიდობისმყოფელი როლი, მეორე - საქართველოს მუშათა და გლეხთა და არმბელთა მასების აქტიური ინიციატივანი როლი, მასებისა, რომლებმაც დაამხეს საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა, და მესამე, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობების როლი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ... ქართველ აჯანყებულებს თავდაცვის მიზნით, საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობის აგრესიული ნაბიჯების წინააღმდეგ" (ვ. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 106).

საბჭოურმა პრაპაგანდამ მოახერხა, ერთგვარად შეენილბა ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო შენაერთების თავდასხმა დამოუკიდებელ საქართველოზე და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დახმობა, ქვეყნის ოკუპაცია-ანექსია მის განთავისუფლებად წარმოაჩინა. (გაგრძელება მომდევნო ნომერში)

რეფორმა აღსრულების ეროვნულ ბიუროში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში რეფორმა დაიწყო. რეფორმის ნაწილს შეადგენს ბიუროში ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვა და მათი დასაქმება. ამ მიზნით 2009 წლის პირველი თებერვლიდან 21 თებერვლის ჩათვლით წარმოებდა სააღსრულებო სისტემაში სტაჟირების მსურველთა განცხადებების მიღება.

ამ ეტაპზე სააღსრულებო ბიუროში 1000-მდე განცხადებაა შესული. სტაჟირების მსურველები 2-ეტაპიან კონკურსს გაივლიან. განცხადების შეტანა შეუძლიათ პროფესიით იურისტებს, იურიდიული ფაკულტეტის

დამამთავრებელი კურსის სტუდენტებსა და ამავე ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს, სწავლის დამამთავრებელი შესაბამისი დიპლომის წარდგენის შემთხვევაში. კონკურსის პირველი ეტაპი არის ტესტირება, რომელიც 28 თებერვალსა და 1 მარტს ჩატარდება. მეორე ეტაპი კი გახლავთ გასაუბრება. კონკურსის ნაწილობრივ პროგრამულ უზრუნველყოფას "ამერიკის იურისტთა ასოციაცია" (ABA) ახორციელებს, რომელთანაც სამინისტროს მჭიდრო ურთიერთობა აქვს. წარმატებული კონკურსანტები კი გაივლიან ექვსთვიანი სტაჟირების კურსს, შემდგომ მოხდება მათი დასაქმება იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ აღსრულების ბიურო-

ში. მსგავსი ტიპის კონკურსი წელს პირველად ჩატარდა და მომავალში პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ლაშა მალრაძის განცხადებით, "ამით საფუძველი ეყრება მნიშვნელოვან ტრადიციას, კერძოდ, ჩვენ ყოველწლიურად გამოვაცხადებთ ასეთივე კონკურსს, რაც ხელს შეუწყობს ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და, თავისთავად, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლაში."

იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგი-

ლის განცხადებით, კონკურსის ჩატარება არ ნიშნავს მხოლოდ ძველი კადრების ახლით ჩანაცვლებას.

"სისტემა საჭიროებს საფუძვლიან რეფორმას, თავისთავად, საკადრო გადაწყვეტილებებიც იქნება მიღებული. აუცილებელია ახალი კადრების მოზიდვა. ჩვენი მიზანიც ეს არის, რომ ის ხალხი ვინც ახლა სტაჟორად მოვა გავზარდოთ პოტენციურ აღმსრულებლებად. ის კადრები კი ვინც აქამდე მუშაობდა, თუ დააკმაყოფილებენ ყველა იმ მოთხოვნას, რაც კანონით არის დადგენილი, ბუნებრივია, დარჩება სამსახურში," - განაცხადა ლაშა მალრაძემ.

24 საათი

მინისტრმა რეკომენდაციის შესწავლა შესაბამის სამსახურებს დაავალა

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს და მსჯავრდებულის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით მისი სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა მოითხოვა.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა რუსთავის №6 საპყრობილის საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების მონიტორინგისას მსჯავრდებული კახაბერ გ. მოინახულეს. სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან შეხვედრისას

მსჯავრდებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულებას უჩიოდა და მისთვის ადეკვატური მკურნალობის დანიშვნას ითხოვდა.

კახაბერ გ. დაავადებულია B და C ვირუსული ჰეპატიტით, აქვს ღვიძლის ციროზი, არაერთხელ ჰქონდა ინტენსიური სისხლდენა. 6 თვის წინ საპყრობილეში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად გამოუვლინდა სხვა მიმე დაავადებებიც. არტერიული წნევა მკვეთრად ჰქონდა დაქვეითებული, აღნიშნებოდა სისუსტე და თავბრუსხვევა.

კახაბერ გ. სახალხო დამცველის წარმომადგენელმა, ქირურგმა ლევან ლაბაურმა გასინჯა,

ამასთან შეისწავლა მსჯავრდებულის სამედიცინო ისტორია და დაასკვნა, რომ პაციენტს სამედიცინო თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობა ჰქონდა. ქირურგის დასკვნით, სისხლდენის განმეორებამ მოსალოდნელია გამოიწვიოს პაციენტის სიკვდილი. ქირურგმა მიზანშეწონილად ჩათვალა უახლოეს მომავალში პაციენტი გადაყვანილი ყოფილიყო სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, რათა ჩაუტარდეს კონსულტაციები და სხვადასხვა სახის გამოკვლევები, მიეცეს ადეკვატური დანიშნულება და იმყოფებოდეს სტაციო-

ნარში შესაბამის სპეციალისტთა მეთვალყურეობის ქვეშ.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს დიმიტრი შაშკინს და სთხოვა, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს მსჯავრდებულ კახაბერ გ-ს გადაყვანა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მისთვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების განწევის მიზნით. ახალმა მინისტრმა ომბუდსმენის რეკომენდაციის შესწავლა შესაბამის სამსახურს დაავალა.

საკუთარი ინფორმაცია

კრიმინალური სიტუაცია ამერიკაში

ამერიკის ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ გამოსცა ანგარიში ქვეყანაში არსებული კრიმინალური სიტუაციის თაობაზე.

ანგარიშის მიხედვით, ამერიკაში მოქმედებს 20 ათასი ბანდიტური დაჯგუფება, რომელთა შემადგენლობაში არის მილიონზე მეტი ადამიანი. ამერიკის ზოგიერთ რაიონში ბანდიტური დაჯგუფებები ქვეყანაში მომხდარი დანაშაულის 80 პროცენტს ჩადიან და დასაქმებული არიან შემდეგი შავი ბიზნესით: არალეგალების გადაადგილებით, იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდით, ძარცვით, ავტომანქანების გატაცებით, ქურდობითა და მკვლელობით.

ანგარში ნათქვამია, რომ ბანდების უმრავლესობა ქუჩის დანაშაულებრივი დაჯგუფებაა და წვრილმან დანაშაულს ჩადის. ხოლო ისეთი დაჯგუფებები, რომლებიც ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდით და ტრეფიკინგითაა დაკავებული,

კონტროლირდება მსხვილი დანაშაულებების მიერ, რომლებიც დაკავშირებული არიან საერთაშორისო დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან. ანგარიშის ავტორები აცხადებენ, რომ მსხვილი ბანდიტური დაჯგუფებები ცდილობენ გავლენის სფეროების გაფართოებას, ახალი წევრების შემატებას და კრიმინალური ბიზნესის მიერ მიღებული მოგების გაზრდას. ანგარიშში ნათქვამია, რომ ქვეყანაში მოქმედებს გავლენიანი მაფიოზური დაჯგუფებები - რუსული, იტალიური და ჩინური.

"2,5 მილიონი ადამიანი, ამაჟამად, ამერიკის ციხეებში იმყოფება და ეს ყოველივე საერთო ჯამში, ქმნის კატასტროფულ სიტუაციას," - ნათქვამია ანგარიშში.

ექსპერტთა განცხადებით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ბანდები საერთაშორისო სპეცოპერაციების ჩატარებისას ახერხებენ თავი დაიჭრიონ. როგორც ანგარიშში წერია, ამერიკული დაჯგუფებები გადადიან მექსიკის ტერი-

ტორიაზე და პირიქით, კანადური და მექსიკური ბანდები აშშ-ს ტერიტორიას აფარებენ თავს.

ამერიკაში დანაშაულისა და ტერორიზმის ექსპერტმა ჯონ სალივანმა ცნობილ ამერიკულ საიტზე - Defense and National Interest გამოაქვეყნა ანალიტიკური ნაშრომი "ამერიკის დანაშაულებრივი და ტერორისტული ბანდები". მისი აზრით, ამერიკაში არსებულ კრიმინალურ სიტუაციას ართულებს ამერიკული დანაშაულებრივი დაჯგუფებების კავშირი ტრანსნაციონალურ კრიმინალურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ტერორისტულ დაჯგუფებებთან.

"კავშირი მაფიოზურ კლანებსა და ბანდებს შორის სულ უფრო მყარი ხდება. მიუხედავად სხვადასხვა მოტივაციისა, დანაშაულებრივი საქმიანობისას ისინი საფუძვლიან საერთოს ნახელობენ," - აცხადებს ჯონ სალივანი.

ამერიკული ანალიტიკური პორტალის Washington ProFile-

ის მონაცემებით, ამერიკელთა დაახლოებით 40 პროცენტი ხდება სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულის მსხვერპლი. ექსპერტთა განცხადებით, სუფთა კრიმინალურ დანაშაულს ემატება ისიც, რომ ქვეყანაში იზრდება რასობრივ და რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი დანაშაულებიც. არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, თუ 2005 წელს ამერიკაში იყო 5 ათასი სკინჰედი, ახლა მათი რიცხვი 17 ათასს აღწევს. გარდა ამისა, ამერიკაში დღეისთვის რადიკალური ისლამის 10 ათასი მიმდევარია.

"რასიზმისგან ბოლომდე თავის დაღწევა შეუძლებელია, მხოლოდ რემისიის მიღწევაა შეიძლება. ქვეყანაში არსებულ კატასტროფულ სიტუაციას თუ დაუშვამებთ ფინანსურ კრიზისს, ძალზე საშიში წინასწარმეტყველება გამოგვდის, ქვეყანაში კატასტროფული კრიმინალური სიტუაციაა," - ასეთია ამერიკელი პროფესორის უილიამ ფერისის ვარაუდი.

იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი დაემატება

იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი დაემატება. პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" 2008 წლის 7 ნოემბრის ბრძანებულებაში შესაბამისი ცვლილება შევა.

აღნიშნული ბრძანებულების თანახმად, დეპარტამენტის ძირითად ამოცანებად სამინისტროს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დაწერგვა, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სამინისტროს გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში კონტროლი, სამინისტროს სისტემის კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო ქსელების ფორმირება, სამინისტრო სისტემაში ლოკალური კომპიუტერული ქსელის ფუნქციონირების ხელშეწყობა და სამინისტროს ინტერნეტთან კავშირის უზრუნველყოფა განისაზღვრა. პირველი

"კონსერვატიული პარტია" პოლიტპატიმრების საქმეების შესახებ დასკვნას გამოაქვეყნებს

რამდენიმე დღეში, "კონსერვატიული პარტიის" ადამიანის უფლებათა კომისია პოლიტიკური პატიმრებისა და დევნილების საქმეების შესახებ დასკვნას გამოაქვეყნებს.

როგორც პარტიაში აცხადებენ, კომისიის მუშაობაში საქართველოს ყველა წამყვანი უფლებადამცველი ორგანიზაცია, მათ შორის "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", "ადამიანის უფლებათა ცენტრი", "კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი", "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის", და "თანასწორობის ინსტიტუტი" მონაწილეობენ. 20 თებერვალს "კონსერვატიული პარტიის" ოფისში პარტიის ადამიანის უფლებათა კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც კომისიის წევრებმა მსჯავრდებულების ომარ ქუცნაშვილის, ლუკა რამაზაშვილისა და ვალერი გელახიანის საქმეები მოისმინეს. პირველი

სახალხო დამცველად, შესაძლოა, მანანა კობახიძე დაინიშნოს

საქართველოს სახალხო დამცველად, შესაძლოა, არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ხელმძღვანელი მანანა კობახიძე დაინიშნოს.

როგორც ცნობილია, სოზარ სუბარს თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადა ეწურება. გაერცვლებული ინფორმაციით, სახელისუფლო წრეებში სუბარის შემცველად მანანა კობახიძის კანდიდატურა აქტიურად განიხილება. "სახალხო დამცველად ჩემი კანდიდატურის წარდგენის იდეა Freedom house-ის წარმომადგენლებისგან წამოვიდა. მათ იცინი, რას ვაკეთებთ ჩვენ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. ეს იდეა არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლების ნაწილშიც მუსირებდა. როგორ განვითარდება მოვლენები, მომავალი გვიჩვენებს. თუ შემოთავაზებენ, მე ალბათ, თანხმობას განვაცხადებ, თუმცა უმრავლესობასთან ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერ საუბარი არ მოქონია," - აცხადებს მანანა კობახიძე. პირველი

ყაჩაღური თავდასხმა გერმანელ სპეციალისტებზე

"ენგურჰესზე" სარეაბილიტაციო სამუშაოები დროებით შეჩერებულია. ამის მიზეზი ჰესის №4 აგრეგატის ტექნიკურ აღჭურვაზე მომუშავე ხუთ გერმანელ სპეციალისტზე მომხდარი ყაჩაღური თავდასხმა გახდა, რომლებიც უსაფრთხოების ზომების გაძეკაცრებამდე საქმიანობის გაგრძელებაზე უარს აცხადებენ.

როგორც "ენგურჰესის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ლევან მეზონია აცხადებს, თავდასხმა 20 თებერვალს, ღამით მოხდა. ნილბანმა პირებმა გერმანელებს მობილური ტელეფონები და ფული წაართვეს. მისივე თქმით, ამჟამად, ჰესის ხელმძღვანელობასა და გერმანელ სპეციალისტებს შორის უსაფრთხოების ღონისძიებების გაძლიერებასა და სარეაბილიტაციო სამუშაოების გაგრძელებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. როგორც გუშინ გაირკვა, გალის რაიონის სოფელ ჩელალში ყაჩაღური თავდასხმისას დაჭრილი კომპანია "სიმენსის" თანამშრომელი გალის რაიონის საავადმყოფოდან განკურეს. დაზარალებული უცხოელი ამჟამად სოფელ საბერიოში იმყოფება. "სიმენსის" გადწყვეტილებით, უსაფრთხოების გარანტიების მიღებამდე "ენგურჰესის" ტურბინების სარეაბილიტაციო სამუშაოები არ განახლებება. მედიანისი

რუსეთში საქართველოს მოქალაქის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

ხატაის რაიონის სამართალდამცველებმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად 1990 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქის, რუზინ ბაირამოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილი აგდამის რაიონის მკვიდრი რაფიკ ჯაფარიოვი დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ ხატაის რაიონის პროკურატურა ავრცელებს.

პროკურატურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 18 თებერვალს უცნობმა პირებმა ახალგაზრდა მამაკაცი დანით მიყენებული მრავალრიცხოვანი ჭრილობებით საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც იგი ინტენსიური სისხლდენის შედეგად გარდაიცვალა. ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა გაარკვიეს, რომ დაღუპული აზერბაიჯანის ტერატიკური უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. დაკითხვის დროს რაფიკ ჯაფარიოვმა დანაშაული აღიარა, მისი განცხადებით შელაპარაკების დროს მასსა და ბაირამოვს შორის უთანხმოება წარმოიშვა, რომლის შემდეგაც მან ბაირამოვის დანით ჭრილობები მიაყენა. რაფიკ ჯაფარიოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და მიმდინარეობს გამოძიება. ჯი-იენ-ენი

დაკავება ნაძარცვი ნივთების გაყიდვისას

პოლიციამ სოფელ ვაჩნაძიანთკარის მუზეუმის ძარცვაში ექვმიტანილები დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ზურა ფოლადაშვილი სამართალდამცველებმა იმ დროს დააკავეს, როდესაც ის მეჩვიდმეტე საუკუნის ხანჯლების გაყიდვას აპირებდა. პოლიციის ინფორმაციით, თავად ამ ნივთების მძარცველი ზვირა ახალ-მოსულიშვილი მუზეუმიდან ნივთების მოპარვის შემდეგ რამდენიმე დღეში ნაღმზე აფეთქდა და გარდაიცვალა. ამის შემდეგ მისმა სიძემ ზურა ფოლადაშვილმა ხანჯლების გაყიდვა გადაწყვიტა. ვაჩნაძიანთკარის მუზეუმი მესამედ 15 იანვარს გაძარცვეს. ბოროტმოქმედებმა მოვერცხლილი ხანჯლები და ხმლები მოიპარეს. **პირველი**

საჯარო რეესტრში გარდაცვლილის სახელზე უფლების რეგისტრაცია არ წარმოებს

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შეახსენებს მოსახლეობას ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ საჯარო რეესტრში გარდაცვლილზე უძრავი ქონების საკუთრების უფლების რეგისტრაცია არ წარმოებს. გარდაცვლილის სამკვიდრო ქონების რეგისტრაციის მიზნით, საჯარო რეესტრში მემკვიდრემ სხვა სარეგისტრაციო დოკუმენტაციასთან ერთად, უნდა წარმოადგინოს ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მონშობა, რომლითაც დადგინდება აღნიშნულ ქონებაზე უფლებამონაცვლეობის ფაქტი. სამკვიდრო მონშობა მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია იყოს როგორც ზოგადი ხასიათის (მთელ ქონებაზე, კონკრეტული ქონების იდენტიფიკაციის გარეშე), ასევე კონკრეტულად განსაზღვრულ უძრავ ნივთზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნოტარიუსის მიერ კონკრეტულ უძრავ ნივთზე სამკვიდროს გახსნის შემთხვევაში, ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ გაცემული ცნობა-დახასიათების და სამკვიდრო ქონებაზე გარდაცვლილის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. 2007 წელს "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" კანონში შესული ცვლილების შემდეგ, მოცემული შემთხვევების დროს შესაძლებელი გახდა სამკვიდროს გაცემა. მანადე მოქმედი კანონმდებლობით, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში, ქონების რეგისტრაცია ჯერ უნდა მომხდარიყო გარდაცვლილზე, ხოლო შემდეგ მის მემკვიდრეზე. მოქმედი კანონმდებლობით, გარდაცვლილი არ წარმოადგენს არც უფლებათუნარიან და არც ქმედუნარიან სუბიექტს, მას არ გააჩნია უფლებები და მოვალეობები, შესაბამისად, ის ვერ იქნება სამართალურთიერთობის მონაწილე და მის სასარგებლოდ ვერ განხორციელდება რაიმე შინაარსის იურიდიული ქმედება. პროცედურის გაიოლებასთან ერთად, ამ ცვლილებით მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვნად შემცირდა სამკვიდრო ქონების რეგისტრაციის ხარჯი. **ჯი-ეიჩ-ენი**

ბუნებრივი აირის გაყონვას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

ბუნებრივ აირზე მომუშავე წყლის გამაცხელებლის არასწორად დამონტაჟებას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ნუტუბიძის ქუჩაზე, 217-ე კორპუსში გაზით გაგუდული ორი მამაკაცი იპოვეს, გარდაცვლილთაგან ერთ-ერთი ოჯახის სტუმარი იყო. წინასწარი ინფორმაციით, სიკვდილის სავარაუდო მიზეზი გაზზე მომუშავე წყლის გამაცხელებელია, რომელიც არასწორად იყო დამონტაჟებული. **პირველი**

ადამიანებით ვაჭრობა კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწევს

ყოველი მეხუთე დაზარალებული არასრულწლოვანია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებით მორიგი ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა. ორგანიზაციის დასკვნით, მსოფლიოში ექსპლუატაციის შედეგად დაზარალებული ყოველი მეხუთე არასრულწლოვანია. გაერო-ს ანგარიშის მიხედვით, ნარკოტიკით ვაჭრობის შავ სიაში კვლავ პოსტსაბჭოთა სივრცისა და შუა აზიის ქვეყნები აღმოჩნდნენ. "ამ ქვეყნებში ადამიანებით ვაჭრობაც პიკს აღწევს," - ნათქვამია ანგარიშში.

ანგარიშის ავტორებმა ადამიანებით ვაჭრობის საკითხის გარკვევითვის 155 ქვეყნის მდგომარეობა შეისწავლეს. გაკეთებულმა დასკვნებმა ექსპერტებს ასეთი პროგნოზის გაკეთების საშუალება მისცა - ფინანსური კრიზისის ფონზე, ადამიანებით ვაჭრობის ფაქტების რაოდენობა კატასტროფულად გაიზარდება. ანგარიშის მიხედვით, 2008 წლის განმავლობაში ქალებისა და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციის ფაქტებმა დიდ მასშტაბებს მიაღწია. ანგარიშის ავტორების შეშფოთებას ის ფაქტი ინვევს, რომ სტატისტიკის მიხედვით, ადამიანებით ვაჭრობით, ძირითადად, სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან დაკავებული. "შოკისმომგვრელია ის ფაქტი, რომ ქალები ყიდიან ქალებს და ეს უკვე ნორმად ითვლება. რაც მთავარია, ყოფილ მსხვერპლთაგან უმრავლესობა თავად ხდება ტრეფიკორი," - აცხადებენ ანგარიშის ავტორები. ანალიტიკოსები ცდილობენ

გამოიკვლიონ და გამოავლინონ ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და ის სხვა ფაქტორები, რომლებიც სუსტი სქესის წარმომადგენლებს იძულებულს ხდიან, ტრეფიკინგით დაკავდნენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არნგარიშში ყურადღება გამახვილებულია არა-ლეგალური ბიზნესის, ადამიანებით ვაჭრობის კოლოსალურ მასშტაბებზე. ანგარიშის თანახმად, მთელ მსოფლიოში 12 მილიონი ადამიანი ცხოვრობს სხვადასხვა ფორმისა და სახის ექსპლუატაციის ქვეშ. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, თანამედროვე მონობის მსხვერპლი მსოფლიოში სულ 200 მილიონი ადამიანი გახდა. მსოფლიო პრობლემის - ადამიანებით ვაჭრობის ტენდენციებზეა საუბარი ასევე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2008 წლის ანგარიშშიც, რომელიც ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა. ამ ანგარიშში ის ქვეყნებია ჩამოთვლილი, სადაც ადამიანების მონური ექსპლუატაცია ფართოდ არის გავრცელებული. შავ სიაში მოხვდნენ საუდის არაბეთი, კუვეითი, კატარი. ამ ქვეყნებში აზიიდან და აფრიკიდან ჩაყვანილ ადამიანებსაც იყენებენ მონებად. მათ, როგორც წესი, ქალაქში გადაადგილების უფლება არ აქვთ, რადგან ფიზიკური ანგარიშსწორება ემუქრებათ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ნათქვამია, რომ ამ ქვეყნების ხელისუფლების წარმომადგენლები არაფერს აკეთებენ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისთვის და დამნაშავეების დასასჯელად. მონური შრომა ფართო მასშტაბებით გამოიყენება ბრაზილიაში, ინდოეთში, და ჩინეთში.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შედგენილ შავ სიას ალჟირი, კუბა, ირანი, მოლდავეთი, ახალი გვინეა, სამხრეთ კორეა, სუდანი და სირია ასრულებენ. შავ სიაში მოხვედრილი ქვეყნების წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, შესაძლოა, გარკვეული სანქციები გააღებოს. ჰუმანიტარული დახმარების გარდა, ამ ქვეყნებს სხვა სახის ყველანაირი დახმარების შეწყვეტა ემუქრებათ. საერთაშორისო ანგარიშების მიხედვით, ყოველწლიურად, დაახლოებით 800 ათასი ადამიანი ხდება იძულებული, სხვა ქვეყანაში მონურ შრომაზე გაიყიდოს. აქედან 80 პროცენტი ქალია. ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი, მილიონობით ადამიანი საკუთარ ქვეყანაშივე ხდება. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, იმ ქვეყნებს შორის, სადაც მონური შრომა და ადამიანების სასტიკი ექსპლუატაცია ყვავის, რუსეთის ფედერაცია ლიდერობს. ამავე მონაცემებით, რუსეთში მოქმედი დანაშაულებრივი დაჯგუფებები არა მარტო სხვა ქვეყნებში ახდენენ მონების ექსპორტს, არამედ, საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ამ ტიპის იმპორტის "შემოტანითაც" არიან დაკავებული. ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ შემაშფოთებელ ტენდენციაზე ყურადღებას ამახვილებენ თავად რუსი სამართალდამცველებიც. რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო კომიტეტის ინფორმაციით, მონურ შრომაზე გაყიდული რუსეთის მოქალაქეების რიცხვი

ბოლო სამი წლის განმავლობაში ექვსჯერ გაიზარდა. რაც მთავარია, დაკარგულ მოქალაქეთა რიცხვში უმარავი მოზარდია. "ადამიანებით ვაჭრობამ კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია, რაც არა მარტო ქვეყნის უსაფრთხოებას, არამედ ნაციონალურ გენოფონდსაც სერიოზულ საშიშროებას უქმნის," - აცხადებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელი ივან შუშკევიჩი. ფლორენციის კრიმინალური პოლიციის მთავრი ინსპექტორის ალბერტო ანდრეანის განმარტებით, "ადამიანებით ვაჭრობის საკითხებში ზოგიერთი ქვეყანა მხოლოდ "მიმწოდებელია", ზოგიერთი - ტრანზიტის ახორციელებს, ზოგიერთი - "მონების მიმღებია". რუსეთი კი უნივერსალურ როლს ასრულებს, რადგან ამ ყველა ფუნქციას ერთდროულად ახორციელებს". ალბერტო ანდრეანის თქმითვე, ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, მონური შრომისთვის რუსეთიდან ძირითადად ქალები და ბავშვები შეჰყავთ. ამედროულად, რუსეთში მონებად იყენებენ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში მცხოვრებ ქალებსა და მამაკაცებს. "ადამიანებით ვაჭრობის პრობლემას კიდევ უფრო ართულებს ამ საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის სისუსტე. "ცოცხალი საქონლით" მოვაჭრეები ვერ ისჯებიან სათანადოდ, ხშირ შემთხვევაში კი, აბსოლუტურად დაუსჯელები რჩებიან," - აცხადებენ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ინტარქისის გამოხატვის მოთხოვნა (საკონსულტაციო მომსახურება)

საქართველო

რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი საკონსულტაციო მომსახურება კრედიტის ნომერი: 4516 GE პროექტის საიდენტიფიკაციო ნომერი ინტერესის გამოხატვა

საქართველოში მიიღო კრედიტი მსოფლიო ბანკიდან რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ საკრედიტო თანხის ნაწილი გამოიყენოს საკონსულტაციო მომსახურებისათვის.

მომსახურებაში შედის შესწავლის მომზადება, რათა განისაზღვროს საუკეთესო საპროექტო ვარიანტი და მდინარე მტკვარზე შემოთავაზებული ხიდის განხორციელებადობა, შემდგომ კი საუკეთესო ვარიანტის განსაზღვრა და ამ ხიდის მტკვრის ორივე ნაპირის საგზაო სისტემითან დაკავშირების განხორციელებადობა. შემოთავაზებული დავალების სირთულისა და შესაძლო საპროექტო გადაწყვეტილების სიმრავლის გათვალისწინებით, ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა სამ ეტაპად განხორციელდება: I ეტაპი: არსებული მდგომარეობის შეფასება II ეტაპი: ალტერნატივების შემუშავება და მათი განხორციელებადობის გამოცდა III ეტაპი: წინასწარი საინჟინრო და უსაფრთხოების მიმოხილვა კონსულტანტი განხორციელებს შემდეგ კონკრეტულ დავალებას ყოვლის მომცველი ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის მოსამზადებლად მდინარე მტკვარზე შემოთავაზებული ხიდისათვის და ასევე მასთან დაკავშირებული მისადგომი გზებისა და ქალაქის ქუჩების ქსელის გადაკეთებისათვის: ჩაატარებს ტრანსპორტის მოძრაობის არსებული და შემოთავაზებული პირობების საფუძვლიან შეფასებას იმ არეალისათვის, რომელზეც შემოთავაზებული ხიდი იქონიებს ზეგავლენას; გამოიკვლევს და წარმოადგენს ანგარიშს იმ სხვა ფაქტორებზე, რომლებსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეთ პროექტირებაზე; გამოიყენებს სათანადო მძღაობის განაწილების მოდელს, რათა შეფასდეს შემოთავაზებული ალტერნატიული წინადადებების ზეგავლენა; მოდელის გამოყენებაში ტრეინინგს ჩაუტარებს საქალაქო ტრანსპორტის დეპარტამენტის თანამშრომლებს; სისტემატიურად წარმოადგენს, რუკაზე დაიტანს და შეაფასებს ხიდის პროექტის რამოდენიმე ალტერნატივას 3 D

ვიზუალიზირებულ ფორმატში; განახორციელებს ალტერნატივების ეკონომიკურ შეფასებას; შეაფასებს ამ ალტერნატივების შედარებით უპირატესობებს მრავალგანზომილებიანი შეფასებების მეშვეობით; რეკომენდაციას გაუწევს და დახვეწავს უპირატეს ალტერნატივას; შეადგენს პროექტის წინასწარ საინჟინრო პროექტს; მოამზადებს დეტალურ ხარჯთაღრიცხვას; დეტალურად აღწერს მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ სტრუქტურას; განახორციელებს სოციალური და გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვას; მოამზადებს ტექნიკურ დავალებას პროექტის დეტალური საინჟინრო პროექტისათვის. დავალების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 6.5 თვეს. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს, რათა მათ გამოხატონ ინტერესი ზემოხსენებულ მომსახურებაზე. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება და ინფორმაცია იმის დასტურად, რომ ისინი კვალიფიცირებულნი არიან ზემოხსენებული მომსახურების დარგში (ბროშურები, მსგავსი საქმიანობის აღწერა, ანალოგიურ პირობებში მუშაობის გამოცდილება, სათანადო უნარ-ჩვევების მქონე კადრების არსებობა, სამუშაოთა უზრუნველყოფი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა, და ა.შ.). კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კონსულტანტი შეირჩევა კონსულტანტის კვალიფიკაციის მიხედვით (CQ) შერჩევის მეთოდით, მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპებში მითითებული პროცედურების შესაბამისად: კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ. (მიმდინარე გამოცემა). დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ 10.00-დან 18.00 საათამდე მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

განცხადება ინტერესის გამოხატვაზე მოწოდებულ უნდა იქნას ქვემოთმოყვანილ მისამართზე არაუგვიანეს 2009 წლის 10 მარტისა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი მისამართი: ოთახი 405, მეოთხე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, თბილისი 0112, საქართველო, ტელ/ფაქსი: (+995-32) 48-45-09/10/11/15/55; 940439 ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

კოალიციური მოლაპარაკებები ისრაელში

ხათუნა გაბიძვი

ისრაელში ჩატარებული სა-პარლამენტო არჩევნების შემდეგ დღის წესრიგში კოალიციური მთავრობის ფორმირების საკითხი დადგა. პრეზიდენტთან მოლაპარაკებების შემდეგ კოალიციური მთავრობის შექმნა მემარჯვენე ცენტრისტულ პარტია "ლიკუდის" ლიდერ ბენიამინ ნეთანიაჰუს დაევალა, რომელთან თანამშრომლობაზეც ქვეყნის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და პარტია "კადიმას" ლიდერმა ციპი ლივნიმ თავიდანვე უარი თქვა. თუმცა, მორიგი მინვევის შემდეგ ლევნის მკაცრად ოპოზიციური განწყობა აღარ გამოუვლენია და განაცხადა, რომ მოლაპარაკებების დაწყებისთვის ვერაფრითარ ხელშეწყობა მიზნებს ვერ ხედავს.

10 თებერვლის არჩევნების შედეგებში "კადიმამ" მცირედით მოუგო "ლიკუდს", მაგრამ სამაგიეროდ ამ უკანასკნელს მხარი დაუჭირეს რელიგიურმა და მემარჯვენე პარტიებმა, რის გამოც კოალიციაში ლიდერის პოზიცია ნეთანიაჰუს ერგო.

ციპი ლივნი ნეთანიაჰუს თელ-ავივში კვირას შეხვდა, მაგრამ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, რის შემდეგაც "კადიმას" ლიდერმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა: "ჩვენ ვერ მივაღინეთ შეთანხმებას, რადგან ჩვენ ძალიან განსხვავებული პოზიციები გვაქვს. დღევანდელმა შეხვედრამ თუნდაც ერთ რომელიმე საკვანძო საკითხში ერთი ნაბიჯითაც კი ვერ წავგვანია წინ, რაც საწინააღმდეგო შემთხვევაში საერთო სტრატეგიის შემუშავების საშუალებას მოგვცემდა."

ნეთანიაჰუს აზრით კი, კონსენსუსის მიუღწევლობა მხოლოდ და მხოლოდ დროებითი სირთულეა. ანალიტიკოსთა აზრით, დაკისრებული ამოცანის გადასაწყვეტად ნეთანიაჰუ "კადიმას" რამდენიმე მნიშვნელოვან სამინისტრო პორტფელს შესთავაზებს, ხოლო ლივნის კვლავ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დატოვებს.



ციპი ლივნი და ბენიამინ ნეთანიაჰუ

ლივნის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ იგი პალესტინურ დაჯგუფებებთან მოლაპარაკებებს 2007 წლიდან აწარმოებდა, მაგრამ სამშვიდობო პროცესს ხელი შეუშალა ახლო აღმოსავლეთში გასული წლის მიწურულს დაზარალებულ ქვეყნებში დომინანტ "ჰამასის" სარაკეტო იერიშებმა, რასაც ისრაელის მიერ ინიცირებული სამხედრო კამპანია მოჰყვა და პროცესი კვლავ ჩიხში აღმოჩნდა.

"საერთაშორისო ამნისტიის" საბრალდებო ანგარიში

ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციამ "საერთაშორისო ამნისტიამ" ისრაელისა და "ჰამასის" წინააღმდეგ სამხედრო დანაშაულებებში ბრალეულობის საკითხი წამოიწია წინა პლანზე, რასაც არც ერთი მხარე არ ეთანხმება. ორშაბათს "საერთაშორისო ამნისტიამ" გაერო-ს უშიშროების საბჭოს ორივე მხარისთვის იარაღის მიყიდვაზე ემბარგოს დანერგვის თხოვნით მიმართა. ადამიანის უფლებების დამცველთა თქმით, ორივე მხარე იარაღს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებდა. მათი ინფორმაციით, სამხედრო მოქმედებების დროს ისრაელი თეთრი ფოსფორის შემცველ ჭურვებსა და სხვა სახის საბრძოლო აღჭურვილობას იყენებდა, რომელთაც მას შეერთებული შტატები აწვდიდა; "ჰამასი" კი ისრაელის ტერიტორიაზე უმართავი რაკეტების სროლაშია და დანაშაულებული. თეთრი ფოსფორის გამოყენება, რომელიც ბურუსს ქმნის, კანონის თანახმად ნებადართულია მხოლოდ ღია სივრცეში. მისი გამოყენება მშვიდობიანი მოსახლეობით დასახლებულ პუნქტებში ეწინააღმდეგება საერთაშორისო ხელშეკრულებების პირობებს.

"საერთაშორისო ამნისტიის" მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნულ სამხედრო დანაშაულებებში ბრალდებას უარყოფს როგორც ისრაელის მხარე, ასევე "ჰამასი". "ჩვენ არ გამოგვიყენებია არც ერთი ტიპის იარაღი მოსახლეობის წინააღმდეგ. ჩვენ ამ მიმართულებით ძიებას ვაწარმოებთ," - განაცხადა ისრაელის ხელისუფლების ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარკ რეგევმა "ბი-ბი-სი"-სთან საუბარში.

"ჰამასის" წარმომადგენელმა ფაზი ბარხუმმა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის ანგარიშს უსამართლო უწოდა. საინფორმაციო სააგენტო "როიტერთან" საუბარში მან აღნიშნა, რომ "საერთაშორისო ამნისტიას" არ მოუხდენია ისრაელის არმიისა და პალესტინელთა შეიარაღების ხარისხის ერთმანეთისთვის შედარება. ბარხუმის თქმით, პალესტინელებს სხვა ქვეყნების მიერ წარმოებული იარაღი არ გამოუყენებიათ და თავდაცვა მხოლოდ შაშხანებითა და სხვა პრიმიტიული საშუალებებით უწევდათ. ოფიციალური თელ-ავივის განცხადებით, "საერთაშორისო ამნისტიის" ანგარიში არაობიექტურია, რადგან იგი "ჰამასის" მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა.

"დოკუმენტში ყურადღება არ ექცევა იმ ფაქტს, რომ "ჰამასი" სრულიად გააზრებულად იყენებდა პალესტინის მშვიდობიან მოსახლეობას ცოცხალ ფარად," - განაცხადა მარკ რეგევმა.

მისი თქმით, ისრაელი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ თავი აარიდოს მსხვერპლს მშვიდობიან მოსახლეობაში.

ახალი მთავრობის მოლოდინი ლატვიაში

მასობრივი საპროტესტო აქციების ტალღა

ლატვიის პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი ახალი მთავრობის ფორმირებას ორშაბათიდან შეუდგა. კოალიციური მთავრობა პრემიერ-მინისტრ ივარ გოდმანისის ხელმძღვანელობით გასულ კვირას გადადგა. ახალი რეალობის პირისპირ ოპოზიციურ პარტიებს მინისტრთა კაბინეტში პორტფელების მიღების შანსი გაუჩნდა.

ზატლერსის თქმით, იგი, როგორც პრეზიდენტი, პოლიტიკურ ძალებს ეყრდნობა და სწორედ ამიტომ კონსულტაციას სეიმში წარმოდგენილ აბსოლუტურად ყველა პარტიასთან გაივლის. თუმცა, პრეზიდენტის სიტყვებმა საზოგადო-

ებაში მწვავე დისკუსიაც გამოიწვია იმის გამო, რომ შესაძლოა ახალ მინისტრთა კაბინეტში რუსულენოვანი პარტია "ცენტრ სოგლასიას" და "ზაპრავა ჩელოვეკა ვ ედინოი ლატვიის" წარმომადგენლები მოხვდნენ. ნაციონალ-რადიკალური სეროიზული აქციები მარტის ბოლოს, რომ მინისტრთა კაბინეტს არცთუ დალხინებულად მოუწევს მუშაობა. სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგ-

ბით, ლატვიელების უმრავლესობას ძლიერ ეკონომიკურ ვარდნაში დამნაშავედ მთავრობა და პარლამენტი მიაჩნია. გამოძიწინარე აქედან, რა გასაკვირია, რომ ქვეყანაში მთავრობის გადადგომის მერეც არ ცხრებოდა მასობრივი საპროტესტო აქციები.

ორი დღის წინ ხელისუფლებაზე გაბრაზებულმა ხალხმა ქვეყანაში რიგით მეორე მსხვილ ქალაქ დაუგავილსში ფეხსაცმელები დაუშინეს სეიმის დიდ ფოტოსურათს. გაცილებით უფრო სერიოზული აქციები მარტში იგეგმება, როცა ქვეყნის მასშტაბით ქუჩებში პოლიციელებიც გამოვლენ.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დანყების შემდეგ, რომელიც ევროკავშირის მრავალ ქვეყანაზე სერიოზულად აისახა, მასობრივი გაფიცვები და საპროტესტო აქციები გამოიწვია. მღელვარება ლატვიაშიც გავრცელდა, სადაც უმუშევრობის დონე დღითიდღე უფრო იზრდება. სოციალური სამსახურის მონაცემებით, რომელიც დასაქმებულთა პროცენტულ მაჩვენებელს იკვლევს, მიმდინარე წლის თებერვალში უმუშევრობის დონემ ლატვიაში 9 პროცენტს მიაღწია და არ არის გამორიცხული, წლის ბოლოს 13 პროცენტამდეც გაიზარდოს.

რუსეთის გენშტაბი ახალი სამხედრო ტექნიკისა და იარაღის მასიურ შესყიდვას გეგმავს

რუსეთის გენერალური შტაბის ინფორმაციით, 2020 წლისათვის მუდმივი სამხედრო მზადყოფნის ყველა დანაყოფი 100 პროცენტით ახალი ტექნიკით იქნება დაკომპლექტებული. რუსული სამხედრო შეიარაღების პროგრამით, რომელიც ამ დროისათვის შემუშავების პროცესშია, ახალი სამხედრო ტექნიკისა და იარაღის მასიური შესყიდვაა დაგეგმილი. "გვეგმავთ, 2020 წლისათვის ჩვენი მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის ნაწილები ახალი ტექნიკითა და შეიარაღებით 100-ით, ხოლო დანარჩენი ნაწილები კი 70 პროცენტით მოვამარაგოთ," - განაცხადა რუსეთის გენშტაბის გენერალმა ნიკოლოზ მაკაროვმა. მისივე განმარტებით, ამ ეტაპზე ახალ შეიარაღებაზე გადასვლის თვალსაზრისით პროგრამის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს. "ჩვენ შეიარაღების ახალ პროგრამას ვაყალიბებთ," - დასძინა რუსმა გენერალმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

აზერბაიჯანი ავღანეთთან თანამშრომლობას გააფართოებს

ავღანეთში ნატო-ს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში აზერბაიჯანი არა მხოლოდ საკუთარ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობას გაზრდის, არამედ ავღანეთს სამხედრო სფეროშიც დაეხმარება. შესაბამისმა სტრუქტურებმა აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტს უკვე წარუდგინეს წინადადებათა პაკეტი, რომელსაც მთავრობა, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში დაამტკიცებს. პროექტი რამდენიმე მიმართულებას მოიცავს, მათ შორის, ავღანეთის ნაციონალური არმიისთვის პროფესიული კადრებით დახმარებას. ავღანეთის მთავრობის მიმართვის საფუძველზე ამ ქვეყნის არმიის ოფიცრებს აზერბაიჯანის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში მოამზადებენ. გარდა ამისა, აზერბაიჯანი ავღანეთის სასაზღვრო ძალებსაც დაეხმარება. პროგრამის დამტკიცების შემდეგ აზერბაიჯანელი სპეციალისტები კონტრაბანდასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის, სასაზღვრო-გამშენებლურ ტექნოლოგიების გაძლიერების და ა.შ. კუთხით ავღანელებისთვის სწავლებებსა და ტრენინგებს ჩაატარებენ. აზერბაიჯანის ხელისუფლება ავღანეთის ეკონომიკის აღსადგენად ტექნიკური დახმარების აღმოჩენასაც გეგმავს. ამ კონტექსტში ავღანელი სტუდენტები აზერბაიჯანში, სამოქალაქო დანიშნულების სასწავლო დაწესებულებებში გადამზადებას სხვადასხვა სპეციალობით გაიცდიან. ამჟამად ავღანეთში 47 აზერბაიჯანელი სამხედრო მოსამსახურე თურქეთის ბატალიონის შემადგენლობაში იმყოფება. 2008 წლის ოქტომბერს აზერბაიჯანის მილიმეჯუნდისა ავღანეთში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის კიდევ 45-ით გაზრდის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. **ჯი-ეიჩ-ენი**

სერბეთს მრავალფუნქციური გამანადგურებლების შეძენა სურს

სერბეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალ დრაგან კატანიჩის განცხადებით, ოფიციალურ ბელგრადს მრავალფუნქციური გამანადგურებლების შეძენა სურს. მრავალფუნქციურ გამანადგურებელს, ჰაერში უპირატესობის მოპოვებასთან ერთად, სადაზვერვო ფუნქციის შესრულება და მინისხედა სამიზნეების განადგურებაც შეუძლია. სერბეთის თავდაცვის სამინისტრო განიხილავს ამერიკული "F-16", "F-18", ევროპული "იუროფაიტერ ტაიფუნის", შვედური "რიპნის" და რუსული "მიგ-29" და "სუ-30" შეძენის შესაძლებლობებს. სერბეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი მოთხოვნა ისაა, რომ თვითმფრინავის ექსპლუატაცია, მომსახურება და მოდერნიზება რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იყოს შესაძლებელი. პარალელურად, სერბეთი თავისი ავიაპარკის აქტიურ აღდგენა-მოდერნიზებას ახორციელებს. კერძოდ, ბოლო თვეების განმავლობაში მწიკრში ჩადა 16 ერთეული სერბული "მიგ-29", "ან-26" და "იაკ-40" ტიპის თვითმფრინავები. **მედიანიუსი**

ჩინეთში ნახშირის მალაროში მომხდარ აფეთქებას 73 ადამიანი შეეწირა

73 ადამიანი დაიღუპა და 113 დაშავდა ჩინეთში ნახშირის მალაროში მომხდარი აფეთქების შედეგად. უბედური შემთხვევა ღამით, ჩინეთის ქალაქ გუცზაოში მოხდა. აფეთქების დროს მინის ქვეშ 436 ადამიანი იმყოფებოდა. ინციდენტის შემდეგ 340 მალაროელის ამოყვანა მოხერხდა, მათგან რამდენიმე საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. რამდენიმე ადამიანის პოვნა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. შემთხვევის ადგილას სამაშველო სამუშაოები მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ გუცზაოს ნახშირის მალარო ყველაზე მსხვილ მწარმოებელ კომპანია "Shanxi Jaiomei Group"-ს ეკუთვნის. **მედიანიუსი**

ფრანგებმა საკუთარი უპილოტო საფრენი აპარატი გამოსცადეს

პირველმა ფრანგულმა უპილოტო საფრენმა აპარატმა "ესაიდემმა" ავღანეთში პირველი საბრძოლო გაფრენა განახორციელა. "დრონის" სისტემის აპარატი ბაგრამის ავიაბაზიდან აფრინდა და ფრენა საათისა და 40 წუთის განმავლობაში გაგრძელდა. "დრონის" ოპერატორების მომზადებას 200 საფრენი საათი დასჭირდა და ავღანეთში განლაგებულმა ფრანგულმა კონტინგენტმა უპილოტო აპარატი მას შემდეგ მიიღო, რაც საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სარდლობა დარწმუნდა "ესაიდემის" ბრძოლისუნარიანობაში. ფრანგული "დრონის" მოქმედების რადიუსი 1000 კილომეტრს შეადგენს. მას სადაზვერვო გაფრენის განხორციელება დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეუძლია. აპარატი 6-7 ათასი კილომეტრის სიმაღლეზე დაფრინავს და მონიშნულ დეგის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ბევრი საშუალებისთვის მიუწვდომელია. "ესაიდემს" საფუძვლად ებრაული "იგლი" დაედო. უპილოტო აპარატი აღჭურვილია ვიდეო და ინფრანითელი კამერებით, მობილური მინისზედა სამიზნეების დეტექტირების მონყობილობით, ლაზერული შორსმზომავითა და თანამგზავრული კავშირის სისტემებით. "ესაიდემი" ინფორმაციას რეალურ დროში გადასცემს. **მედია-ნიუსი**

ობამა გადასახადებს ამცირებს

ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას გადაწყვეტილებით, აშშ-ს მოსახლეობის 95 პროცენტს გადასახადები შემცირდება. გადასახადების შემცირების გეგმა მიმდინარე წლის აპრილიდან ამოქმედდება. ობამას განმარტებით, აშშ-ს ისტორიაში გადასახადების შემცირების შესახებ გადაწყვეტილება ასე სწრაფად ძალაში არასოდეს შესულა და მოსახლეობის ასეთ დიდ რაოდენობას არ შეხებია. პრეზიდენტის აღნიშნული ინიციატივის შედეგად ამერიკაში თითოეული ოჯახი ყოველთვიურად, დაახლოებით, 65 აშშ დოლარს დაზოგავს. აღსანიშნავია, რომ ობამამ გასულ კვირას ხელი მოაწერა კონგრესის მიერ მოწონებულ გეგმას ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის შესახებ. გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილია 787 მლრდ აშშ დოლარის გამოყოფა, აქედან 36 პროცენტი გადასახადების შემცირებაზე, ხოლო 64 პროცენტი - 3,5 მილიონი სამუშაო ადგილის შენარჩუნებასა და შექმნაზე დაიხარჯება. ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ეკონომიკური კრიზისის დროს გადასახადების შემცირებით მოსახლეობას საშუალება მიეცემა, მეტი დახარჯოს პროდუქტის შეძენასა და მომსახურებაზე, რაც წარმოების გამოცოცხლებას შეუწყობს ხელს. **მედია-ნიუსი**

კონდოლიზა რაისი მემუარების სამტომეულს გამოსცემს

აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა საგამომცემლო კომპანია "ქროუნ ფაბლიშერსთან" გააფორმა კონტრაქტი, რომლის თანახმადაც, რაისი მემუარების სამ წიგნს გამოსცემს. მემუარების გამოცემით აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი 2,5 მლნ აშშ დოლარს მიიღებს. რაისის მემუარების პირველი ტომი, საგარაუდოდ, 2011 წელს გამოვა. პირველ ტომში რაისი აშშ-ს უსაფრთხოების საკითხებში მის მიერ განუღო სამუშაოსა და ბუშის ადმინისტრაციაში მუშაობის პერიოდს გაანალიზებს. მეორე და მესამე ტომებში კი საუბარი იქნება ყოფილი სახელმწიფო მდივნის ოჯახსა და მის პირად ცხოვრებაზე. **მედია-ნიუსი**

მოსკოვში ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები მასშტაბურ ხასიათს იძენს

მოსკოვში ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს. ეკონომიკური კრიზისით უკმაყოფილო მოსახლეობა გუშინ მოსკოვში გამართულ საპროტესტო აქციაზე ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებდა და ვადამდელ რიგგარეშე არჩევნებს ითხოვდა. **"პუტინი+მედევედვი=კრიზისს"** - ასეთი იყო დემოსტრაციის მონაწილეთა ლოზუნგები, რომლებიც ხელისუფლებას გადადგომისკენ მოუწოდებდნენ. მოსკოვში გამართულ საპროტესტო აქციას ოპოზიციონერი ლიდერებიც ესწრებოდნენ. ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი გარი კასპაროვი რუსეთის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს არსებული ეკონომიკური კრიზისის გამწვავებაში ადანაშაულებდა და მათ გადადგომისკენ მოუწოდებდა. მისივე თქმით, "პუტინის პირობებში ქვეყანა დაიღუპება." აქციის მონაწილეთა მტკიცებით, რუსეთში კმაყოფილი მხოლოდ 3 პროცენტია, დანარჩენი მოსახლეობა კი გაუსაძლის პირობებში იმყოფება. **პირველი**

ფინანსების მკაცრი კონტროლი და პროტაქსიონიზმის ნიშნები

ბერლინის სამიტის შედეგები

მარიკა იაშვილი

ბერლინის სამიტი დასრულდა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა მსოფლიოს ეკონომიკის გადარჩენასა და კრიზისიდან გამოსვლის გზებზე კიდევ ერთხელ იმსჯელეს და დასკვნებიც გააკეთეს. ევროკავშირის ლიდერები ეკონომიკის სხნას ფინანსური ბაზრისა და საინვესტიციო ფონდების მკაცრ კონტროლში ხედავენ.

"ფინანსური ბაზრები, ფინანსური პროდუქტები და ინვესტირების ქმედება საგანგებო კონტროლის გარეშე ვერ განხორციელდება," - ნათქვამია სამიტის შემდეგამებელ კომუნიკეში, რომლის საბოლოო ვარიანტი ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა.

მომავალში ევროპული გრანდები განსაკუთრებულ ყურადღებას საინვესტიციო ფონდებს დაუთმობენ, რომლებიც, როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, **"შესაძლოა სისტემურ რისკს წარმოადგენდნენ."**

პირველი, ვინც სამიტზე კონტროლის გამკაცრების შესახებ ალაპარაკდა, ლონდიების მასპინძელი, ანგელა მერკელი იყო.

ყოველკვირეულ ვიდეომიმართვაში გერმანიის კანცლერმა განაცხადა, რომ ევროკავშირის ფინანსური პროდუქტების მართვის კანონში **"არავითარი ხვერილი აღარ უნდა დარჩეს."**

გერმანიის კანცლერმა შემოფოთება ბოლო პერიოდში ევროპაში ამოქმედებული პროტექციული სისტემების გამოც გამოთქვა, რომელთა მეშვეობითაც ზოგიერთი ქვეყანა თავისი კომპანიების დახმარებას ცდილობს.

გერმანიის იდეამ ფინანსური ბაზრების კონტროლის გამყარების შესახებ, დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერა ჯერ კიდევ სამიტის დაწყებამდე მოიპოვა.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა გაზეთ "ობზერვერთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ ბანკირები კი არ უნდა აკონტროლებდნენ ეროვნულ ეკონომიკას, არამედ მის ინტერესებზე ზრუნავდნენ. მან ფინანსური წრეების წარმომადგენლებს მუშაობის ფრთხილი და წინდახედული მეთოდების გამო-



ევროკავშირის ლიდერები ფინანსურ ბაზრებზე კონტროლს ანესებენ

ყენებისკენ მოუწოდა.

პრემიერის აზრით, კომერციულმა ბანკებმა კონცენტრირება შემნახველ ანაბრებსა და დაბალი ანაზღაურების მქონე პირებისთვის სესხის გაცემაზე უნდა მოახდინონ და უარი უნდა თქვან საერთაშორისო ღონის სარისკო ინვესტიციებზე.

ინტერვიუში გაკეთებული განცხადებები წინააღმდეგობაში მოდის ბრაუნის სხვა განცხადებებთან. ბრიტანეთის პრემიერი სულ ცოტა ხნის წინათ ფინანსური ინოვაციების აქტიური მხარდამჭერი იყო, რამაც, ანალიტიკოსთა აზრით, ბანკირთა მიერ სარისკო დაბანდებების გაკეთების პროვოცირება გამოიწვია და საბოლოოდ ამჟამინდელი კრიზისის მიზეზიც გახდა.

სამიტის ფარგლებში ერთი ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრა ც გაიმართა. ევროკავშირის თავმჯდომრე ქვეყნის, ჩეხეთის პრემიერ-მინისტრი მირეკ ტოპოლანეკი საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის პირისპირ შეხვდა. განხილვის მთავარი თემა საფრანგეთის მხრიდან თავისი საავტომობილო მრეწველობის გადარჩენის მცდელობა იყო.

სარკოზის სურს, ავტომობილთა წარმოება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან საფრანგეთის ტერიტორიაზე გადაიტანოს.

ჩეხეთის აზრით, ასეთი ინიციატივა პროტექციონიზმის გამოვლინებაა. ასეთ შეფასებას ევროკომისიაშიც ეთანხმებიან, სადაც უკვე გამოთქვეს შემოფოთება საფრანგეთის, ესპანეთისა და იტალიის მხრიდან თავიანთი ავტომრეწველობის გადასარჩენად პროტექციონისტული მცდელობის გამო.

თუმცა საფრანგეთის პრეზიდენტი მოლაპარაკებათა დაწყებამდე აცხადებდა, რომ შეხვედრისგან კონკრეტულ შედეგებს ელოდება და კრიზისის შესახებ ევროკავშირის პოზიციის ჩამოყალიბებაში რაიმე სახის ფრთხილ კომპრომისს ან სწრაფ გადაწყვეტილებას არ შეეგუება.

"კრიზისის სერიოზულობა და მისი სიღრმე ფუნდამენტურ ცვლილებებს მოითხოვს. ჩვენ კაპიტალიზმის მშენებლობა კიდევ ერთხელ ნულიდან უნდა დავიწყოთ და ის მეტად მორალურად ვაქციოთ. ამიტომაც მე ბერლინში კონკრეტული პასუხების მოსმენა მჭირდება," - გა-

ნაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა.

ბერლინის სამიტი წინ უძღოდა დიდი ოცეულის ქვეყნების შეხვედრას, რომელიც აპრილში ლონდონში შედგება. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ასეთი გააქტიურება ნოემბერში გამინგტონში, დიდი ოცეულის წინა შეხვედრაზე დადებულმა პირობებმა გამოიწვია. მსოფლიოს გრანდების ლიდერებმა აშშ-ში კრიზისიდან გამოსვლის გეგმის შემუშავების პირობა დადეს. თუმცა დღემდე ეკონომიკის სტიმულირების პაკეტებმა, რომლებიც მსოფლიოში ამოქმედდეს, საგრძნობი შედეგები ვერ მოიტანეს და მხოლოდ პროტექციული პოლიტიკის განხორციელების საფრთხე გამოიწვიეს.

ევროკავშირმა პროტექციონიზმში ბრალი აშშ-საც დასდო, რაც გეგმის "შეიძინე ამერიკული" გამოქვეყნებამ გამოიწვია. ამ ინიციატივის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ შესაძლოა აშშ-ს მაგალითის სხვა ქვეყნებმაც მიბაძონ, რაც თავისუფალი ვაჭრობის საფუძვლების რღვევასა და კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავებას განაპირობებს.

ალბანეთი თავის ტერიტორიას აშშ-ს საჰაერო თავდაცვით სისტემაზე უთმობს

სტრატეგიული პარტნიორი, მათ თხოვნას დათანხმდება," - აცხადებს ქვეყნის პრემიერი სალი ბერიშა.

ალბანელი მაღალჩინოსანის ასეთი რეაქცია გაზეთ "ინთერნეიშენალ პერალდ თრიბუნში" დაბეჭდილ სტატიას მოჰყვა. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთი და ჩეხეთი უარს იტყვიან, ამერიკამ შესაძლოა თავისი საჰაერო თავდაცვითი სისტემების განთავსების ალტერნატიულ ტერიტორიად ალბანეთი არჩიოს.

თეთრი სახლის წინა ადმინისტრაცია 2013 წლისთვის პო-

ლონეთისა და ჩეხეთის ტერიტორიაზე ათი სარაკეტო სისტემისა და რადარის განთავსებას გეგმავდა, რასაც ბუშის ადმინისტრაცია ირანის მხრიდან შესაძლო სარაკეტო თავდასხმის თავიდან აცილების მცდელობით ხსნიდა.

აშშ-ს გეგმები რუსეთის გალიზიანებას იწვევს, რადგან მოსკოვში მიიჩნევენ, რომ ასეთი სისტემები შესაძლოა რუსეთის უსაფრთხოებისთვის საშიშროებას წარმოადგენდნენ.

თებერვალში აშშ-ს ახალ ადმინისტრაციაში აცხადებდნენ, რომ არ არის გამორიცხული, უარი თქვან ევროპაში

თავდაცვითი სისტემების განთავსებაზე იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ირანს ბირთვული პროგრამის შეჩერებაში დაარწმუნებს.

რამდენიმე დღის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ შეიარაღების და მათ შორის საჰაერო თავდაცვითი სისტემების საკითხი სერიოზულ განხილვას მოითხოვს. თუმცა ეს მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც საგანგებოდ შექმნილი ჯგუფი აშშ-ში ამ სფეროში არსებულ მდგომარეობას საგანგებოდ შეისწავლის.

რევიუ

რვა ჭილდო დატაკ მილიონერს

ჰიტ ლეჯერმა "ოსკარი" გარდაცვალების შემდეგ მიიღო

ნა ვაჰაა

...ათოსი, პორტოსი და... მესამე? ვინ იყო მესამე? რა ერქვა მესამე მუშკეტერს? - ეს არის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მარტივი ლიტერატურული კითხვა, რომელზე პასუხი წესით ყველამ უნდა იცოდეს, მაგრამ ჯამალ მალიკი ყველა არაა - ის განსაკუთრებულია, მას საკუთარი ბედისწერა აქვს, სადაც არამისისთვის ადგილი არაა. მუმბაის ბინძურ და ლატაკ უბანში გაზრდილი ბიჭი ახლა საკუთარი ბედისწერის წინაშე ზის და სიმდიდრისგან მხოლოდ ერთი ნაბიჯი აშორებს. თუმცა იგი სხვა არჩევანს აკეთებს - ჯამალ მალიკი სიყვარულს ირჩევს. ჯამალი დენი ბოილის 2008 წლის ფილმის, "შემთხვევითი მილიონერის" მთავარი პერსონაჟია, ფილმმა კი ამერიკის კინოაკადემიის მთავარი ჯილდო მიიღო.

ლოს ანჯელესში ყოველი წლის თებერვლის მინურულს ტემპერატურა საგრძნობლად მაღლა იწევს. ყველგან "ოსკარის" ნომინატების სახელები ისმის და ფოტოები ჩანს, თუმცა მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა. წელს ასეთი ბრიტანელი ქეით უინსლეთი იყო - მსახიობი, რომელიც უბრალოდ ვალდებული იყო გაემარჯვა, ამისთვის კი რამდენიმე წინაპირობა ჰქონდა. იგი პირველად 1996 წელს ენგ ლის ბრიტანულ ფილმში "გრძნობა და გონებაში" შესრულებული მეორეხარისხოვანი როლისთვის იყო ნომინირებული, თუმცა ჯილდო ვუდი ალენის "ძლევათსილი აფროდიტას" მსახიობმა, მირა სორვინომ მიიღო. ამის შემდეგ უინსლეთის გვარი კიდევ ოთხჯერ გამოჩნდა ნომინანტთა სიაში: "ტიტანიკი", "აირისში", "გონების ბრწყინვალე ნათებასა" და "პატარა ბავშვებში". "მკითხველის" ნომინაცია მისთვის რიგით მეექვსე იყო, რაც მამინვე გახდა ცინიზმისა თუ სიბრაულის მიზეზი. უინსლეთი ლამის უშუდგეო ნომინაციების რეკორდსმენი გახდა, ამიტომ საკუთარი თავის რეაბილიტაციის გამო მაინც ვალდებული იყო ჯილდოსთვის ბოლომდე ებრძოლა. მისი მოსალოდნელი წარმატების გარანტი წლევეანდელი "ოქროს გლობუსის" დაჯილდოებაზე მიღებული ორი პრიზიც გახდა, ერთ-ერთი კი სწორედ "მკითხველისთვის" გადასცეს. მიუხედავად ამისა, ბოლო წუთამდე არსებობდა ეჭვი, რომ მსახიობს კიდევ ერთხელ მოუწევდა დარბაზში დარჩენა, რადგან ძალიან ძლიერი კონკურენტები ჰყავდა. მათ შორის, ყველაზე გამოკვეთილი კი ანჯელინა ჯოლი იყო - კლინტ ისტუდის დრამა "შეცვლაში" შესრულებული როლისთვის. შეიძლება ითქვას, რომ მსახიობმა ამ როლით ბოლომდე შეძლო მის შესახებ არსებული ცოტა არასერიოზული წარმოდგენის დანგრევა, რადგან ფილმში არა ერთი მეტად შთაბეჭდილი სცენა შემოგვთავაზა. დიდი შანსი ჰქონდა ახალგაზრდა ენ ჰეტუეისაც ფილმში "რეიჩელი თხოვდება" შესრულებული ყოფილი ნარკომანის როლისთვის. ამ თოჯინას გარეგნობის მსახიობმა თავისი ახალი როლით საკუთარი იმიჯი რადიკალურად შეცვალა



გამარჯვებული მსახიობები

და იმედია ამავე მიმართულებით გააგრძელებს. მე-15 ნომინაცია იყო მერილ სტრიპისთვის (ფილმისთვის "ეჭვი"), რომელსაც "ოსკარზე" ალბათ უკვე ინერციით წარადგენენ - უბრალოდ შეუძლებელია, რომ წლის განმავლობაში ერთი საოსკარე როლი მაინც არ ჰქონდეს. სტრიპი, ისევე, როგორც "ეჭვის" დანარჩენი სამი წარდგენილი მსახიობი წელს ჯილდოს გარეშე დარჩა, არადა ემი ადამსის, ვიოლა დევისისა და ფლოპ სეიმურ ჰოფმანის სახით დანარჩენ ნომინანტებს მართლაც ძლიერი კონკურენტი ჰყავდათ.

81-ე "ოსკარი" ამ დაჯილდოების ისტორიაში ალბათ განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს, რადგან პირველად მოხდა, რომ ჯილდო გარდაცვლილმა მსახიობმა მიიღო. ვინც შარშან გამოსული კრისტოფერ ნოლანის "ბნელი რაინდი" ნახა, ალბათ არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ეს მსახიობი მინიმუმ ნომინაციას მაინც მიიღებდა, ხოლო მისი უეცარი გარდაცვალების შემდეგ აშკარა გახდა, რომ ჯილდოს ალბის ყველაზე დიდი შანსი ჰქონდა. ჰიტ ლეჯერი ნამდვილად იმსახურებდა პრიზს, მაგრამ ალბათ ჯობდა ცოცხალი მსახიობებისთვის უფრო ეცათ პატივი, მით უმეტეს, რომ მეორეხარისხოვანი მამაკაცი მსახიობების ნომინაციაში არა ერთი ღირსეული კანდიდატურა იყო. პირველ რიგში, ეს არის რობერტ დაუნი უმცროსი და მისი პერსონაჟი კირკ ლაზარუსი პენ სტილერის მსუბუქი, თუმცა ძალიან სასაცილო კომედიიდან "ტროპიკული ჭექა-ქუხილი". დაუნი მთელი ფილმის განმავლობაში სამსახიობო ოსტატობის გაკვეთილებს გვითარებს და გარდასახვის საოცარ უნარს ავლენს. მას განსაკუთრებული პერსონაჟი ჰყავს შექმნილი - კირკ ლაზარუსი ავსტრალიელი მსახიობია, რომელიც ფილმში შავკანიანს თამაშობს, ხოლო ფილმის ერთ ეპიზოდში ვიეტნამელადაც გარდაიქმნება. ძნელია სიტყვებით გადმოსცე ის, რასაც რობერტ დაუნი თავისი პერსონაჟისგან აკეთებს - ეს უბრალოდ

უნდა ნახო! ასევე დაიჩაგრა მაიკლ შენონი - აგრესიული ფსიქოპატი მაიკ მედსენის "რეკლუციური გზიდან", რომელიც ფილმის ერთ-ერთ ეპიზოდში ნამდვილ ფოიერვერკს ახდენს.

შარშან გამოსული ვუდი ალენის "ვიკი კრისტინა ბარსელონა" შესაძლოა ამ რეჟისორის ერთ-ერთ სუსტ ნამუშევრად მივიჩნიოთ, რომლის მოსაწონადაც მაყურებელს აუცილებლად სჭირდება ხელჩასაჭიდი რამ. სწორედ ასეთი მამველი რგო-

ლის ფუნქციას ითავსებს პენელოპა კრუსის პერსონაჟი მარია ელენა, რომელიც გამოჩენისთანავე ყველაფერს თავდაყირა აყენებს და დანარჩენი გამირების ცხოვრებას ლამის ჯოჯოხეთად აქცევს. ეს კრუსის მეორე ნომინაცია იყო (პედრო ალმოდოვარის "დაბრუნების" შემდეგ), რომელიც აუცილებლად იმსახურება ბედნიერ ფინალს. თუმცა კონკურენტები ამ ნომინაციაშიც ძლიერები იყვნენ, თუნდაც ვიოლა დევისი "ეჭვიდან". ეს პრაქტიკულად



დენი ბოილი

უცნობი მსახიობი ფილმში სულ რაღაც ათიოდე წუთი ჩანს და ამ დროის განმავლობაში თვით მერილ სტრიპის გმირთან შედის დიალოგში. მიუხედავად ასეთი ოპონენტისა, დევისი რამდენიმე წამში ახერხებს სამსახიობო ნიჭის ამოქოქვას და ეკრანზე ემოციების ვულკანს აფრქვევს.

ქალის მთავარი როლის ნომინაციის მსგავსად, გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდა მამაკაცის მსახიობის ნომინაციასაც - მიკი რურკი, წლების განმავლობაში კინოდან წასული და ტრიუმფით დაბრუნებული მსახიობი, რომელსაც დარენ არანოვსკიმ თავის "რესლერში" მთავარი როლი და მეორე შანსი მისცა. რურკმა ამ ფილმის გამო უკვე მიიღო რამდენიმე ჯილდო, მათ შორის "ოქროს გლობუსიც" და "ოსკარის" უდავო ფავორიტადაც მიიჩნეოდა, თუმცა სრულიად სანაწაღმდეგო მოხდა და სცენაზე "მილკის" მთავარი მსახიობი მონ პენი მიიხმეს. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ყოველდ სამართლიანი გადანყვეტილება, რადგან მსახიობი საკუთარ პერსონაჟს მთელი ფილმის განმავლობაში ხელისგულივით გვიშლის და მას დადებითი და უარყოფითი თვისებებით, პიკანტური დეტალებითა და საზოგადოებრივი როლით გვაცნობს. პირველი გეი პოლიტიკოსის, ჰარვი მილკის მეტ-ნაკლებად საინტერესო ცხოვრების ისტორიას შონ პენი ღამის შოუდ აქცევს, რისთვისაც დამსახურებული, რიგით მეორე "ოსკარიც" მიიღო. მის გარდა ნომინაციაში კიდევ ერთი ღირსეული კანდიდატი იყო - ფრენკ ლანჯელა რონ ჰოვარდის "ფროსტი/ნიქსონიდან", რომელიც ფილმში რიჩარდ ნიქსონის სახეს არაჩვეულებრივად ქმნის.

წლევეანდელი "ოსკარის" უდავო ფავორიტი, დენი ბოილის "შემთხვევითი მილიონერი" ცხადია ჯილდოების მფრივაც რეკორდსმენი გახდა და ერთბაშად რვა ნომინაციაში გაიმარჯვა. საუკეთესო რეჟისორის წოდება დენი ბოილმა დაიმსახურა, რომელმაც მეტად ორიგინალური სტრუქტურის ფილმი გადაიღო და მართლაც არაჩვეულებრივი ისტორია მოგვითხრო. რეჟისორი, რომელიც მანამდე ძირითადად სანახაობრივი ფილმებით იყო ცნობილი ("28 დღის შემდეგ", "მზის ნათება", "ტრანსპოზინგი", "პლაჟი"), ამჯერად სრულიად სხვა ამპლუაში წარმოგვიდგა და უბრალო ადამიანების შესახებ მოგვითხრო. ამ ფილმის შესახებ ინფორმაცია უკვე არა ერთხელ შემოგთავაზეთ, ამიტომ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ფილმი პრაქტიკულად უნაკლოა, რაზეც მის მიერ მიღებული ჯილდოების რაოდენობაც მეტყველებს.

რაც შეეხება თავად დაჯილდოების ცერემონიალს, უკანასკნელი წლების განმავლობაში უღიმღამო სანახაობად ქცეული საღამო წელს სრულიად განსხვავებული და ცოცხალი იყო. ახალმა წამყვანმა, მსახიობმა პიუ ჯექმანმა მაყურებელს ბილი კრისტალის დროინდელი შოუები გაახსენა. ცერემონიალის ორგანიზატორებმა მსახიობების წარდგენის ახალი ვარიანტიც შემოგვთავაზეს და საუკეთესო ფილმის ნომინაციის ფილმებიც მეტად ორიგინალური ხერხით გავაცანეს.

ჯემალ მონიავა - 70

ცნობილ მსახიობს და მწერალს, ჯემალ მონიავას, 23 თებერვალს 70 წელი შეუსრულდებოდა. "ხელოვნების მუშაკთა სახლის" ორგანიზატორობით მოეწყო ჯემალ მონიავას 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. თუმცაღა, საღამოს მოწყობა მის სიცოცხლეშივე, ერთი წლის წინ იყო დაგეგმილი. "ხელოვნების მუშაკთა სახლის" დიასახლისის ციკო ჯაფარიძის განცხადებით: **"დღევანდელი საღამო ერთი წლის წინ დაიგეგმა. ხელოვნების მუშაკთა სახლში ჩვენ ყოველთვის ვატარებდით მსგავს საღამოებს, რომლის, თითქმის, უცვლელი ნაწყვენი იყო. ერთხელ დავპირდი კიდეც, შენც აქ გადავიხდი დაბადების დღის იუბილეს-მეთქი. სამწუხაროდ თავად იგი ამას ვერ მოესწრო. მე ჩემს მეგობარს პირობა შევუსრულე"**

ჯემალ მონიავასადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს ესწრებოდა მისი მეგობრები, ოჯახის წევრები და, უბრალოდ, გულშემატკივრები. მას ახასიათებდნენ, როგორც თბილ, ერთგულ მოსიყვარულე ადამიანს. გარდა იმისა, რომ იგი იყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სახე, იგი იყო ამავედროულად შესანიშნავი მწერალიც.

მსახიობი გურამ ჯაში, რომელიც ჯემალ მონიავას მეგობარი და კოლეგა გახლავთ, სიმოვნებით იხსენებს მასთან ურთიერთობის წლებს. **"სასიხარულოა ის, რომ ბატონ ჯემალს სცენაზე მოვესწარი, გვითამაშია კიდეც ერთად. ცხოვრებაში მით უმეტეს საოცრება გახლდათ. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო იუმორის დიდი გრძნობით. იგი არა მარტო კარგი მსახიობი იყო, არამედ კალამიც ბრწყინვალედ უჭრიდა. სამწუხაროდ, დღეს ჩვენთან აღარ არის. მის მოსაგონებლად ყველანი ბედნიერად ვყოფილიყავით."**

ჯემალ მონიავას 70 წლის იუბილე მეგობრებმა მუსიკის მიძღვნით, მისი ნაწარმოებებიდან ნაწყვეტების ნაკითხვითა და ცხოვრების ეპიზოდებიდან ფრაგმენტების გახსენებით მიულოცეს. **"24 საათი"**

"კომედიების რეჟისორი" - დოდო ალექსიძე

გუშინ, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტმა მოაწყო დიდი ქართველი რეჟისორის დიმიტრი (დოდო) ალექსიძის 99 წლის იუბილე.

14 საათზე დიდუბის პანთეონში ალექსიძის ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა და კოლეგებმა მონიხაულეს დიდი ქართველი მოღვაწის საფლავი და პატივი მიაგეს მის ხსოვნას. 16 საათზე კი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში გაიმართა ხსოვნის საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ ბატონი დოდოს ოჯახის წევრები, კოლეგები, და მისი ხელოვნების თავყვანისმცემლები.

შეხვედრაზე ნაჩვენები იყო ვიდეოკოლაჟი, თეატრალური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა ითამაშეს ნაწყვეტები დოდო ალექსიძის სპექტაკლებიდან მისმა ახლობლებმა გაიხსენეს მასთან დაკავშირებული ისტორიები, (გიგა ლორთქიფანიძე, ნანა ფაჩუაშვილი, რობიკო სტურუა, ზურა ჯაიანი) ზოგი სახალისო, ზოგიც სევდიანი. იმის გარდა რომ ბატონი დოდო შესანიშნავი რეჟისორი იყო, ამასთან ერთად უბადლო მსახიობი და პედაგოგიც გახლდათ. იგი ძირითადად კომედიებს დგამდა ("პეპო", "ჭიჭა წყალი", "საპატარძლო აფიშით" და ა.შ) სწორედ ამიტომ როგორც შესხვედრაზე აღნიშნეს მას "კომედიების რეჟისორსაც" უწოდებდნენ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ მან ვერ შეძლო დაედგა ისეთი სპექტაკლი, როგორიც გახლდათ სოფოკლეს "ოიდიუსის მეფე", რომელიც ფართო განზოგადების ჭეშმარიტად ტრაგედიულ სპექტაკლად იქცა. მისი ახლობლები იმედს იტოვებენ, რომ შემდეგ წელს უფრო ფართო მასშტაბით აღნიშნავენ დოდო ალექსიძის 100 წლის იუბილეს. **"24 საათი"**

"გაფითრებული თებერვლის ლანდი"

გუშინ, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ომის ვეტერანთა საქმეთა დეპარტამენტისა და "საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის" ინიციატივით 1921 წელს გარდაცვლილი იუნკრებისა და მოწყალების დის - მარიამ მაყაშვილის სულის მოსახსენებელი პარაკლისი გადანიშნეს.

როგორც "ჩოხოსანთა დასის" ხელმძღვანელმა გოგი დოლიძემ განაცხადა, იუნკერთა დაკრძალვის დღეს "სპონტანურად" დიდი ხანია იგონებდნენ, თუმცა, მათს სახელზე სამოქალაქო პანაშვიდს მას შემდეგ იხდიან, რაც ჩოხოსანთა დასი ჩამოყალიბდა. ბოლო სამი წელიწადია ჩოხოსანთა დასი ტაბახმელაში, იუნკრების მონუმენტთან იკრიბება და პატივს მიაგებს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის 88 წლის იმ დაღუპულ ქართველ მებრძოლებს. ორი წლის წინ კი მათ ინიციატივას საქართველოს შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ომის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტიც შემოუერთდა. სწორედ მათი თანადგომით გამოუყო სამარშუტო ავტობუსი თბილისის მერიამ ოპერის წინ შეკრებილ ჩოხოსნებს ტაბახმელაში წასასვლელად.

როცა ტაბახმელას იუნკერთა მემორიალთან სახელმწიფო ჰიშნი შესრულდა, საქართველოს გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა ვლადიმერ ჩაჩიაბაიამ და ომის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნუგზარ ცაგარეიშვილმა მემორიალი გვირგვინით შეამკეს. სიტყვით გამოსვლისას კი, ჩაჩიაბაიამ განაცხადა, რომ ყოველ ეპოქაში ღმერთი საქართველოს მოუფლენდა პიროვნებებს, ვინც საქართველოსთვის სამაგალითო საქმეს გააკეთებდნენ და სწორედ ამ ადამიანების მაგალითით იზრდება მომავალი თაობაც.

თბილისში დაბრუნებულებმა "კინოს სახლს" მიამურეს, სადაც გაა ჭუბაბრის მიერ მარიამ მაყაშვილზე გადაღებული მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი "გაფითრებული თებერვლის ლანდი" აჩვენეს. ორმოცწუთიანი ფილმის დასრულების შემდეგ კინოდარბაზის სცენაზე ზესტაფონის სკოლა "ანაბასისის" მოსწავლეთა შესრულებით დაიდგა სპექტაკლი "მარო მაყაშვილი."

ჩოხოსან რაინდთა დასი წუხს, რომ არ არის დაზუსტებული იმ თერთმეტი იუნკერისა და მარიამ მაყაშვილის საფლავი, ვინც ნიითე არმიელებს უკანასკნელ წინააღმდეგობას უწევდნენ თბილისის მისადგომებთან. ისინი 19 თებერველს დაიღუპნენ, ხოლო 23 თებერვალს დაკაძლეს, სავარაუდოდ იქ, სადაც დღეს პარლამენტის შენობა დგას. **"24 საათი"**

ნიკოლოზ რურუა - ბებები და ინიციატივები

პირველი გვირგვინი

მეორე ღონისძიება წარმოადგენდა კლასიკური მუსიკის საღამოს პარიზში, ინვალიდების სასახლეში. ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა ქართველ პიანისტთან ელისო ბოლქვაძესთან ერთად, ფრანგი დირიჟორის ლორენ პენიჟერარის ხელმძღვანელობით დაუკრეს ქართული და ევროპული კლასიკური მუსიკის შედეგები. ორივე ამ ღონისძიებას ძალიან კარგი გამოხმაურება ჰქონდა. ჯერჯერობით, წელს ეს ორი ღონისძიება გაიმართა. ორივე გამოირჩეოდა პოზიტიური გამოხმაურებით. "კობრაში" ქართული გამოფენა გასტანს 5 თვეს, დასრულდება მაისში. ახლა ვმუშაობთ იმაზე, რომ ამ ექსპოზიციამ ბერლინის ერთ-ერთ მუზეუმში გადაინაცვლოს. ხაზგასმით ვამბობ - მუზეუმში და არა გალერეაში. მუზეუმში გამოფენა ბევრად პრესტიჟულია.

- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გამოფენას "დაბადებული საქართველოში" სათაურში აღნიშნული პრინციპის გარდა კონცეფცია არ ჰქონდა და შესაბამისად ნამუშევრებსაც არაფერი აერთიანებდა. იმდენად რამდენადაც აღნიშნული პროექტი საქართველოში კარგად არ გაშუქებულა და პროფესიონალი კრიტიკოსების აზრიც არ ვიცით, იქნებ უფრო ცხადი გავხადოთ ამ გამოფენის არსი.

- საერთო კონცეფცია იყო ის, რომ ყველა მონაწილე თანამედროვე ქართული ხელოვნების წარმომადგენელია, ყველანი არიან თავიანთი ცხოვრების აქტიურ შემოქმედებით ფაზაში და ისინი ქმნიან თანამედროვე ქართულ ვიზუალურ ხელოვნებას. კურატორი, რომელმაც ნამუშევრები შეარჩია, საქართველოში გამოავაზენა ამსტერდამის მუზეუმში, ნამუშევრები არ შეურჩევია არც სამინისტროს, არც თავად მხატვრებს. კურატორმა შეარჩია ისეთი ნამუშევრები, რომლებიც ამ მუზეუმისთვის იქნებოდა შესაფერისი. ცხადია, ალბათ ამ სფეროს ბევრი ღირსეული წარმომადგენელი ვერ მოხვდა ამ პროექტში, მაგრამ ასე ხდება ხოლმე, მით უფრო მაშინ, როცა ქვეყანაში ბევრი კარგი ხელოვანია. ერთ ექსპოზიციაში ყველა ვერ მონაწილეობს, ფიზიკურად ეს წარმოუდგენელია. მინდა ყველა დავამშვიდო, რომ "ქართული სეზონი" გრძელდება და ყველას ექნება საშუალება, მონაწილეობა მიიღოს მსგავს პროექტებში. ქართული სეზონის შემდეგი პროექტი ამ ეტაპზე ჩატარდება ერევანში, იქ შესრულდება ჩვენი საბალეტო დასის სპექტაკლი, ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალური ცენტრის კონცერტი, ასევე იქნება ქართული მხატვრობის გამოფენა.

ქართული სეზონი ასევე გაგრძელდება ევროპაში. გერმანიაში, როგორც მოგახსენეთ, ბერლინსა და ჰამბურგში იხილავენ გამოფენას "დაბადებული საქართველოში". ამას გარდა, პროექტის ფარგლებში ევროპის 7-8 დედაქალაქში განვახორციელებთ სხვადასხვა ღონისძიებებს. პარიზში, ოსლოში, კოპენჰაგენში, სტოკჰოლმში, ვალენ-



საქართველოს უნივერსიტეტი

სიაში, ან ბარსელონაში, სავარაუდოდ მადრიდშიც. ასე რომ, როგორც ხედავთ, მთელი წელი არის დატვირთული და ახლა მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები, როგორც პროგრამის მონაწილეობის დეტალების გარკვევისთვის, ასევე იმ კონკრეტული ადგილების, მუზეუმების, ოპერების, თეატრალური სივრცეების შესარჩევად.

- რა წვლილი შეაქვს ამ პროგრამაში სამინისტროს ფინანსურად?

- სამინისტრო არის ლომის წილის შემტანი ყოველთვის. "კობრას" მუზეუმის გამოფენის შემთხვევაში 90 პორცენტზე მეტი გაიღო სამინისტრომ, იყო თანადაფინანსებელიც - თბილისი ბანკი, რისთვისაც მას მადლობა, მაგრამ უდიდესი ნაწილი იყო სამინისტროდან გაღებული. ჩვენ ვმუშაობთ, რომ დავაინტერესოთ თანადაფინანსებლები, ვინაიდან ეს ხარჯები არის სერიოზული და დიდი. სახელმწიფოს, განსაკუთრებით ეკონომიკური რეცესიის პროცესში არ აქვს ფუფუნება, რომ ყველაფერი მხოლოდ საკუთარ თავზე აიღოს. თანადაფინანსების სხვადასხვა საშუალებებია, მუშაობა შესაძლებელია თუნდაც ევროპის და აშშ-ს სხვადასხვა ფონდებთან.

- თქვენ გამოხვედით ინიციატივით, რომელიც კინემატოგრაფებისთვის განსაკუთრებით სასიხარულო აღმოჩნდა. რაში მდგომარეობს ქართული კინემატოგრაფიის განვითარებისთვის შემუშავებული თქვენი პროგრამის არსი?

- მოგეხსენებათ, რომ ქართულ კინოს აქვს ძალიან დიდი და მდიდარი ტრადიცია. არსებობს ასეთი ფენომენი, როგორიც არის ქართული კინო, კინოსკოლა. ეს არ აქვს ძალიან ბევრ ქვეყანას. ქართული კინოს ბრენდი უკვე არსებობს მსოფ-

ლიოში. მისი დაკარგვა დანაშაული იქნება. არ გვაქვს უფლება, რომ ქართული კინო, როგორც ფენომენი, შეწყდეს ჩვენი თაობის ხელში, მით უმეტეს ჩვენი ხელისუფლების მმართველობის დროს, ვგულისხმობ ჩემი და ჩემი მეგობრების ხელისუფლებაში ყოფნის ეტაპს. მე ამ საკითხში პასუხისმგებლობას მთლიანად ვგრძნობ და რომც ვერ ვიგრძნოთ, ისტორია დაგვაკისრებს ამ პასუხისმგებლობას. ქართული კინო ბოლო 15 წლის განმავლობაში განიცდიდა სტაგნაციას. რამდენიმე ენთუზიასტის ძალისხმევით არსებობს რამდენიმე ახალი კინონამუშევარი. ვარდების რევოლუციის შემდეგ ვითარება ოდნავ გამოსწორდა, მაგრამ ეს არის მინიმუმი იმისა, რაც შეიძლება მოხდეს. კინონარმოება არის საკმაოდ ძვირი სიამოვნება და ბევრმა ქვეყანამ, რომელსაც დაუდგა პოლიტიკური ცვლილებების ფაზი, ვგულისხმობ საბჭოთა კავშირის რღვევას, კინონარმოების ფუფუნება დაკარგა. ცენტრალური ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო დაფინანსება აღარ არსებობდა, შესაბამისად მოხდა კინოინდუსტრიის პრივატიზაცია. ამან ბევრი კინოსკოლა, იგივე სლოვაკეთში, უბრალოდ მოკლა. სლოვაკეთში მოხდა საინტერესო ფაქტი. რამდენიმე კინოსტუდიის პრივატიზების შემდეგ, ისინი კორუფციული გარიგებების შედეგად აღმოჩნდნენ მაშინდელი პრემიერმინისტრის შვილების ხელში. ფაქტობრივად, ერთმა ჯგუფმა ჩაიგდო ხელში მთელი მაშინდელი სლოვაკური კინოინდუსტრია, ინფრასტრუქტურა. რასაც მოჰყვა მეტი სტაგნაცია. ხელოვნება კი არ განვითარდა.

საპირისპირო რამ მოხდა ჩვეთში. მათ მონახეს გზები, რომ გაეიაფებინათ კინონარმოება

საკუთარ ქვეყანაში, ვინაიდან მათ ჰყავდათ ადგილზე მომზადებული მუშახელი, ინფრასტრუქტურა, კინოთეატრების სისტემა, განათების სისტემა და შეეძლოთ დანარჩენი მსოფლიოსთვის თუ თავიანთი კინომეწარმეებისთვის შეეთავაზებინათ ეს პირობები. ამას გარდა, მათ დაანესეს ძალიან დაბალი საგადასახადო რეჟიმი, რამაც კინონარმოება გააიაფა. ამის შემდეგ მათ გადაიღეს რამდენიმე ათეული ბლოკასტერი. ასეთია მაგალითად "ოლივერ ტვისტი" - ამერიკურ-ბრიტანული წარმოები; "ჟანა დარკი"- ფრანგების გადაღებული; ასეთია კუსტურიცას "ანდერგრაუნდი"; "პორნის იდენტურობა" და რამდენიმე ათეული, გარდა თვითონ ჩეხური ფილმებისა. ჩეხური ფილმი "კოლა" 1999 წელს ოსკარით დაჯილდოვდა. სწორედ ანალოგიურად ხელსაყრელი პირობების შექმნას ვცდილობთ საქართველოში. ჩემი, როგორც კულტურის მინისტრის ინიციატივა იყო, რომ კინო 5 წლით გაგვეთავისუფლებინა გადასახადებისგან. ეს ჯერ მხოლოდ ინიციატივაა, ნუ გავასწრებთ მოვლენებს, ახლა მიმდინარეობს პოლიტიკური კონსულტაციები. ვაპირებ ყველა ჩემი თანამოაზრე ამაში ჩაერთო და ეს ინიციატივა ვაქციოთ რეალურად. ჩვენ გვაქვს საშუალება, საქართველოში კინონარმოება გავაიაფოთ და გავხადოთ ის მიმზიდველი როგორც ჩვენი კინომეწარმეებისთვის, ისე უცხოელებისთვის.

- რა გვაცდევს ამის საშუალებას?

- განვრთნილი მუშახელი, კასტინგის, განათების, სპეცეფექტების კარგი სისტემა, პავილიონები, სამონტაჟო სისტემები და ასევე, ის საგადასახადო რეჟიმი, რომლის შემოღებასაც ჩვენ ვაპირებთ. ეს ეკონომიკის პატარა ნაწილია, მაგრამ იმდენად რამდენადაც ეს არის მასობრივი ხელოვნების დარგი, შეიძლება ამ ნაბიჯით ძალიან დიდი ეფექტი მივიღოთ. აქ გაკეთებული ფილმი შეიძლება ჰიტი გახდეს მსოფლიოში, ამის ძალიან დიდი შანსი გვაქვს.

ისეთი რეჟიორები, როგორებიც იყვნენ და არიან: კალატოზიშვილი, შენგელაიები, აბულაძე, ჩხეიძე, იოსელიანი, ახლა მამა-შვილი ბაბლუაშვილები, ასეთი რეჟისორები ცარიელ ადგილას არ იბადებიან. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ქართული კინოსკოლა იყო ძალიან ძლიერი. ჩვენ ჩვენს მიერ შერჩეული სწორი სტრატეგიით შევძლებთ გავაკეთოთ ძალიან მაგარი საქმე - შევქმნათ მოტივაცია, რომ საქართველოში კინონარმოება აღორძინდეს. ჩემი აზრით, ამას შევძლებთ და ეს მოიტანს ძალიან კარგ შედეგს.

- ეროვნული გალერეა, მისი დახურვიდან ოთხ წელზე მეტს გავიდა და ეს ფაქტი ქართულ სახვით ხელოვნებაში სერიოზულ პრობლემებს ბადებს. პროცესი შეფერხებულია. რამდენადაც ვიცით, ამ მართულებითაც გაქვთ კონკრეტული გეგმა.

- ის რომ საქართველოს დედაქალაქში არ არსებობს თანამედროვედ აღჭურვილი საგამოფენო სივრცე, რომელშიც მოხდება ქართველი და უცხოელი

მხატვრების ნამუშევრების, კოლექციების გამოფენა, ვოვლი, რომ ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი სირცხვილი. ასეთი მუზეუმი არ გვაქვს, ასეთ მუზეუმს სჭირდება როგორც მიკრო კლიმატი, ისე განათების თანამედროვე სისტემა, ლაბორატორია, რომელშიც ნებისმიერი, თუნდაც ძვირადღირებული, ჩამოტანილი ნახატის რესტავრირება მოხდება. ყველა მუზეუმში უნდა იყოს დაცული ჩამოსული კოლექციები. დაზღვევა, რომელიც ახლავს კოლექციებს, პირველ რიგში ითვალისწინებს იმას, რომ საჭიროების შემთხვევაში ნამუშევარს მყისიერი რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტარდეს.

- ასეთი ლაბორატორია მგონი შეიქმნა ეროვნულ მუზეუმში...

- დიახ, შეიქმნა, ოღონდაც არა მხატვრობისთვის. ეს ლაბორატორია უფრო არქეოლოგიური, ისტორიული ექსპონატებისთვისაა. მუზეუმებში არ არის მიკრო კლიმატი შესაფერისი იმ სტანდარტებისა, რომელიც მსოფლიოში არსებობს. ასევე თანამედროვე განათების სისტემა. ეს ყოველივე ერთობლიობაში იძლევა იმ გარემოს, რომელიც სჭირდება თანამედროვე მუზეუმს. მას "ცისფერი გალერეა" ჰქვია, მაგრამ რეალურად ის უნდა გახდეს თანამედროვე ტიპის მუზეუმი. აღჭურვილი ყველა იმ დეტალით, რომელიც სჭირდება თანამედროვე დასავლური სტანდარტებით მომუშავე მუზეუმს. ასეთი იქნება "ცისფერი გალერეა". მინდა გითხრათ და გაგახაროთ, რომ გადამწყვეტილება მისი განახლებისა უკვე მიღებული გვაქვს. პროექტიც დამთავრებულია.

- ეს რომელი პროექტია? რამდენიმე პროექტის პრეზენტაციას დავესწარიტ სხვადასხვა დროს, საბოლოო ვერსია წარადგინა დავით ლორთქიფანიძემ პორტუგალიელ არქიტექტორებთან ერთად.

- ეს არის უკანასკნელი პროექტი, ასევე პორტუგალიელ არქიტექტორებთან ერთად მომზადებული, მაგრამ არა ის, რომლის წარდგენაც რადენიმე თვის წინ მოხდა. ეს არის შეცვლილი პროექტი. მის მომზადებაში პირადად ჩავერიე. მისი განხორციელებაც დაიწყება სულ მალე. პროექტი გულისხმობს ოთხი საგამოფენო დარბაზის, ლაბორატორიის, ასევე პატარა სასუვენირო მაღაზიის და სხვა კომპონენტების არსებობას. სივრცე დაეთმოა სახვითი ხელოვნების ყველა მიმართულებას. იმედი მაქვს, რომ მშენებლობა და რეკონსტრუქცია დასრულდება შემოდგომისთვის. მისი პრეზენტაცია უკვე დაგეგმილი გვაქვს ოქტომბრისთვის.

- გალერეა ეროვნული მუზეუმის სისტემაში დარჩება?

- დიახ, ამ სისტემიდან მისი ამოგლეჯვის არანაირი აუციებლობა არაა. მაგრამ მე პირად კონტროლზე ავიყვან გალერეის რეკონსტრუქციის პროცესს. თუ ეს პროექტი აქამდე გაჯანჯლდა, ალბათ იმიტომ, რომ ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. თანხა დიდია, საკმაოდ. საუბარია მილიონ დოლარზე, თუ მეტზე არა.

- თქვენ იმედი გაქვთ, რომ ასეთი თანხა გალერეისთვის გამოინახება?

- დიდი ნაწილი უკვე მოვიძიეთ. იმედი მაქვს, რომ დანარჩენსაც მოვიძიებთ. გადამწყვეტილი მაქვს, რომ ჩემი ამ პოზიციაზე მუშაობის პერიოდში ეს



სტუმარი: ნიკოლოზ ლომიძე

გალერეა-მუზეუმი გაიხსნას. რუსთაველზე გამეფლებს უნდა შეეძლოთ ყოველ დღე დატკბნენ სხვადასხვა გამოფენით, სხვადასხვა ექსპოზიციით. იქნება ეს ადგილობრივი თუ უცხოელი ხელოვანების ნამუშევრები.

- საგამომცემლო საქმე - რაიმე ინიციატივა ხომ არ გაქვთ ამ მიმართულებით?

- გვაქვს. მსურს, რომ სამინისტრომ მწერალთა გარკვეულ ჯგუფთან ერთად დააფუძნოს ლიტერატურული გაზეთი, რომელიც თვეში ორჯერ გამოვა. ამ გაზეთით მკითხველი უნდა გაცნოს ლიტერატურაში არსებული სიახლეებს, ახალ პროდუქციას. გაზეთში ადგილი დაეთმოა ლიტერატურულ კრიტიკას, სტატიებს ხელოვნების სხვადასხვა დარგებზე. ეს გაზეთი უნდა გახდეს ლიტერატურული პროცესების ხელისშემწყობი მედიუმი. ამ გაზეთის თაობაზე საუბარი გვექონდა სხვადასხვა თაობის რამდენიმე ცნობილ ქართველ მწერალთან, ისინი იქნებიან თანადამფუძნებლები. ვფიქრობ, ყველასთვის საინტერესო იქნება, თუ ასეთი გაზეთი იარსებებს.

- სახელოვნებო განათლება - თქვენ არაერთხელ აღნიშნეთ, რომ განათლების გაუმჯობესება ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება ქვეყნის კულტურის პოლიტიკაში.

- ძალიან მნიშვნელოვანია სახელოვნებო განათლება ზოგადად და კონკრეტულად - სანყისი მუსიკალური განათლება, რომელიც ფაქტობრივად მოიპალა ჩვენთან და ამაზე არაერთხელ მქონია საუბრები ჩვენს ცნობილ მუსიკოსებთან და პედაგოგებთან.

საერთოდ მსურს, კულტურის სამინისტროს ყველა საკურაციო სფეროში ჩამოვყალიბო მრჩეველთა საბჭოები. საბედნიეროდ, რამდენიმე მიმართულებით ასეთი საბჭოები უკვე დაკომპლექტებულია. ეს საბჭოები 6 თვის განმავლობაში არ შეიცვლება, შემდეგ კი განახლდება. ამდენად ყველა პრობლემატურ საკითხზე ვიმუშავებ შესაბამის

სი სფეროს წარმომადგენლებთან ერთად. მათი რჩევებიდან გამომდინარე მივიღებ გადაწყვეტილებას, თუ როგორ წარიმართოს ამა თუ იმ სფეროს განვითარება. ასეთი განვითარების პოლიტიკა აუცილებელია და სამწუხაროდ აქამდე ის არ არსებობდა.

დავუბრუნდეთ სანყის მუსიკალურ განათლებას. ეს რჩება პრობლემად და თუ ეს პრობლემა არ მოგვარდა მალევე, მაშინ აღარ გვეყოლებიან ორკესტრის მუსიკოსები. სანყისი განათლები ის გარეშე მუსიკოსები ვერ მიიღწევენ პროფესიონალიზმს, იმ დონეს, რომელიც საჭიროა სწავლის გასაგრძელებლად კონსერვატორიაში.

- თუმცა პრობლემატურია კიდევ სხვა პროფესიის ადამიანების განათლება ჩვენს ქვეყანაში. მაგალითისთვის, საქართველოში რთულია დაეუფლო სრულყოფილად არტმენეჯერის, კურატორის პროფესიას...

- კარგია რომ ამას მეკითხებით, თქვენ მე დამასწარით უბრალოდ. პირველი რასაც შევეჯახე ამ სამინისტროში მოსვლის შემდეგ, სწორედ ეს საკითხი გახლდათ. ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვამბობ, რომ ჩემი ინიციატივით არტმენეჯმენტი შევიტანეთ სპეციალურ პრიორიტეტულ სპეციალობებში. ამ სპეციალობების ადამიანების კვალიფიკაციასა და სწავლას საზღვარგარეთ დაფინანსებებს პრეზიდენტთან არსებული რეფორმებისა და განვითარების ფონდი. თანაც წლევანდელი წლიდანვე. ჩემს მოადგილეს, გიორგი პატარიძეს აქვს ამ ეტაპზე მილაპარაკებები, როგორც ნიუ იორკის უნივერსიტეტთან, ისე სხვა რამდენიმე ცნობილ სკოლასთან, სადაც არტმენეჯმენტი ისწავლება. ჩვენი აზრით, ეს დღეს ძალიან სჭირდება თანამედროვე ქართულ სახელოვნებო სივრცეს, იმისთვის, რომ მოხდეს ჩვენი პროდუქციის თანამედროვე ენაზე მიწოდება. უამისოდ ძალიან გაუჭირდება ყველა ქართველ ხელოვანს თავისი შე-

მოქმედების გატანა საზღვარგარეთ, ვინაიდან არსებობს უბრალოდ ძალიან მარტივი ტექნიკური ხერხები, რომელსაც უნდა ფლობდეს ნებისმიერი დასი, სახელოვნებო გაერთიანება და სხვა.

რაც შეეხება კურატორებს. ქართველი კურატორები ფიზიკურად არსებობენ, ხშირად კარგადაც მუშაობენ, მაგრამ უმრავლესობას არ აქვს მიღებული სტატუსი და პროფესიული განათლება ამ მიმართულებით. მათი მუშაობა ძირითადად ემპირიულ გამოცდილებას ეფუძნება. დიახ, სკოლა ჯერ არ გვაქვს, მაგრამ სკოლის შექმნამდე, ალბათ ამ ეტაპზე აჯობებს მსურველების საზღვარგარეთ გაშვება და სპეციალისტების დაგროვება. თუმცა ამ ეტაპზე არტმენეჯმენტით შემოვიფარგლებით. კურატორების საკითხიც დგას დღის წესრიგში, სამომავლოდ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ ამ ეტაპზე უკვე გვაქვს ხელმძღვანელი საქართველოსა და აშშ-ს შორის ხელშეკრულება სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ. ქარტიის მესამე ნაწილში საუბარია სწორედ კულტურაზე. როგორც კი პრეზიდენტი ობამას ადმინისტრაცია ერთგვარ "აკლიმატიზაციას გაივლის", ჩვენ შეგვეძლება მათ წინაშე დავაყენოთ კონკრეტული მოთხოვნები, სწორედ ასეთი პროგრამებით ქართველი სპეციალისტების მომზადების თაობაზე.

- უკვე თქვენი მინისტრობის პერიოდში თუ განხორციელდა სამინისტროში სტრუქტურული ცვლილებები?

- სტრუქტურული ცვლილებები უკვე მოხდა სამინისტროში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები სამსახურიდან გაეუშვით. სტრუქტურა შეიცვალა იმ მიზეზით, რომ ის გამხდარიყო უფრო ეფექტური ამოცანების გადასაჭრელად. ჩვენი მთავარი მიზანია არის ის, რომ სამინისტრო იყოს მოქნილი და ეფექტური ორგანო, რომელიც დაეხმარება ზოგადად ქართულ ხელოვნებას, იმისთვის რომ ამ უკანასკნელმა განვითარება შეძლოს. მან უნდა მოახერხოს როგორც მოთხოვნების დაკმაყოფილება ეროვნულ ბაზარზე, ასევე საზღვარგარეთ საკუთარი თავის საუკეთესოდ წარმოჩინება. შემიძლია ვთქვა, რომ ორი თვის თავზე ვარ კმაყოფილი, იმიტით რაც გაკეთდა.

■ ■ ■

იმის შესახებ, რაც გაკეთდა და რაც გასაკეთებელია თითქმის სრულად, ამომწურავად ვისაუბრეთ, თუმცა კიდევ ერთად გავგრჩა სათქმელი. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ერთ დროს საკონფერენციო დარბაზში, რომელიც საკმაოდ დიდი ფართობით გამოირჩევა, ამჟამად რემონტია. ასევე მინისტრის სურვილით სულ მალე ეს სივრცე ღია გახდება ხელოვანთა ინიციატივებისა და პროექტებისთვის. ბატონი ნიკოლოზ რურუა ამაყობს იმით, რომ კულტურის სამინისტრო პირდაპირი მნიშვნელობით უმასპინძლებს ხელოვანებს და მათ შემოქმედებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სივრცე ერთნაირად საინტერესო იქნება როგორც საგამოფენოდ, ისე არამატერიალური თეატრალური საღამოებისთვის, ვიდუროვნებებისთვის, პერფორმანსებისა და სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის.

მშვიდობით იარაღო!

ორი დღის წინ, კინოს სახლში გაიმართა ახალი პროექტის პრეზენტაცია, რომლის იდეის ავტორი და სულის ჩამდგმელი კინომატოგრაფისტთა კავშირთან არსებული კომპანია "სინეტეკის" დირექტორი ზურა მაღალაშვილია. იდეის ხორცის შესხმაში მას ეხმარებოდნენ საერთაშორისო კომპანია "კოდაკი", კინოცენტრის თავმჯდომარე კოტე ჩლაიძე, თეატრალური ინსტისუტის დეკანი დავით ჯანელიძე, "ქართული ფილმის" დირექტორი დავით ნაცვლიშვილი, ვიცე დირექტორი არჩილ მენაღარიშვილი. პროექტი აერთიანებს 8 ერთმანეთისაგან განსხვავებულ ვიდეორგოლს, თუმცა მათი დევიზი საერთოა "მშვიდობით იარაღო!". ამ პროექტში ჩართული იყო 55 სტუდენტი (სამხატვრო აკადემია, თეატრალური უნივერსიტეტი, კონსერვატორია) ისინი თავად არიან ამ ვიდეორგოლების რეჟისორები, ოპერატორები, პროდიუსერები, მსახიობები. როგორც პროდიუსერმა ნიკა აბრამიშვილმა გვითხრა გადაღებები დაიწყო უმჯულში და დამთავრდა უდაბნოში. პროექტი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. იდეის ავტორები ფილმის დახურულ პრემიერას მაისის თვეში გეგმავენ. მათ გეგმებში ფილმის საერთაშორისო ფესტივალებზე გატანაც შედის. "24 საათი"

ქართველი პროფესორი ირანის ისლამური რესპუბლიკის "მსოფლიოს წლის საუკეთესო წიგნის პრიზის" ლაურეატი გახდა

2009 წლის 7 თებერვალს თეირანის მთავარ საკონცერტო დარბაზ "ვაჰდთ"-ში ჩატარდა ირანის ისლამური რესპუბლიკის 26-ე "წლის საუკეთესო წიგნის პრიზისა" (ირანელი ავტორებისათვის) და მე-16 "მსოფლიოს წლის საუკეთესო წიგნის პრიზის" (უცხოელი ავტორებისათვის) დაჯილდოების ცერემონიალი.

"მსოფლიოს წლის საუკეთესო წიგნის პრიზის" მინიჭება ხდება წინა წელს გამოცემული წიგნებისათვის შემდეგ ნომინაციებში:

1. ისლამმცოდნეობა (ისლამის ისტორია, ყურანი, ფილოსოფია და მისტიკა, ისლამური ცივილიზაცია და კულტურა, თანამედროვე ისლამი, თარგმანი...);
2. ირანისტიკა (ენა, ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორია, ეთნოგრაფია, ირანული მეცნიერების ისტორია, თარგმანი...);
3. გამორჩეული მეცნიერი (ირანისტიკასა და ისლამმცოდნეობაში შეტანილი ღვაწლისათვის).

ყოველ წელს რომელიმე ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით, ჟიური დამატებით ანებსებს სპეციალურ პრიზებს. წელს, ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების 30-ე წლისთავთან დაკავშირებით დაანესეს სპეციალური პრიზი ისლამური რევოლუციისა და იმამ ხომეინისადმი მიძღვნილი ნაშრომებისა და თარგმანებისათვისაც.

ავტორიტეტულმა ჟიურმა წლის "გამორჩეული მეცნიერის" ნომინაციაში დააჯილდოვა ცნობილი ქართველი ირანისტი, მკვლევარი და სპარსული ლიტერატურის მთარგმნელი, აკადემიკოს გ.წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის საქართველოს ფილოლოგიის განყოფილების გამგე, პროფესორი მაგალი თოდუა.

სამწუხაროდ, პროფესორმა მაგალი თოდუამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შეძლო თეირანში ჩასვლა და საქართველოს საელჩოს სთხოვა მისთვის მინიჭებული პრიზის მიღება. საქართველოს ელჩის ლევან ასათიანს ქართველი ირანისტიკის განკუთვნილი საპატიო სიგელი და სპეციალური ჯილდო პირადად ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა აჰმადინეჯადმა გადასცა.

ირანულმა მასმედიამ ფართოდ გააშუქა ეს მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა. ბატონი მაგალი თოდუას დაჯილდოება მთელი ქართული აღმოსავლეთმცოდნეობისა და კერძოდ, ირანისტიკის სკოლის დიდი დაფასებაა ირანის მხრიდან და ქართულ-ირანული სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობების ახალ თვალსაჩინო ფურცელს წარმოადგენს.

ქართველ მეცნიერს მრავალწლიანი წვლილი მიუძღვის ქართულ-ირანული ლიტერატურული და კულტურული-ისტორიული ურთიერთობების კვლევისა და საქართველოში სპარსული ლიტერატურის შედევრების პოპულარიზაციის საქმეში.

პროფესორ მ.თოდუას ირანის თემაზე მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს შექმნილი, როგორცაა "თბილისის არქივებში დაცული ირანელი შაჰების ფირმანები" (ორ ტომად, თბილისი და ქუთაისი, 1992); "ისა-ნამე" - იესო ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობლის სახე სპარსულ პოეზიაში (ქუთაისი, 2002); ჰუსეინი იბნ ალი ქაშეფის "ქალიშვილი და დამანას" ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანისეული თარგმანის კრიტიკული ტექსტი, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი (ქუთაისი, 2006); ჯალალ ედ-დინ რუმის "ფილოსოფიური ლექსებისა" და "ლირიკის" ქართული თარგმანების ორი კრებული (ორივე - თბილისი, 2007) და ა.შ. ირანელ სპეციალისტთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პროფესორ მ.თოდუას ხანგრძლივი და ნაყოფიერი მთარგნელობითი მოღვაწეობის შემაჯამებულმა 700-გვერდიანმა ნაშრომმა "სპარსული პოეზიის შედევრები" (თბილისი, 2008), რომელიც მოიცავს თითქმის ყველა თვალსაჩინო სპარსელი პოეტის ქმნილებათა ნიმუშების ქართულ თარგმანებს - რუდაქიდან იმამ ხომეინიმდე. ბატონ მაგალი თოდუას თხოვნით, ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი თეირანში საქართველოს საელჩომ გადასცა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ბიბლიოთეკას. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის "მსოფლიოს წლის საუკეთესო წიგნის პრიზის" ნომინაციაში "ისლამმცოდნეობა" წარმატება მოიპოვა ახალგაზრდა ქართველი აღმოსავლეთმცოდნის გიორგი ლოპუნიძის მიერ "ყურანის" არაბულიდან ქართულად შესრულებულმა თარგმანმა. "24 საათი"



24 თებერვალი
თეატრი
შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი მცირე სცენა "გედის სიმღერა" დასაწყისი: 19.00
კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი "ზაფხულის ღამის სიზმარი" რეჟისორი ლევან წულაძე დასაწყისი: 19.00
თეატრალური სარდაფი "უჩინაჩინის ქუდი" რეჟისორი ლევან წულაძე დასაწყისი: 19.00

კინო
"ამირანი" "ქორნილის დღე" დასაწყისი: 18.45; 20.30; 22.15 "ოპერაცია ვალკირია" დასაწყისი: 14.15; 18.15 "იგორი" დასაწყისი: 12.15; 18.00 "ვიკი, კრისტინა, ბარსელონა" დასაწყისი: 14.00; 16.00; 20.00; 22.00
"რუსთაველი" "იგორი" დასაწყისი: 12.45; 14.30; 16.15; 18.00 "ოპერაცია ვალკირია" დასაწყისი: 13.00; 15.15; 17.30 "ავსტრალია" დასაწყისი: 12.30; 15.30; 18.30; 21.30 "როკენროლ" დასაწყისი: 13.00; 17.45; 22.00 "ვარდისფერი პანტერა 2" დასაწყისი: 20.00 "რაც ყველაზე ძალიან გიყვარს" დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00

გალერეა
"N გალერეა" ლევან ჭოლოშვილის პერსონალური გამოფენა
"ორნამენტი" ტიხრული მინანქრის მუდმივი გამოფენა
"შარდენი" ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა
"ვერნისაჟი" "რაჭის პეიზაჟები"

პლასიდო დომინგო ოპერის საპატიო პრემიას მიიღებს

ესპანელი პლასიდო დომინგო შვედი ოპერის საოცრების ბირგიტ ნილსონის სახელობის პრემიის პირველ ლაურეატად დასახელდა. France Presse-ს ინფორმაციით, პრემიის ფულადი ჯილდო ერთ მილიონ დოლარს (792 ათასი ევრო) შეადგენს. პრემიის დაჯილდოვების ოფიციალური ცერემონია 2009 წლის ბოლოს გაიმართება. სააგენტო აღნიშნავს, რომ კლასიკური მუსიკის დარგში ნილსონის პრემია ყველაზე მსხვილმასშტაბიანი გახდა.

ბირგიტ ნილსონმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე (იგი 2005 წელს გარდაიცვალა) თავისი პრემიის პირველ მფლობელად პლასიდო დომინგო თავად აირჩია, თუმცა ლაურეატის გამოცხადების დღემდე მისი ვინაობა გასაიდუმლოებული იყო. პრეს-რელიზში აღნიშნულია, რომ ჯილდო განკუთვნილია ესპანელისთვის "ოპერის ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის", "40 წლიანი ლეგენდარული კარიერა და 130 შესრულებული როლი" (ისტორიის განმავლობაში ამდენი სიმღერის საშუალება არც ერთ ტენორს არ მისცემია).

ნილსონსა და დომინგოს ერთად არა ერთხელ უმღერიათ. პირველად ისინი 1969 წელს მეტროპოლიტენ-ოპერის სცენაზე, ოპერა "ტოსკა"-ში გამოვიდნენ.

ბირგიტ ნილსონი XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ვაგნერიულ სოპრანოდ ითვლებოდა. უკანასკნელად საზოგადოების წინაშე იგი 1984 წელს გამოვიდა.

ეთნომუსიკის თეატრი - გუგინ და დღეს

რუსთაველის თეატრში ანსამბლ "მთიების" საღამო გაიმართა

თამარ ქიქნაშვილიძე

გუშინ რუსთაველის თეატრმა ანსამბლ "მთიების" წარმოდგენას უმასპინძლა. მაყურებლის თვალწინ ძველ ქართულ ყოფაში არსებული თუ დღემდე შემორჩენილი ტრადიციები და წეს-ჩვეულებები მთელი სიმშვენიერით გაცოცხლდა.

ეთნომუსიკის თეატრი "მთიები" 1980 წელს, ცნობილმა ეთნომუსიკოლოგმა - ედიშერ გარაყანიძემ ჩამოაყალიბა. ის სხვა ანსამბლებისაგან იმთავითვე გამოირჩეოდა შემოქმედებითი პრინციპებით, კერძოდ: "მთიებმა" ანსამბლებში გამეფებულ აკადემიურ მიმართულებას აუთენტური დაუპირისპირა, მისი პირველწყაროსთან მიახლოების მცდელობა კი, საშემსრულებლო მანერაშიც აისახა.

დაარსების დღიდან მოყოლებული, ანსამბლ "მთიების" წარმომადგენლები ცდილობენ ქართული ფოლკლორი მთელი სისრულით, ყოფასთან სინთეზში წარმოაჩინონ.

სხვადასხვა რიტუალი სცენაზე ხან სოფლის ორღოებში გათამაშდა, ხან კიდეც - ეკლესიასთან. აკვანიც გამოიყენეს, ხმალიც, ჩალაც და სასმისებიც შეივსო. არაერთი სიმღერის თანხლები ცეკვები ანსამბლის სრულმა შემადგენლობამ - სხვადასხვა ასაკის ოსუთმეცმა სოლისტმა წარმოგვიდგინა. რომელთაგან "მთიების" სიცოცხლისუნარიანობის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მის ხელმძღვანელს - გიორგი გარაყანიძეს მიუძღვის.



"1980 წელს დაარსებული ანსამბლი, 2003 წელს განახლდა და ახალგაზრდებით შეივსო. აქ ვაჩუბთან ერთად, გოგონებიც არიან. შესაბამისად, გვაქვს როგორც ვაჟთა, ასევე ქაღთა და შერეული რეპერტუარი.

ანსამბლი "მთიები" ტრადიციას არ ღალატობს და ექსპედიციებს დღემდე აწარმოებს, რათა სოფლებში შემორჩენილი ნიმუშები აღმოაჩინოს და შეისწავლოს. მეეთნომუსიკოლოგი გახლავართ და ამ მიმართულებით მუშაობას ვაგრძელებ - ჩვენი უპირველესი მასწავლებელი ხომ სოფლის ყოფაა, შემდეგ კი ის მასალა, რომელიც არქივებშია დაცული. ამასთან, ვეცნობთ ვიდუოჩანანერებს, ფოტოებს... მათში კარგად იკითხება, თუნდაც, ჩაცმულობა, ანუ როგორ ეცვათ მაშინ. ჩვენი კოსტუმებიც დღემდე შემორჩენილი მასალის გამოყენებით შეიქმნა და დამუშავდა - ყოფაში ჩოხა ყველას არ ეცვა,

ასეა ჩვენთანაც," - გვითხრა გიორგი გარაყანიძემ.

გუშინდელი საღამო ორი ნაწილისგან შედგებოდა. თავდაპირველად "მთიების" წევრებმა ქართული ქორნილის მუსიკალური ტრადიციები გაცოცხლეს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული საქორწინო წეს-ჩვეულებების წარმოდგენით მაყურებელმა მთელ ქვეყანაში "იმოგზაურა". წარმოდგენის მეორე ნაწილი კი, სხვადასხვა ნიმუშებს მიეძღვნა. მაგალითად, რელიგიურ დღესასწაულს, სახელწოდებით - "გერგეტულა", რომელიც გოგონებმა ეკლესიის დეკორაციის გარშემო გაითამაშეს. მას სიმღერასთან ერთად, სიტყვიერი მასალაც ახლდა. მაყურებელმა ასევე მოისმინა ხორუმი, ქალთა და ამინდის მართვასთან დაკავშირებული სიმღერები...

ანსამბლ "მთიების" მიერ შემოთავაზებულმა მუსიკალურმა ნომ-

რებმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა, უპირველესად სოლისტების ვოკალური შესაძლებლობებისა და მათი საშემსრულებლო ხელოვნების თვალსაზრისით. ის კი, რაც ამ შემოქმედებით გაერთიანებას სხვა ანსამბლებისაგან გამოარჩევს, ისევე და ისევე იმ წეს-ჩვეულებებისა თუ ტრადიციების სცენაზე გაცოცხლებაა, რომლებიც ქართულ ყოფაში ოდითგანვე არსებობდა.

ეთნომუსიკაზე დაფუძნებული თეატრი ამ საქმიანობის პუბლიკურიზაციას ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ეწევა. არის არაერთი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, მათ შორის: ვოლინუსსა და კოპენჰაგენში. ანსამბლ "მთიების" წევრები ამერიკის მასაჩუსეტის შტატის ქალაქ ლოუელის საპატიო მოქალაქეებიც არიან. ეს შემოქმედებითი გაერთიანება გვიპრდება, რომ საინტერესო წარმოდგენით მომავალშიც გვასიამოვნებს.

ახალი როზინ ჰუდი

რიდლი სკოტი ლეგენდარული პერსონაჟის შესახებ განსხვავებულ ისტორიას იღებს

არსებობს თემები, რომლებითაც ნებისმიერი ეპოქის კინემეტოგრაფისტები ინტერესდებიან და მათ ეკრანიზაციასაც ახდენენ. ასეთთა შორისაა ლეგენდები როზინ ჰუდის, შერვუდის ტყის მამაცი ბინადრისა და მისი მეგობრების შესახებ, რომლებიც მდიდარს ართმევენ, ღარიბს აძლევენ და ასე შემდეგ. მაყურებელი უამრავ ეკრანულ როზინ ჰუდს იცნობს, 2010 წელს კი ახალს გაიცნობს - თვით რასელ ქროუს შესრულებით რიდლი სკოტის ფილმში "ნოტინჰემი".

აღნიშნულ პროექტზე რეჟისორი დაახლოებით ორი წელია მუშაობს და კიდეც რამდენ ხანს იმუშავებს, მხოლოდ მაღალმა ღმერთმა თუ იცის. საქმე ისაა, რომ სკოტი შერვუდის ტყის ბინადართა შესახებ სრულიად ახლებურ ისტორიას იღებს, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ რასელ ქროუს როზინ ჰუდის გარდა ნოტინჰემის შერიფსაც თამაშობს. საქმეს ისიც ართულებს, რომ რიდლი სკოტის ფილმში მოქმედება მხოლოდ ვაზაფხულზე ხდება, ამიტომ გადაღებები მხოლოდ წლის ამ პერიოდში მიმდინარეობს.

სცენარისტებთან ითან რეიფთან და სირიუს ვორისთან შეწყვილებულმა რიდლი სკოტმა როზინ ჰუდის ლეგენდა სრულიად შეცვალა. ყველასთვის ნაცნობმა სქემამ, რომელშიც კეთილშობილი რაინდი ნოტინჰემის მმართველს უპირისპირდება, ის კი თავის მხრივ მისი საყვარელი ქალის ცოლად შერთვას ღამობს, დიდი ხანია საკუთარი



რიდლი სკოტი და რასელ ქროუს

თავი ამოწურა. ამ სქემის მიხედვით გადაღებული საუკეთესო ფილმად კი კევინ რეინოლდსის ნამუშევარი აღიარებული, სადაც მთავარ როლს კევინ კოსტანერი ასრულებს. ამიტომ ის, ვინც ამ თემას კიდეც ერთხელ მოკიდებდა ხელს, მისგან რაღაც ახალი უნდა შეექმნა.

ფილმზე მუშაობის დაწყებისთანავე ცნობილი გახდა ისიც, რომ როზინ ჰუდის როლი კრისტინა ბეილის უნდა შეესრულებინა, ხოლო ლედი მეირონს სენა მილერი ითამაშებდა. საბოლოოდ ეს ინფორმაცია ჭორის დონეზე დარჩა, მალე კი სიმართლე გამჟღავნდა: მეირონს ბოლო დროის ყველაზე მოთხოვნადი ვარსკვლავი კიეტი ბლანშეტი ითამაშებს, ხოლო როზინ ჰუდის კოსტუმს ისევე და ისევე რასელ ქროუს მოირგებს. ახალი ისტორიის თანახმად, ეს ორი პერსო-

ნაჟი ერთი და იგივე პიროვნებაა და სწორედ ამით აიხსნება შერიფის წარუმატებელი მცდელობები ტყე ბანდიტებისგან განმინდოს.

რაც შეეხება პროექტიდან სიენა მილერის ნასვლას, ეს გაცილებით კუროზული ამბავია: საქმე ისაა, რომ რასელ ქროუს ბოლო დროს იმდენად გასუქებული და გაბარიტებში გაზრდილია, რომ მის გვერდით მინიატურული მილერის გამოჩენა ძალიან უხერხული და სასაცილო იქნებოდა, ამიტომ მსახიობი გაცილებით მაღალი ბლანშეტი შეცვალეს. ალბათ იკითხავთ, ამას ჯობდა, თავად მიზეზი, რასელ ქროუს შეეცვალათო, მაგრამ თავადაც ხომ იცით, რომ ასე არ მოხდებოდა - რიდლი სკოტი დიდი ხანია რასელ ქროუს გარეშე ფილმებს აღარ იღებს. მათ ანგარიშზე უკვე ოთხი ერთობლივი

პროექტია: "გლადიატორი", "კარგი წელიწადი", "ამერიკელი განგსტერი" და "სიცრუის ერთობლიობა", "ნოტინჰემი" კი მეხუთე ფილმი იქნება.

პროექტთან დაკავშირებით ყველაზე ხმაურიანი აღმოჩნდა 17 თებერვალს რიდლი სკოტის მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ აღარ მოსწონს როზინ ჰუდისა და ნოტინჰემის შერიფის გაერთიანების იდეა და სულაც სურს, შერიფის ფიგურა უფრო უკანა პლანზე გადაიტანოს. სამაგიეროდ უკეთესად მოაჩნია, თუ როზინ ჰუდის შესახებ უფრო მეტს მოყვება, მაგალითად იმაზე, თუ როგორ მოწინააღმდეგეობდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში და როგორი ურთიერთობა ჰქონდა რიჩარდ ლომგულთან. სკოტს არც იმის თქმა დავიწყება, რომ თუ შერიფი აღარ იქნება აქტიური პერსონაჟი, მაშინ როზინ ჰუდს ახალ მტერს გამოუძენის, მაგალითად საფრანგეთის ხელისუფლების სახით.

ამ იდეას უკვე გამოეხმაურა ბრიტანული და ცხადია ფრანგული პრესაც, რომლებსაც ძალიან აწუხებს, რომ რიდლი სკოტი ამ ლეგენდის ძირეულად შეცვლას და დამახინჯებას ცდილობს. ჟურნალისტები ირონიულად იმასაც აცხადებენ, რომ არაა გამორიცხული, რეჟისორმა პატარა ჯონი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მატარებლად აქციოს, ხოლო ლედი მეირონი ჰალუცინაციებით გამოწვეული დეპრესიით დააავადოს.

სპორტში

კალაძე ბრამანში მიღწეული ხედავით კმაყოფილია

გასულ კვირაში კახა კალაძის "მილანი" უეფას თასზე ბრემენის "ვერდერს" ესტუმრა და მატჩი ფრედ - 1:1 დაასრულა. კვირას კახას იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. მცირე ინტერვიუ, რომელიც კალაძის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, უეფას თასზე გამართულ დაპირისპირებას ეძღვნება.

- რას ფიქრობ შეხვედრის შესახებ და უეფას თასზე, ბრემენში მიღწეული 1:1-ის შესახებ?

- კარგი მატჩი იყო, განსაკუთრებით პირველი ტაიმი. კარგად დავიჭირეთ ბურთი, გავიტანეთ გოლი და მეორე ტაიმში მეორე ბურთის გატანაც შეგვიძლო. წუთების გასვლასთან ერთად მათ ძალიან შეგვზღუდეს და გოლის გატანაც მოახერხეს. სანწყენია, თუმცა 1:1



სტუმრად არ არის ცუდი შედეგი, განსაკუთრებით განმეორებითი მატჩისთვის.

- გერმანიაში გამართულმა მატჩმა დაგავიწყათ დერბით გამონეწეული იმედგაცრუება?

- არა, თუნდაც იმიტომ, რომ ის შეხვედრა ჩვენ კარგად ჩავატარეთ. ყველამ ნახა, თუ რაში შეეცდით. ის შეცდომა, რომელიც დერბოში დაგუშვით, უეფას თასზეც გავიმეორეთ. თუმცა, "ინტერთან" არ ვიმსახურებდით დამარცხებას.

- როგორ მოხდა, რომ ყველა გოლი ერთნაირად გაუშვით?

- ამას თავისი ახსნა აქვს: ყოველთვის ყურადღებით უნდა ვიყოთ. ყოველთვის ვიხდით ჩვენი შეცდომების საფასურს. დაცვას ხშირად აკრიტიკებენ, თუმცა ბოლო ორმა გოლმა ცხადყო, რომ ეს ზოგადი პრობლემაა. სინამდვილეში ნახევარმცველებიც უნდა გაეყენნენ იმ მოთამაშეს, რომელიც სივრცეში შეიჭრება. ჩვენ კი უფრო ყურადღებით უნდა ვიყოთ იმ მოთამაშის მიმართ, რომელიც თანაგუნდელს უგდებს ბურთს.



დავით კოჭირიძის სკატი

სუფრა განახლდა, ცხალაზი შემოდის!

დღეს დიდი საფეხბურთო შიმშილობა მთავრდება - ევროპის თექვსმეტი საუკეთესო კლუბი იმის გარკვევას იწყებს, რომელი რვა გააგრძელებს რომში მოსახვედრად ბრძოლას. წყვილები ისეთია, ფეხბურთზე სულ რომ გული გეროედეს, მაინც შეგახედებს ტელეეზოროს. მაინც ვინ ვის გასცდება? თავისი ვერსია ყველას აქვს, მათ შორის მეც და, ნება მიბოძეთ, საკუთარი წინასწარმეტყველური აზრები მოგახვით თავს.

დავინყოთ ყველაზე სახელოვანი წყვილთა - ჩემპიონთა თასის ცხრაჯერ მოგები "რეალი" ამ ტურნირის ხუთგზის გამარჯვებულ "ლივერპულს" ხვდება. ეს ურჩხულები ბოლოს 28 წლის წინ შეხვდნენ ერთმანეთს პარიზში. ინგლისელებმა კენედის გოლით 1:0 მოიგეს და მესამედ აიღეს ყველაზე დიდი და გემრიელი თასი.

დღეს გუნდებში ასეთი მდგომარეობაა - მადრიდში ბერნდ შუსტერის ნაცვლად ზუანდ რამოსი ჩავიდა ზედ "კლასიკოს" წინ, ეს "კლასიკო" ნააგო და მას შემდეგ ზედიზედ ცხრა თამაში იგებს. "რეალი" ისე ვერ ბრწყინავს, როგორც მის გულშემბატოვრებს სურთ, მაგრამ ფაქტია, რომ გუნდი დალაგდა, ახალ სქემაზე გადაცნყო და ნელ-ნელა "ბარსელონას" ენევა. ესე იგი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ "სამეფო კლუბი" აღმავლობის გზაზეა.

და რა შეგვიძლია ვთქვათ "ლივერპულზე"? რაფაელ ბენიტესი ამკარად აჭრილია - მისი და კლუბის ამერიკელი ბოსების კონფლიქტი თავიდან დაიქოქა, ჯერარდს სასამართლოში აქვს საქმე და მიკროტრავმა ანუხებს, ტორესი ფორმას ვერ იბრუნებს და გუნდსაც სულ უფრო უჭირს ქულების მოპოვება. თუმცა ბენიტესი არასდროს ყოფილა პროცესის მწვრთნელი, ის სათასო სისტემის დიდოსტატია და სწორედ ახლა მოუწევს მთავარი გამოცდის ჩაბარება. თუ ტორესი ძველებურად არ ათამაშდა და ჯერარდიც ტრავმამ შეანუხა, მაშინ ბენიტესის შანსები კატასტროფულად დაეცემა.

ყველაზე თანაბარი ომი, ალბათ, "ინტერი"-მანჩესტერ ოუნაიტედი იქნება და აქ კიდევ ერთხელ გადაიკვეთება თანამედროვეობის ორი უდიდესი მწვრთნელის სერ ფერეისონისა და ჟოზე მოურიინოს ფილოსოფიები. ძალიან საინტერესო ორი თამაში გველის - ორივე გუნდი ბრწყინვალე ფორმაშია, ორივე საკუთარ ჩემპიონატს ლიდერობს და ორივეს აქვს სხვადასხვა მოტივაცია - "ინტერი" მშვირია, "მანჩესტერი" კი ლიგის ისტორიაში თასის ზედიზედ ორჯერ პირველად მოგებას ეცდება. მე რაინდის უფრო მჯერა.

ინგლისურ-იტალიური ურთიერთობები ამით არ შემოიფარგლება: "ჩელსი" ტურინის "იუვენტუსს", ხოლო "არსენალი" "რომას" ხვდება. პირველი წყვილი, მიუხედავად მსუყე სათაურისა, ძალიან მოსაწყენი სანახაურო ჩანს - ფანტაზია არც აბრა-მოვირის სათამაშოს მთავარი კოზირია და არც "ბებერი ქალბატონის". დახაჯუნი, იცოცხლე, ზოშიანი იქნება, ნითელ-ყვითელმა ფერებმაც უნდა გაიფლავა და ალბათ, გოლებიც ცოტა გავა. საეჭვოა, რუსთა ბელადმა ასე უცბად შეცვალოს "ჩელსი", მთელი სეზონის განმავლობაში პოსპიტლად ქცეული "იუვე" კი მეორედ დაბადებული დელ პიეროს თამაშზე იქნება დამოკიდებული.

რაც შეეხება "არსენალი"-რომას", საბავშვო ბაღად გადაკეთებული ლონდონური კლუბი ძალიან ცანცარა ფეხბურთის თამაშობს, იტალიური კლუბები კი ცანცარს არავის პატიობენ. მით უმეტეს, "რომა", რომელიც არაჩვეულებრივ ფორმაშია და სადღაც იმაზეც უეჭველად ოცნებობს, რომ მაისში მშობლიურ ქალაქში თავად ითამაშოს ფინალში. ტოტალზატორშიკი რომ ვიყო, შემოვიკრებდი ხალხს და ბრძოლში სახით ვიტყოდი - გაყიდეთ ყველაფერი და დადეთ "რომაზე"!

"ბარსელონას" ჩავარდნა დაეწყო. რამდენად ღრმაა ეს კრიზისი, ყველაზე კარგად ლიგაზე გამოჩნდება, "ლიონთან". ეს ის "ლიონი" აღარაა, პანტაპუნტით რომ იგებდა საფრანგეთში ყველაფერს და ევროპაშიც ხმაურობდა პერიოდულად - რატომღაც შეტყვის მოყვარული გუნდის აქცენტები დაცვითი ფეხბურთისკენ გადაიხარა და შედეგაც გაუარესდა - კაცმა არ იცის, ვინ გახდება საფრანგეთის ჩემპიონი. გვარდიოლა რაც კატალონიელების მწვრთნელი გახდა, სწორედ ახლა ყველაზე რთულ სიტუაციაში, თუმცა მაინც საეჭვოა, რომ "ბარსას" სერიოზული ბარიერები დახვდეს მერვედფინალში.

დანარჩენი სამი წყვილი საშუალო ხარისხისაა. მიუნხენის "ბაიერნი" ბოლო ტურებში მესამე ბუნდესლიგის აუტსაიდერივით თამაშობს და თუ დროზე არ მოვიდა გოქს, "სპორტიინგი" ბურთს გადაახვეს თავზე. პორტუგალიის მეორე ელჩი "პორტო" საშინაო გუნდად ითვლება და ამიტომ მადრიდის "ატლეტიკომ" პირველ შეხვედრაში საგრძნობი უპირატესობა უნდა მოიპოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბურთის, თავისა და დახვეის კომბინაცია აქაც მოსალოდნელია. მერვე დუეტში მაინც "პანათინაიკოსი" მგონია "ვილიარეალთან" - ჰენც ტენ კეიტია ამის მიზეზი, კაცია, რომელიც დღეს ბერძნებს წვრთნის, 2006 წელს კი ზღაპრული "ბარსელონას" ერთ-ერთი მთავარი შემქმნელი იყო.

მომავალ სამაშაბამდე.

ბრიტანელაზს ქართველაზი თვალები მოუვიდათ

ბრიტანელების სახით საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრებს მეტოქეები გამოუჩნდნენ. თუმცა, მათი სამომავლო მეტოქეობა ამხანაგურის ჩარჩოებს არ ცდება. ალბიონელებმა თავად გამოთქვეს ქართველებთან თამაშის სურვილი.

დიდი ბრიტანეთის ქალ ფრენბურთელთა ეროვნულ გუნდს წლეულს, მაისში, საქართველოს ნაკრების მასპინძლობისა და რამდენიმე ამხანაგური

თამაშის, ასევე, ერთობლივი ვარჯიშების ჩატარების სურვილი გასჩენია.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ლევან ახვლედიანის თქმით, ბრიტანელთა ინიციატივა სასიამოვნო და ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ბრიტანელები ერთიანი გუნდით ასპარეზობას აპირებენ. "საქართველოს ეროვნული გუნდის გამოსვლამ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე და დანიის ნაკრებთან გამარჯვებამ ფრენბურ-

თის სამყარო დააინტერესა. იმის გამო, რომ საქართველოს ნაკრების საშუალო ასაკი 19 წელია, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდი გვყავს, ამასთან, საკმაოდ პერსპექტიული. სწორედ ამიტომ გაუჩნდათ ბრიტანელებს ქართველებთან ერთობლივი ვარჯიშისა და ამხანაგური მატჩების გამართვის სურვილი. მომავალი მასპინძლები მზად არიან დაფარონ საორგანიზაციო ხარჯები, ავიაბილეთებისა და სავიზო მომსახურების გარდა, - გვეუბნება საქართველოს ფრენბურთის ეროვნული

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი, - საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის წლევანდელი ბიუჯეტი დიდ ბრიტანეთში გამგზავრების საშუალებას არ გვაძლევს, მაგრამ იმედია, გამორჩედიან სპონსორები და ქალთა ნაკრები შეფილდში ჩასვლის შეძლებს. სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში ფინანსური დახმარებისთვის საქართველოში არსებულ ბრიტანულ კომპანიებს მივმართავთ. ჩვენ კი მზად ვართ ნაკრების ეკიპირებაზე სპონსორი კომპანიის ლოგო განვათავსოთ".

წყალში მხტომელები გერმანიიდან ეპროვამდა ტაიმ-აუტს აიღებენ

საქართველოს წყალში მხტომელთა ნაკრების წევრებს შოთა კორახაშვილსა და ჭოლა ჭანტურიას გერმანიაში მსოფლიო გრან-პრის მეორე ეტაპი ელით. მანამდე ამ ქართულმა ტანდემმა შენჩეენში, ჩინეთის გრან-პრიზე იასპარეზა.

საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივნის ირაკლი ბართიას თქმით, ქართველთა ტანდემი, პირველი გრან-პრის დარად, კვლავ სამმეტრიანი ტრამპლინიდან და სინქრონულ ხტომებში მოსინჯავს ძალას.

გერმანულ გრან-პრის, ჩინურის დარად, სარეიტინგო დატვირთვა აქვს. შეჯიბრებაში ოცი ქვეყანა იასპარეზებს. ევროპა 15 ქვეყნით იქნება წარ-

მოდგენილი. ევროპელებს პირველობას შეეცილებიან ჩინეთის, აშშ-ის, მალაიზიის, მექსიკისა და კანადის გუნდები.

"გერმანიის გრან-პრიზე ყველა უშუალო კონკურენტს დავაკვირდებით და ამის შესაბამისად მოვემზადებით ტური-ნის ევროპის ჩემპიონატისთვის (1-5 აპრილი), - ამბობს ირაკლი ბართია, - ეს ორი სპორტსმენი წლეულს პირველად ასპარეზობს დიდებში. საქართველოს ნაკრების წარმომადგენლებს მათზე ხუთი წლით უფროსებთან უნევთ ჭიდილი".

გერმანიის გრან-პრიმდე, რომელზე საასპარეზოდაც კორახაშვილი და ჭანტურია დღეს გაემგზავრნენ, ჩინეთის ტურნირს გადავავლოთ თვალი. მაშინ ქართველთა დუეტმა სინქრონულ ხტომებში 380 ქულით



მეოთხე ადგილი დაიკავა და 23 ქულით გააუმჯობესა საკუთარი რეკორდი. ინდივიდუალურ ხტომებში 406 ქულით ჭანტურია მექსე იყო (42 ქულით გაა-

საქართველო
ევროტურნირებში
ოთხ კლუბს
წარადგენს

უეფამ გამოაქვეყნა ევროტურნირების ახალი რეიტინგი, რომელიც 2004/2005-2008/2009 წლების სეზონების შედეგების მიხედვით არის შედგენილი. ამ რეიტინგის საშუალებით განისაზღვრება იმ კლუბების რაოდენობა, რომელსაც ქვეყნები 2000/2010 წლების ევროტურნირებში წარადგენენ. საქართველოს უეფას კოეფიციენტთა რეიტინგში 6,664 ქულა აქვს და 38-ე ადგილზეა 53 ქვეყანას შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ 2009/2010 წლების სეზონზე ჩვენს ქვეყანას ევროპულ ტურნირებში 4 კლუბი წარადგენს. საქართველოს ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება გათამაშებაში. ევროპის ლიგაზე (ყოფილი უეფას თასი) ჩვენი ქვეყანა 3 კლუბით იქნება წარდგენილი - საქართველოს თასის მფლობელი მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს ბრძოლას, ხოლო ჩვენს ჩემპიონატში მე-2 და მე-3 ადგილზე გასული გუნდები ევროპის ლიგაზე პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებენ თამაშს.

წარუშვამ
შემაღბანლობა
დაასახელა

21 თებერვლიდან რუსეთის მორაგბეთა ნაკრები რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ გასვლითი მატჩისთვის თურქეთში გადის მზადებას. დიდი ხნის შესვენების შემდეგ ნაკრებში უხმეს ვვა-ს მოთამაშეს ალექსეი პანასენკოსა და ივან პრიშჩეპენკოს კრასნოიარსკის "ენისიდან". შეკრებაზე უხმეს ასევე ნიკიტა მეტკოვს. "დათვებმა" მოისაკლისეს პორტუგალიის ნაკრებთან მატჩისას შემადგენლობაში მყოფი ვლადიმირ ბოტინიკოვი და ანდრეი გაბუზოვი. რუსთა ლაშქარი რუმინელებს ასეთი შემადგენლობით დაუპირისპირდება: ვასილი არტიემევი, მიხაელ ბაბაევი, ალექსანდრ ვოიტოვი, ალექსანდრ გვოზდოვსკი, დიმიტრი გერასიმოვი, ვიქტორ გრესევი, იგორ კლუჩნიკოვი, ვლადისლავ კორშუნოვი, ანდრეი კუზინი, კირილ კულემინი, იური კუშნარიოვი, ევგენი მატჩევი, ნიკიტა მედკოვი, ვიქტორ მოტორინი, ანდრეი ოსტრიკოვი, ალექსეი პანასენკო, ივან პრიშჩეპენკო, ევგენი პრონენკო, ალექსეი ტრავკინი, სერგეი ტრიშინი, არტიომ ფატახოვი, ალექსანდრ ხოიკინი, ალექსანდრ შარიკოვი, ალექსანდრ იანუშკინი. რუსეთის ეროვნული ნაკრები რუმინეთის ნაკრებს 28 თებერვალს "ტრიუმფალურ თალზე" შეხვდება. რუსებს ორი თამაშიდან ორი მოგება აქვთ ესპანეთისა და პორტუგალიის ნაკრებებთან. ასევე ორი თამაშიდან ორი მოგება აქვთ რუმინელებს. მათ სტუმრად მოუგეს ესპანელებსა და გერმანელებს.

ბოკა დაიმტვრა

"შტუტგარტს" "ჰოფენჰაიმთან" შაბათს 3:3 დასრულებულ საშინაო მატჩში მარცხენა მცველი არტურ ბოკა დაემტვრა. 25 წლის სპილოს ძვლის სანაპიროელს მატჩის 30-ე წუთზე მარჯვენა მუხლის იოგები გაუწყდა და შესაცვლელი გახდა. ის, სავარაუდოდ, 6 კვირის განმავლობაში იუქმებს. ბუნებრივია, ვერც ხუთშაბათს, უეფას თასზე, სანკტ პეტერბურგის "ზენიტის" წინააღმდეგ განმეორებით 1/16-ფინალურ მატჩში მიიღებს მონაწილეობას. პირველი შეხვედრა თასის მფლობელებმა 2:1 მოიგეს. მიმდინარე სეზონში ბოკამ 16 ბუნდესლიგურ თამაშში დაიცვა "შტუტგარტის" ღირსება.

მანჩესტერის
აეროპორტი
რონალდუს
კომპენსაციას
სთხოვს

"მანჩესტერის" აეროპორტის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გაუგზავნა "იუნაიტედის" ფეხბურთელს კრიშტიანუ რონალდუს ჩეკი, რომლითაც ითხოვს ფეხბურთელმა გადაიხადოს 20 ათასი ევრო. საქმე ის არის, რომ 8 იანვარს პორტუგალიელი ფეხბურთელის "ფერარი" შეეჯახა გვირაბს, რომელიც აეროპორტის ტერიტორიაზე მდებარეობს. გარდა ამისა, მან დააზიანა აეროპორტის საკომუნიკაციო სისტემა.

"კოხიშ" რურის დარბი მოიღია



ევროპული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების განახლებასთან ერთად, ქართულ საფეხბურთო ლეგიონზე საუბარი უფრო ვრცლად გვინევს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ გასულ უქმეებზე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები მაინცდამაინც ვერაფრით მოიწონებენ თავს.

გერმანული ბუნდესლიგის 21-ე ტურში ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას "შალკე" დორტმუნდის "ბორუსიას" დაუპირისპირდა და ფრედ - 1:1 ითამაშა.

რურის დერბოში გელზენკირხენელთა ფორვარდმა კევინ კურანიმ მე-20 წუთზე ულამაზესი დარტყმით გახსნა ანგარიში. "შალკეს" მეტოქის კარის დალაშქერის კიდევ არაერთი შანსი ჰქონდა, მაგრამ კობიაშვილის თანაგუნდელებმა მომენტები უაზროდ გაანიავეს და პრინციპულ მატჩში მხოლოდ ქულას დასჯერდნენ. სტუმართა შემტევმა მოჰამედ ზიდანმა 81-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა.

კობიაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, ყენია კი ტრავმირებულია და "შალკეს" განაცხადში არ ყოფილა.

სამმატჩიანი შესვენების შემდეგ ალექსანდრე იაშვილს, როგორც იქნა, მიეცა ბუნდესლიგის მატჩში მონაწილეობის საშუალება, მაგრამ მოედანზე მისი გამოჩენა "კარლსრუტის" უიღბლო გამოდგა. ქართველი ფეხბურთელი 21-ე ტურის შეხვედრაში 76-ე წუთზე შტინდლის ნაცვლად ჩაერთო თამაშში, როცა მისი გუნდი საკუთარ მოედანზე "აინტრახტთან" მარცხდებოდა - 0:1. იაშვილმა თამაშში ვერ გადაარჩინა, რაც იმას ნიშნავს, რომ "კარლსრუტე" ბოლო სამ მატჩში პირველი მარცხი განიცადა, ხოლო ზედიზედ მეორე შეხვედრაში გოლის გარეშე დატოვა მოედანი.

21 ტურის შემდეგ "კარლსრუტე" ბუნდესლიგაში ბოლოსწინა ადგილზეა და მის ქვემოთ მყოფ "მიონხენგლადბახს" მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს. გელზენკირხენელებს 31 ქულა მიუგროვდათ და მე-9 ადგილზე არიან.

მეორე ბუნდესლიგაში დავით თარგამაძის "ფრაიბურგმა" ოთარ ხიზანეიშვილის "აუგსბურგს" უმასპინძლა და მოჰამედ იდრისის გოლის წყალობით 1:0 სძლია.

თარგამაძე ფრაიბურგელთა სათადარიგო სკამიდან არ წამოდგარა, ხიზანეიშვილი კი სტუმართა განაცხადში არ ყოფილა.

"ფრაიბურგი" 42 ქულით ლიდერობას ინარჩუნებს, ხოლო "აუგსბურგი" 29 ქულით მერვეა. ეს ტური წარუმატებელი გამოდგა ქართველ მცველ მათე ღვინიაშვილისთვის. მათეს "მიუნხენ 1860"-მა "დუისბურგთან" გასვლითი მატჩი 1:4 წააგო, ქართველმა ფეხბურთელმა კი მე-19 წუთზე ტრავმა მიიღო და თამაში ვეღარ გააგრძელა.

ბავარიელთა მთავარმა მწვრთნელმა მარკო კურცმა ღვინიაშიც გუნდის სასტრატეგო შემადგენლობაში გაამწესა. შეხვედრის მე-7 წუთზე კამერუნელმა კუემამამ ორთაბრძოლა სწორედ ქართველ მცველს მოუგო და თავისი დარტყმით ანგარიში გახსნა.

მე-19 წუთზე მათე კონგოელ მაკიადისტან საჰაერო ბრძოლაში დამავდა და ექიმების დახმარებით დატოვა მოედანი.

ლვინიაშიც გასვლის შემდეგ იმავე კუემამამ კიდევ ორი გოლი გაიტანა და ჰეთ-თრიკი შეასრულა, "მიუნხენ 1860"-ის განადგურებაში კი მაკიადიმაც დაიდო წვლილი.

სტუმართა რიგებში პრესტიჟის გოლი შაფლერმა გაიტანა.

ღვინიაშიც კლუბს 26 ქულა შერჩა და მე-12 ადგილზეა. ცხრილის ფსკერზე რჩება ლევან ციტიშვილის ახალი კლუბი "ვეენ ვისბადენი", რომელმაც "ნიურნბერგთან" გასვლითი მატჩი 0:1 წააგო. ციტიშვილმა მინდორზე 90 წუთი გაატარა. მატჩის მეორე ტაიმში ქართველი ნახევარმცველის მიერ მოწოდებული კუთხურის შემდეგ კიონიგმა თავური დაარტყა - ბურთი ბადეს გარედან მოხვდა.

"ვეენს" 21 მატჩში 17 ქულა აქვს და რეგიონალურმა დაქვეითების მთავარი კანდიდატია. ამ შემთხვევაში ციტიშვილს გუნდის დატოვება მოუწევს.

იტალიის სერია A-ში კახა კალაძის "მილანმა" "კალიარის" 1:0 მოუგო და 48 ქულით მე-3 ადგილზე დარჩა. ქართველ მცველი თადარიგში იყო, თუმცა, მინდორზე არ გასულა. ტრავმირებული მჭედლიშვილის "პალერმო" კი "იუვენტუსთან" საკუთარ მინდორზე დამარცხდა. სიცილიელები მერვე ადგილზე არიან.

კვიპროსის საფეხბურთო ჩემპიონატის 23-ე ტურში თემურ ქეცბაიას "ანოროთოსისმა" "აპოლონს" 2:1 სძლია და მე-3 ადგილი შეინარჩუნა.

მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები მე-18 წუთიდან ათი

კაცის ამარა დარჩნენ, ფამაგუსტელებს გამარჯვების მოპოვება ძალიან გაუჭირდათ.

ტრიკას მიერ გატანილი გოლი რისომ გაქვითა, გადამწყვეტი ბურთი კი 79-ე წუთზე ფრუ-სოსმა გაიტანა.

ქეცბაიას კლიმენტი წიტიშვილი მინდორზე არ გაუყვანია. მის გუნდს კი 56 ქულა მოუგროვდა და "აპოლონს" და "ომონიას" ჩამორჩება.

34 ქულით მე-7 საფეხურზე დარჩა ლევან ქეცბაძის "ეთნიკოსი", რომელიც კინირასის "აპოთან" 1:4 დამარცხდა.

ქართველმა ფორვარდმა 36-ე წუთიდან ითამაშა.

ინგლისის პრემიერლიგაში ზურაბ ხიზანეიშვილის გარეშე მოთამაშე "ბლექბერნ როვერსმა" "მანჩესტერ იუნაიტედთან" გასვლითი მატჩი 1:2 დათმო.

"ხიზანა" სათადარიგოთა სკამიდან არ წამოდგარა, ბლექბერნელები კი 23 ქულით გასავარდნ ზონაში რჩებიან.

აშკარად კარგად მისდით საქმეები აზერბაიჯანში მოთამაშე ქართველებს. ქვეყნის ჩემპიონატის მე-15 ტურში ამირან მუჯირის, გიორგი ადამიასა და გიორგი დემეტრაძის "ბაკიმ" ბაქოს "ნეფთჩის" 2:0 სძლია, მუჯირმა კი სეზონში მე-10 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში "ხაზარის" ფორვარდ ივან ცვეტკოვთან ერთად დაწინაურდა.

მუჯირმა ანგარიში 47-ე წუთზე გახსნა, 76-ე წუთზე კი მოედანი დატოვა. ადამიამ შეუცვლელად ითამაშა, ხოლო დემეტრაძე სათადარიგოთა სკამიდან არ წამოდგარა.

ქართველთა კლუბი 35 ქულით მეორე ადგილზეა.

თავი გამოიჩინა თორნიკე აფციაურმაც, რომელმაც "მოიკის" კარის დალაშქრა. მისმა "გაბალამ" კი 2:0 იმარჯვა და 18 ქულით მე-9 საფეხურზე გადაინაცვლა.

"ყარაბახთან" საშინაო მატჩი 0:1 დათმო ალექსანდრე გოგბერიშვილის "ოლიმპიკმა". ქართველმა ფეხბურთელმა ყვეთელი ბარათი მიიღო, მისი კლუბი კი 25 ქულით მე-7 ადგილამდე დაქვეითდა.

34 ქულით მე-3 პოზიციას ინარჩუნებს "სიმურგი", რომელმაც ერთ-ერთ აუტსაიდერ "მუგანს" 2:0 სძლია. სიმურგელთა ქართველ ფეხბურთელებს დოლოძეს და ჩხეტიანს თითო საგოლე მომენტი ჰქონდათ, თუმცა, სტუმართა კარი ვერ დალაშქრეს.

ბადრი კვარაცხელიას მიერ დარიგებული "სტანდარტი" ბაქოში "ინტერთან" 0:2 დამარცხდა და 20 ქულით მე-8 ადგილზეა.

მატჩის შემდეგ კვარაცხელიამ წაგება მომენტების გამოუყენებლობას დააბრალა და განაცხადა, მთლიანობაში შეგირდების გარჯით კმაყოფილი ვარო.

ბოლოს კი თურქულ შეკრებაზე მყოფ დნეპროპეტროვსკის "დნიპროვც" ვთქვით, რომლის ღირსებას სამი ქართველი ფეხბურთელი იცავს, "დნიპრომ" საკონტროლო მატჩი რუსულ "ხიმკისთან" გამართა და 3:2 იმარჯვა.

უკრაინული გუნდის რიგებში ჯაბა კანკავა და სანდრო კობახიძე შესვენების შემდეგ გამოჩნდნენ, ბექა გოცირიძე კი მინდორზე არ გამოჩენილა.

სანიკიძე "როკის" ლიდერად ყალიბდება

სულ უფრო ხშირად მოდის ჩვენთვის სასიამოვნო ინფორმაციები ესტონური "როკისა" და მისი ქართველი ლეგიონერების შესახებ. საქართველოს ნაკრების ფორვარდი ვიქტორ სანიკიძე კი ნელ-ნელა ესტონური "როკის" ლიდერად ყალიბდება. მან მორიგი დასამახსოვრებელი მატჩი ჩაატარა და ტარტუელებს შიდაჩემპიონატში ტტუსთან დაძაბული შეხვედრა 86:81 მოაგვინა.

ჩემპიონატის მესამე პრიზი-ორთან მატჩი დაძაბული გა-მოდგა. "როკმა" მატჩის პირველი მეოთხედი 15:24 დათმო და დიდ შესვენებაზეც მდევრის როლში გავიდა, მაგრამ ბოლოს ფავორიტის სტატუსი მაინც გა-ამართლა და ხუთი ქულით გაი-მარჯვა.

სანიკიძეს ტარტულთა სას-ტარტო შემადგენლობაში არ უთამაშია. ის შეცვლაზე შევიდა და 24 წუთში დიდებული შედეგი აჩვენა - 20 ქულია, 12 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება. სანიკიძემ მორიგი ორმაგი დუბ-ლი შეასრულა, თანაც ტარტუ-ელთათვის ასეთ მნიშვნელოვან მატჩში.

ვიქტორმა 9-დან 4 ორქული-ანი და 5-დან 3 სამქულიანი ჩა-აგდო, 6 საჯარიმოდან 3 ტყორ-ცნა ზუსტად.

"როკის" მეორე ქართველმა, გიორგი ცინცაძემ, გუნდის სას-ტარტო შემადგენლობაში და-იწყო თამაში და 18 წუთში 5 ქუ-ლი, 1 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა.

ცინცაძემ 3-დან 1 ორქული-



სანიკიძე მეტოქის ფარს უტევს

ანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგ-დო.

"ტარტუ როკს" 14-დან ყვე-ლა მოგება აქვს და ესტონეთის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია.

არანაკლებ სასიხარულო რამ მოხდა იტალიაშიც. აქ ქვეყ-

ნის თასი მოიპოვა სიენას "მონ-ტეპასკიმ", რომლის რიგებში ნიკა მეტრეველი ირიცხება.

დასკვნით ეტაპზე გასული რვა საუკეთესო გუნდის შეჯიბ-რებას ბოლონიაში უმასპინძლა.

მეოთხედფინალში სიენე-ლებმა "კანტუს" სძლიეს (77:65),

ნახევარფინალში ტრევიზოს "ბენეტონს" მოუგეს (85:80), ხო-ლო ფინალში - ბოლონიის "ლა ფორტეცას" (70:69).

ქართველი კალათბურთელი სამივე მატჩის განაცხადში იყო, თუმცა მოედანზე არ გამოჩენი-ლა.

გადახალისებული "თავისუფლები" სამ მედალს შესწდნენ

კიევის საერთაშორისო ტურნირზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საკრძნობლად გადახალისებულმა ნაკრებმა სამი მედალი მოიპოვა - ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო.

ტრადიციულად ძლიერ ტურნირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

მით უმეტეს, რომ გუნდის შე-მადგენლობაში ბევრი ახალი სა-ხე გამოჩნდა.

საქართველოს წლევეანდე-ლი ჩემპიონატის გამარჯვებუ-ლი, მძიმეწონოსანი დავით ოთი-აშვილი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. ქართველი ფალავანი ფინალში ამერიკელ ტერველ დლაგენევთან დამარ-ცხდა.

ამავე წონაში ცდიდა ბედს

საქართველოს ნაკრების სტაჟი-ანი წევრი ალექსი მოდებაძე. კი-ევურ ხალიჩაზე ის მეათე ად-გილს დასჯერდა.

საქართველოს ნაკრებს მე-ორე მაღალი მოუტანა ნაკრე-ბის პირველმა ნომერმა ბესიკ გუჩაშვილმა (55 კგ.). მესამე მედალი კი კიდევ ერთი სტა-ჟიანი წევრის, 60 კგ. წონით კატეგორიაში საქართველოს წლევეანდელი ჩემპიონის მაღ-

ბაზ ქურდიანის დამსახურე-ბაა.

დანარჩენ ოთხ წონაში სა-ქართველოს ნაკრები უმედლოდ დარჩა. უკრაინაში სხვა ქართვე-ლებმაც მიღწიეს წარმატებას - საუბარია უკრაინის სახელით მოასპარეზე გია ჩიხლაძესა და ჯამბულ ცოტაძეზე (ორივე 74 კგ.). უკრაინელი ქართველები ფინალში შეხვედნენ ერთმანეთს. გამარჯვება ჩიხლაძეს დარჩა.

ლივის იტალიური გუნდების სტერა

დღეს და ხვალ ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფების მატჩები გაიმართება. იტალიის ნაკრების თავკაცს მარჩელო ლიპის მიაჩ-ნია, რომ იტალიურ გუნდებს მომდევნო ეტაპზე გასვლის რეა-ლური შანსი აქვთ.

"ინტერი" "მანჩესტერ იუნაი-ტედს" ეთამაშება, "რომა" - "არ-სენალს", "იუვენტუსი" - "ჩელ-სის". ჩემპიონთა ლიგის ამ ეტაპ-ზე იტალიურ-ინგლისური დაპი-რისპირების მომსწრენი გავხდე-ბით და, თუ მარჩელო ლიპის და-ვუჯერებთ, სწორედ იტალიელე-ბი გავლენ შემდეგ ეტაპზე.

"რომა", "იუვენტუსი" და "ინ-ტერი" ის სამი გუნდია, რომლე-ბიც კარგ ფეხბურთს აჩვენებენ და ფორმაშიც არიან. ამიტომაც მჯერა, რომ სამივეს შეუძლია ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფების პირველი რაუნდის ბარიერის გა-



